

№1

ენა, მამული, ისეულისია

2022 წ.

„ვფიქრობ, უმჯობესია, ერთხელ და სამუდამოდ შევურიგდეთ იმ აზრს, რაც უნდა ძნელი იყოს, რომ რუსთაველი პროფესიონალი პოეტია და არა პოეტური ნიჭით დაჯილდოებული კარისკაცი.

„დიახ, რუსთაველი პროფესიონალი პოეტია, „სპეციალური პოეტური გილდიის“ წევრია.

„პოეზია საქართველოშიც უსათუოდ ხელობად ითვლებოდა. „მე, რუსთაველი, ხელობითა ვიქმ საქმესა!“ – მე, რუსთაველი, ვაკეთებ იმ საქმეს, რომელიც ჩემი ხელობააო. „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს“-ო, ესეც მის სიტყვებია“.

„შეიძლება თამამად ითქვას, რუსთაველის პოემა თამარის კი არა, დავით აღმაშენებლის ეპოქის გენიალური ფინალური აკორდია, რომელიც აპოთეოზური დიდებულებით გადმოგვცემს მომავლის რწმენასაც, მომავლისაკენ დაუოკებელ ლტოლვასაც, ანუ უფრო ზუსტად – უკვდავების განცდას!“.

თაბაჯ ჭილაკე



1878 წელს – აჭარის დედა-სამშობლოს ფარგლებში დაბრუნების შემდეგ, ქართველთა ერთ ნაწილში არსებობდა უარყოფითი და შეურაცხყოფელი დამოკიდებულება მუსლიმანი ქართველებისადმი. ილია ჭავჭავაძემ თავისი ცნობილი ლოზუნგი – „მამული, ენა, სარწმუნოება“ ამის გამო შეცვალა ლოზუნგით – „მამული, ენა, ისტორია“ და შემდეგ სწორედ ასეთი შინაარსით ახმოვანებდა მას. დიდმა ილიამ ამ და სხვა მრავალი კეთილშობილური ნაბიჯით, ყველას მაგალითი უჩვენა – თუ როგორ აერიდებინათ მუსლიმანი ქართველების გულისტკენა.

ტექსტის ავტორი: გიორგი ივერიელი - ვებ-გვერდი: <https://intermedia.ge>

ენა, მამული, ისტორია

2016

№ 1 / /2022

ისტორიული კუთხით: რელიგიური, ლიტერატურული,
იურიდიული – წერილობითი წყაროების
განმხილველი საზოგადოებრივი ჟურნალი

ენა, მამული, ისტორია

დაარსდა 2016 წელს
პირველი ნომერი გამოიცა
2022 წლის სექტემბერში

დავით ფირცხალავა

ჟურნალის გამომცემელი
პირველი ნომრის ავტორი

მარიამ ხომასურიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი

რეზო რევაზიშვილი

ჟურნალის მხატვარი

ნუგზარ არჩემაშვილი

კომპიუტერული გრაფიკა
და დიზაინი

სარედაქციო კოლეგია ჩამოყალიბდება ჟურნალ „ენა, მამული, ისტორიის“ მეორე ნომრის გამოცემის მომზადების წინა პერიოდში.



ჟურნალი გამოიცა მპს „ენა, მამული, ისტორიის“ დაფინანსებით
ტელ.: 568 713 314

ს ა რ ჩ ე ვ ი

ოთხი მონოგრაფიიდან შემდგარი დასრულების პროცესში მყოფი
მონოგრაფიის

„ბიბლიიდან ვეფხის-ტყაოსნამდე“
ექვსი ინტერნეტ გზავნილის ტექსტები.

პირველი ინტერნეტ გზავნილის ტექსტი	3
მეორე ინტერნეტ გზავნილის ტექსტი	28
მესამე ინტერნეტ გზავნილის ტექსტი	44
მეოთხე ინტერნეტ გზავნილის ტექსტი	61
მეხუთე ინტერნეტ გზავნილის ტექსტი	81
მექვსე ინტერნეტ გზავნილის ტექსტი	92



მონოგრაფია „ბიბლიიდან ვეფხის-ტყაოსნამდე“

პირველი ინტერნეტ გზავნილის ტექსტი

ქალბატონებო და ბატონებო!

ჟურნალ „ენა, მამული, ისტორიის“ მკითხველებო, შოთა რუსთაველის და აფხაზეთის თემასთან დაკავშირებული კონფერენციის მონაწილეებო! მოგესალმებით 2016 წელს ამ ჟურნალის დამაარსებელი და მისი პირველი ნომრის ავტორი დავით ფირცხალავა, რომელიც ბატონმა თამაზ წივწივაძემ იმავე წელს სამუშაოდ მიიწვია გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ მეცნიერ-კონსულტანტად ისტორიისა და ენათმეცნიერების დარგში.

*

შოთა რუსთაველისა და აფხაზეთის თემასთან დაკავშირებული კონფერენცია ტარდება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბატონ გიორგი ვოლსკის 2021 წლის განკარგულებით, რამაც განაპირობა 2016 წელს დაარსებული ჟურნალის „ენა, მამული, ისტორიის“ პირველი ნომრის 2022 წელში გამოცემა.

ჟურნალის პირველ ნომერში ქვეყნდება ინტერნეტში დავით ფირცხალავას ვებგვერდზე david – pirtskhalava. jimdosite .com განთავსებული უქსი პუბლიკაციის ტექსტი, რომელთაგან ხუთი გზავნილის ტექსტის ბოლო რედაქცია მოხდა 2022 წლის დასაწყისში, ხოლო მეექვსე გზავნილის ტექსტზე მუშაობა, ფაქტობრივად მიმდინარეობდა ჟურნალის პირველი ნომრის გამოცემამდე.

ამ ნომერში განთავსებული ტექსტები შემადგენელი ნაწილია დასრულების პროცესში მყოფი მონოგრაფიისა „ბიბლიიდან ვეფხის-ტყაოსნამდე“, რომლის შინაარსი, მათ შორის ასახავს ჩემ მიერ 2015 წელს ჟურნალ „კვალის“ №1-2-ში გამოქვეყნებული რუსულ ენოვანი ტექსტისა და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ 2016-2019 წლებში დაბეჭდილი 17 პუბლიკაციის შინაარს (პუბლიკაციები განთავსებულია აღნიშნულ ვებგვერდზე).

თავის მხრივ მონოგრაფია „ბიბლიიდან ვეფხის-ტყაოსნამდე“ შედგება **ოთხი** დამოუკიდებელი მონოგრაფიისაგან:

პირველი: „წარმართი ღმერთები საქართველოს ისტორიის შემადგენელი ნაწილია“;

მეორე: „ჰერეთი“, როგორც სამშობლოს ცნება ქართველურ ენოვანი ხალხების ცნობიერებაში“;

მესამე: „ძველი და ახალი „აღთქმა“ საქართველოს ისტორიის წყაროა“;

მეოთხე: „ვეფხის-ტყაოსნის“ სიტყვათა წყობა ქართველურ ენოვანი ხალხებისათვის გამაერთიანებელი დაუშრეტელი წყაროა, მსგავსად ქართული მრავალხმიანი სიმღერისა და სუფრაზე ქართველურ ენოვანი ხალხების მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოებისა“.

როგორც დასახელებებიდან ჩანს, მართალია ყველა მონოგრაფია დამოუკიდებელია, მაგრამ ყველა მათგანი ურთიერთდაკავშირებულია საქართველოს ისტორიასთან. აქედან სხვადასხვა ინტერნეტ გზავნილში ერთი და იმავე თემის განმეორებითი განხილვა და სხვადასხვა კუთხით განმეორებითი მტკიცებულება.

მონოგრაფიასთან „ძველი და ახალი „აღთქმა“ საქართველოს ისტორიის წყაროა“ დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ მრავალწლიანი, თითქმის ოცდახუთწლიანი რუსულ ენოვანი სხვადასხვა სამეცნიერო ტექსტის გაცნობის შემდეგ, რომლებიც ისრაელის 11 ტომისა და იუდას ტომის ისტორიას ეხება, ჩვენ გავიზიარეთ იმ მეცნიერების აზრი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ებრაელთა 12 ტომის ზეპირი რელიგიური ტექსტის ივრით-არამეულ ენაზე ჩაწერა გადაწყვიტა იუდას ტომის ეგზილარქმა (ტომის სიმბოლო „ლომი“) მას შემდეგ, რაც ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში, ებრაელმა ტობაიდებმა აიძულეს იუდას ტომის ხელმძღვანელობა დაეტოვებინათ იერუსალიმი. ასე ძვ. წ. III საუკუნეში, სპარსეთის დედაქალაქ ეკბატანაში განთავსდა



იუდას ტომის ხელმძღვანელის – ეფზილარქის რეზიდენცია, სადაც ის აკონტროლებდა ჩაწერილი ტექსტის შინაარსს.

აქვე უნდა ითქვას, რომ იუდას ტომის ხელმძღვანელობა მხოლოდ 1947 წელს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. ცნობილია, რომ ებრაელების სამშობლოში დაბრუნების წინააღმდეგი იყო ინგლისის მთავრობა და მხოლოდ იოსებ ჯუღაშვილის – სტალინის ძალისხმევით, იუდას ტომის ხელმძღვანელობას 23 საუკუნის შემდეგ მიეცა ოფიციალური უფლება დაბრუნებულიყო სამშობლოში.

ამასთან ერთად მიიღო შეგახსენოთ, რომ ახალი „აღთქმის“ მოძღვრება, ებრაელთა ძველი „აღთქმის“ ალტერნატიული ებრაელთა მეორე რელიგიური მოძღვრებაა.

იესო ქრისტეს რელიგიის მიმდევრები მეხუთე საუკუნის ჩათვლით, უმთავრესად ტომით ებრაელები იყვნენ.

ტომით ქრისტიან ებრაელთა ხელმძღვანელობა, რომელიც ბენიამინის ტომს წარმოადგენდა (**ტომის სიმბოლო „მგელი“**), ყოველ დონეს ხმარობდა, რომ თავიანთი იესო ქრისტეს რელიგია მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში გაეცვრელებინათ, რათა მორწმუნეებიდან რელიგიური გადასახადის 10 % აეკრიფათ, ამ თანხით კი ახალი ეკლესია – სინაგოგა აეშენებინათ, ახალი მრევლი მოეზიდათ და ძველი „აღთქმის“ ებრაელი მიმდევრები შეევიწროებინათ.

ტომით ქრისტიანმა ებრაელებმა დაამკვიდრეს მათთვის სინაგოგაში, სხვა ერის წარმომადგენლებისათვის ეკლესიაში ქრისტესა და ღვთისმშობლის გამოსახულებებით მოხატვა, ხატთაყვანისცემა. სწორედ ამიტომ 754 წელს, ეგრეთ წოდებული „ცრუ“ პირველი ნიკეის საეკლესიო კრების შემდეგ, არაებრაელმა ქრისტიანებმა ეკლესიებიდან ხატები გადაყარეს, ნაწილი დაწვეს, ტაძრების კედლის მხატვრობა და მოზაიკური გამოსახულებები ჩამოფხიკეს და კირით შელესეს.

მხოლოდ 787 წლის ნიკეის მეორე კრების შემდეგ, ეკლესიების მოხატვა და ხატთაყვანისცემა საეკლესიო კანონის ძალით კვლავ იქნა დაშვებული. სწორედ ნიკეის მეორე კრების შემდეგ, დაიწყო ქრისტიანულ სამყაროში ებრაელთა როგორც ახალი, ასევე ძველი „აღთქმის“ რელიგიის მიმდევართა დევნა.



1992 წელს ქ. მოსკოვის მერიასთან არსებული საერთაშორისო სატენდერო ცენტრის დამფუძნებელმა და შემდგომში ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, პროფესიით ინჟინერმა ჩარხმშენებელმა დავით ფირცხალავამ 1992 წლიდან 2015 წლამდე, ძირითადი საქმიანობიდან თავისუფალ დროს, ჩემს მეგობართან **ლონ აირაპეტიანთან** (შედარებისათვის სიმდიდრით სომეხ ბიძინა ივანიშვილთან) სიტყვიერი პაექრობის დროს, რომ **დამუდასტურებინა** ჩემი სიტყვიერი, **დაუსაბუთებელი მტკიცებულება** იმის შესახებ, რომ სომხები ებრაელების შთამომავლები არიან, **მოსკოვში** შევიძინე რუსულ ენოვანი ბიბლია, როდესაც ბიბლია ებრაელთა ადრეული ისტორიის ერთადერთ უტყუარ წყაროდ არის მიჩნეული, რაც როგორც აღმოჩნდა არ არის მართებული.

რუსულად თარგმნილი სამეცნიერო ლიტერატურის მეშვეობით დავადგინე, რომ დიდი წერილობითი ისტორიის მქონე, არც ერთი სომეხი ისტორიკოსი XX საუკუნის დასაწყისამდე, არ აიგივებდა ისტორიულ სომხეთის ტერიტორიაზე არსებულ, დღეს კი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე მთა „მასისს“ ბიბლიურ მთა „არარატთან“. ეს აღმოჩენა ჩემს მეგობარს ლეონ აირაპეტიანს შევატყობინე როგორც მტკიცებულება იმისა, რომ სომხები ებრაელების შთამომავლები არიან და ვთხოვე აეხსნა, თუ რატომ არის სომხეთის სახელმწიფო გერბზე გამოსახული მთა არარატი ნოეს კიდობანთან ერთად და რატომ სწორედ იუდას ტომის წარმომადგენელმა სახაკ ბაგრატიონიანმა, ქართველი ბაგრატიონების წინაპარმა, დაუკვეთა V საუკუნეში სომეხ ისტორიკოს მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიის“ დაწერა. როდესაც ქართველი ისტორიკოსი სუმბატ დავითის–ძე, ბაგრატიონებს იუდას ტომის შთამომავლებად განიხილავდა.



*

რუსულ ენოვანი ბიბლიის და რუსული სამეცნიერო ლიტერატურის მეშვეობით **გვაცნობიერ**, რომ ბიბლიაში წარმოდგენილი ებრაელთა 12 ტომიდან, იუდას ტომი და ისრაელის 11 ტომი, სხვადასხვა ისტორიული წარსულის მქონე ტომები ყოფილან. მიჩნეულია, რომ იუდას ტომი, ეგრეთ წოდებულ ეგვიპტურ ტყვეობაში არ ყოფილა ნამყოფი. ალბათ ამიტომ ქართველურ ენოვანი ებრაელები ერთმანეთს განასხვავებდნენ, საქართველოს სხვადასხვა მხარეში მცხოვრებ თანატომელებს ურიებად – ურიდან მოსულებად მოიხსენიებდნენ, რითაც მიანიშნებდნენ, ურიები ნამდვილი ებრაელები არ არიანო. შეგახსენებთ, 1951 წლამდე გურჯაანის რაიონში მდებარე სოფელ ვაზისუბანს ურიათუბანი ერქვა. ის, რომ ქართველებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ებრაელებთან, მათ შორის მიუთითებს ქართველთა მეტყველებაში დამკვიდრებული სიტყვები გოიმობა, გოიმური, დაგოიმება, როდესაც ამ სიტყვების ფუძე „**გოიმი**“ ებრაულად „**ყალბს**“ ნიშნავს.

*

ძველი „აღთქმის“ თანახმად, გაერთიანებული ისრაელის სამეფოს პირველი მეფე საული (ძვ. წ. 1050—1030 წლებში), ბენიამინის ტომის წარმომადგენლის (ტომის სიმბოლო „მგელი“) **უნიათობის გამო** ის მის მომღერალთა გუნდის წევრმა დავითმა, იუდას ტომის წარმომადგენელმა (ტომის სიმბოლო „ლომი“) მეფე დავითმა შეცვალა, მომავალმა სომეხი და ქართველი ბაგრატიონების წინაპარმა, თამარ მეფის ეპოქის შემდგომ პერიოდში ქართველი ბაგრატიონების წინაპარმა.

ძველი „აღთქმის“ თანახმად, ასეთივე უნიათო მეფე აღმოჩნდა ბენიამინის ტომის წარმომადგენელი გაერთიანებული ისრაელის სამეფოს ბოლო მეფე **ისაია** (731–722 ძვ.წ.), რომლის მმართველობა იმით დამთავრდა, რომ ასურებმა – ასირიელებმა, დღევანდელი ქრისტიანი ქართველი აისორების წინაპრებმა, ებრაელთა 12 ტომი ქანაანიდან **გასახლეს**.

ისრაელის სამეფოს ბოლო მეფე **ისაია** (ტომის სიმბოლო „მგელი“), ჩვენი მიკვლევის თანახმად, თბილისის დამაარსებლის ვახტანგ გორგასლის წინაპარი იყო.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც პალესტინაში ებრაელთა სახელმწიფოს აღდგენა გადაწყდა, ებრაელმა ისტორიკოსებმა სახელმწიფო კომისიას რეკომენდაცია გაუწიეს ახალ სახელმწიფოს დარქმეოდა ებრაელთა 11 ტომის სახელი „**ისრაელი**“ (ისრაელი, დმერთთან მებრძოლი), რის წინააღმდეგ ორთოდოქსული ოუდაიზმის წარმომადგენლები გამოვიდნენ. მათ არგუმენტად ძველი „აღთქმის“ წიგნი მოჰყავდათ, რომელშიც ისრაელის ტომების ლიდერი ბენიამინის ტომი იყო. ისინი 100 % მართლები იყვნენ, რამეთუ ებრაელთა ბიბლიაში ისრაელის ბენიამინის ტომი ამქვეყნად **ყველა უღირსი** საქმის ჩამდენი ტომია.

*

რუსულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის მეშვეობით დგინდება, რომ მას შემდეგ, რაც **ასურეთის** მეფეების **გარე მტოს** წარმომადგენელმა სარგონმა **იქორწინა** ქანაანიდან **გასახლებული** ისრაელის 11 ტომის ბოლო მეფის ბენიამინის ტომის წარმომადგენლის **ისაიას** ქალიშვილზე **ატალიაზე**, ის ძვ.წ. 722 წელს ასურეთის – ასირიის **მეფე სარგონ II გახდა**.¹

როგორც ჩანს, სარგონ II-მ მაღლიერების ნიშნად, რომ ის მეუღლის თანატომელების დახმარებით ასურეთის **მეფე გახდა, ბენიამინის ტომი** ქართველურ ენოვანი ხალხებით დასახლებულ ტერიტორიაზე დაასახლა, რომელიც ჰავითა და ბუნებრივი სიმდიდრით (ქვამარილი და ოქრო) არა მარტო სამხრეთ კავკასიაში საუკეთესო მხარეს წარმოადგენდა და წარმოადგენს.

¹ დაინტერესებულ ისტორიკოსებს კონფერენციის მუშაობის პერიოდში დამადასტურებელ რუსულენოვან ინფორმაციას მივაწოდებ.



სარგონ II-ის მიერ ბენიამინის ტომის, ქართველურ ენოვან ხალხთა შორის განსახლების ტერიტორია ჩვენ ქართული და რუსულ ენოვანი წყაროების საშუალებით, შემოვხაზეთ. ეს ტერიტორიები მდებარეობდნენ დღევანდელ კახეთში: ახმეტის, გურჯაანის, დედოფლის წყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის (8 მუნიციპალიტეტის) ტერიტორიებზე და **დღევანდელ აზერბაიჯანში** მდებარე საინგილოსა და კასპიის ზღვის მხრიდან მდინარეების მტკვრისა და მისი შენაკადის არაქსის ტერიტორიაზე, ხოლო ისრაელის, ეგრეთ წოდებული 10 დაკარგული ტომი დაასახლა ურარტუს სახელმწიფოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ჩვენი კონცეფციით უმთავრესად ქართველურ ენოვანი ხალხები ცხოვრობდნენ. სწორედ ამ ისრაელთა 10 დაკარგული ტომის ბაზაზე, ჩვენი კონცეფციით შემდგომ საუკუნეებში ჩამოყალიბდა სომეხი ერი.

ძველი „აღთქმის“ ივრით-არამეულ ენაზე დაწერილ წინასწარმეტყველ ეზრას წიგნში (ეზრა 6:2) ნახსენები ქალაქი „ახმეტა“ მდებარეობდა **ყვარლის** მუნიციპალიტეტში ნეკრესის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალაქი, სადაც ძვ. წ. 722 წლის შემდგომ პერიოდში, სარგონ II-ის ძალისხმევით განთავსებული იყო ასირიელების მიერ ქანაანიდან **გასახლებული** ისრაელთა 10 ტომის მეთაურის, ბენიამინის ტომის ხელმძღვანელის – ეგზილარქის რეზიდენცია (**ტომის სიმბოლო „მგელი“**). ეს მიგნება გავაფორმოთ როგორც **პირველი** აღმოჩენა, რომელიც შევძელით აღმოგვეჩინა რუსულ ენოვანი ლიტერატურის მეშვეობით.

შეიძლება ითქვას, ამ მიგნება – აღმოჩენამ **განაპირობა** მონოგრაფიაზე „ბიბლიიდან ვეფხის-ტყაოსნამდე“ მუშაობის დაწყება და მრავალი არა მარტო ქართული და რუსული მეცნიერული სკოლისათვის უცნობი თემების აღმოჩენა და დაფიქსირება.

*

მეორე აღმოჩენა ეხება **ტოპონიმ „აფხაზეთს“**, როდესაც რუსულ ენოვანი წყაროების თანახმად დავით აღმაშენებლის ეპოქაში, საქართველოში ფიქსირდება **ორი ტერიტორია ერთნაირი დასახელებით „აფხაზეთი“: პირველი** – აღმოსავლეთ აფხაზეთი“ ლოკალიზდება კახეთის **ჭერეთში**, ხოლო მეორე „დასავლეთ აფხაზეთი“ – **კოლხეთში**.

*

აღმოჩნდა, რომ ისრაელის 11 ტომის რელიგიური ცენტრი არა ქანაანში მდებარე ქალაქი იერუსალიმი იყო, როგორც იუდას ტომის, არამედ ქანაანში მდებარე ქალაქი **სიხემი**.

ისრაელის რელიგიური ცენტრის **„სიხემის“** სახელიდან წარმოდგება ქართული ეთნონიმი **„სომეხი“**, ისრაელის რელიგიურ ცენტრ **„სიხემიდან“** მოსული ხალხი, შესაბამისად ტოპონიმი „სომხეთი“ **„სიხემიდან“** მოსული ხალხის ქვეყანაა.

შეგახსენებთ, რომ **მარტო ქართველები „ჰაი“** – სომხებს (საკუთარი სახელწოდება) **მსოფლიოში** არა ბიბლიაში ნახსენებ **არმენებად**, არამედ **სომხებად** მოიხსენიებენ, შესაბამისად ქვეყანას არა **არმენიას**, არამედ **სომხეთს** უწოდებენ.²

აქვე უნდა დავაფიქსიროთ ლეონტი მროველის ცნობილი გამონათქვამი : „ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსაც ზრახვიდეს“³, რაც ნიშნავს იმას, რომ ქართველურ ენოვანი ხალხების პირველი მონოთეისტური, ესე იგი არა წარმართი რელიგიური ენა, სომეხ-ებრაელთა ენა იყო, მსგავსად რჯულით იუდეველი სვანებისა. ლეონტი მროველის ამ გამონათქვამს ჩვენ მონოგრაფიაში „ბიბლიიდან ვეფხის-ტყაოსნამდე“ სხვადასხვა კონტექსტში არაერთხელ განვიხილავთ.

² განსხვავებული აზრი სიტყვა „სომეხის“ წარმომავლობაზე იხილეთ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ ტ. 9, თბ., 1985. – გვ. 462. სტატია „სომეხები“.

³ „ქართლის ცხოვრება“. თბილისი 1955. ტომი I, გვ. 16.



სიტყვების „სომხის“ და „სომხეთის“ წარმომავლობა, მესამე აღმოჩენა მიკვლევა არის იმ ოცდაერთ აღმოჩენათა შორის, რომელიც შევძელი, ძირითადად, რუსულ ენოვანი ლიტერატურის მეშვეობით მიმეკვლია და რომელიც უცნობია ყველა თაობის საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მკვლევართათვის.

*

აქვე უნდა ითქვას მიკვლევა-აღმოჩენების დანომვრაზე. როგორც ითქვა, ჟურნალ „ენა, მამული, ისტორიის“ პირველ ნომერში ქვეყნდება დასრულების პროცესში მყოფი მონოგრაფიის „ბიბლიიდან ვეფხის-ტყაოსნამდე“ ტექსტი, რომელიც ოთხი დამოუკიდებელი მონოგრაფიისაგან შემდგარი ტექსტია. თავის მხრივ დანომრილი ტექსტი მოკლე ამონარიდებია ოთხი მონოგრაფიის ტექსტებიდან.

მიგნებების დანომვრა ხდება შოთა რუსთაველისა და აფხაზეთის თემასთან დაკავშირებულ კონფერენციაზე მოწვეული სხვადასხვა დარგის მეცნიერთათვის, რომლებსაც კონფერენციის მსვლელობის დროს შესაძლებლობა ექნებათ დანომრილი ტექსტის მიხედვით დასვან ზეპირი ან წერილობითი კითხვები საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდის შესახებ.

წერილობით დასმული კითხვის ტექსტი, მის ავტორთან შეთანხმებით, ჟურნალის მეორე ნომერში გამოქვეყნდება გაცემულ პასუხთან ერთად.

*

ბიბლიაში წარმოდგენილი ხალხების რუსულად დაწერილი ან რუსულად თარგმნილი ამ ხალხების ისტორიებისა და მითოლოგიების შესწავლის შედეგად, პირობითი ნუმერაციის მიხედვით მეოთხე მთავარი აღმოჩენა, შეიძლება ითქვას საქართველოს ჭეშმარიტი ისტორიის გაგებისათვის მთავარი აღმოჩენა იყო ის, რომ ბიბლიაში წარმოდგენილი ასურეთის-ასირიელების, დღევანდელი ქრისტიანი ქართველი აისორების წინაპრებმა, მიახლოებით ძვ. წ. X საუკუნეში, ბევრად ადრე ვიდრე კოლხეთში მოვიდოდნენ ერად ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი ბერძნები, ქართველურ ენოვან ხალხებს შორის გაავრცელეს შუმერულ – აქადური (ბაბილონური) ასირიული წარმოშობის, მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის რელიგია. ამ წარმართი ღმერთის რელიგიის გავრცელების არეალი მოიცავდა ტერიტორიას პირენეს ნახევარკუნძულიდან ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების, ინდოეთის და ჩინეთის ტერიტორიებს. სწორედ ამიტომ „ვეფხის – ტყაოსანში“ მოქმედება ვითარდება ინდოეთში.

მსოფლიოში გავრცელებული წარმართი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის რელიგიის არსებობა უცნობი იყო ყველა თაობის და ეროვნების მეცნიერთათვის, რომლებიც საქართველოს, ზოგადად კავკასიაში მცხოვრები ხალხების ისტორიას შეისწავლიდნენ და შეისწავლიან. პირველად, მართალია რუსულ ენაზე, ცნობა „აბზუ-აფსარ-ენგური“ რელიგიის არსებობის შესახებ ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას მივაწოდე 2015 წელს ქართულ ენოვან ჟურნალ „კვალის“⁴ მეშვეობით.

მითოლოგიურ ლექსიკონში ვკითხულობთ: **Абзý** (აკად. **Апсý**) или шум. **Энгурра** — в шумеро-аккадской мифологии мировой океан подземных пресных вод, окружающий землю (ab — вода, zu — далеко). ... Из „далёких вод“ **Абзу** пришёл один из главных шумерских богов — Энки, поэтому посвящённый ему храм в городе Эриду называется **Абзу** или „дом **Энгурры**“.

თუ გავითვალისწინებთ ერთი მხრივ იმას, რომ შუმერულ მიწისქვეშეთის მტკნარი წყლების ღმერთს „აბზუ“ აქადურად „აპსუ“ ერქვა და კოლხეთში მოსულ მედეას პატარა ძმას ერქვა „აფსირტე“, მდინარე ჭოროხის ძველი სახელი „აფსაროსი“ იყო და სვანურ ნადირთა და ფრინველთა ღვთაებას „აფსათი“ ჰქვია, შეიძლება ითქვას,

⁴ ჟურნალი „კვალი“ 1–2 № 2015. Предисловие автора к книге „Евреи и остальной мир“



რომ ქართველურ ენოვანმა ხალხებმა ღმერთი „აბზუს“ სახელი აღიქვეს როგორც „აფსარი“, აქედან მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის რელიგია.

ამიტომ ჩვენ არ ვეთანხმებით მწერალს და მთარგმნელ აკაკი გელოვანს, რომელმაც მითოლოგიურ ლექსიკონში⁵ პირდაპირ თარგმანში: „ენგური, იგივე აპსუ, აბზუ, დასაბამი მდინარე“ დააფიქსირა.

ასე ასურებმა – ასირიელებმა ქართველურ ენოვან ხალხებს შორის მიახლოებით ძვ. წ. X საუკუნეში გაავრცელეს წარმართი სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის რელიგია. აქედან – ტერმინი „აფსუ“, თვითსახელი დღევანდელი აფხაზეზისა, რაც დაახლოებით მე-16 საუკუნემდე ნიშნავდა არა ეთნოსს, არამედ რელიგიურ მრწამსს.

თვით შოთა რუსთაველისთვის, ჩვენი კონცეფციით რწმენით გენოთეისტიკისათვის (განმარტება გენოთეიზმი იხილეთ პირველი გზავნილის 25-ე ვერსიულზე რუსულ ენოვანი ტექსტი), „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგზე და ეპილოგზე მუშაობის დროს, „აბზუ-აფსარ-ენგურის“ ღმერთი ერთადერთი, მთავარი ღმერთი იყო, ხოლო ძირითად ტექსტზე მუშაობის დროს, ქართველურ ენოვანი ხალხების ძირძველი მზის ღმერთი „ჰერა“.

ეს მიკვლევა განხილულია მეორე ინტერნეტ გზავნილში, რომლის ტექსტი შემადგენელი ნაწილია დამთავრების პროცესში მყოფი მონოგრაფიისა „წარმართი ღმერთები საქართველოს ისტორიის შემადგენელი ნაწილია“.

ამ აღმოჩენის შედეგი იქნება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბატონ გიორგი ვოლსკის 2021 წლის განკარგულებით შოთა რუსთაველისა და აფხაზეთის თემასთან დაკავშირებული კონფერენციის ჩატარება.

*

როგორც იყო ნათქვამი, ჩვენ გავიზიარეთ იმ მეცნიერების აზრი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ებრაელთა 12 ტომის ზეპირი რელიგიური ტექსტის ჩაწერა, ივრით-არამეულ ენაზე დაიწყო ძვ. წ. IV საუკუნის შემდგომ პერიოდში, იუდას ტომის ხელმძღვანელის – ეგზილარქის განკარგულებით (ტომის სიმბოლო „ლომი“), როდესაც ქანაანიდან დევნილი იუდას ტომის ეგზილარქის რეზიდენცია ძვ. წ. III საუკუნეში განლაგდა სპარსეთის დედაქალაქ ეკბატანაში.

საქართველოს ისტორიის მიმართებით, რუსულ ენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის მეშვეობით, პირობითი ნუმერაციით მეხუთე აღმოჩენა, რამაც განსაზღვრა მონოგრაფიაზე „ბიბლიიდან ვეფხისტყაოსნამდე“ მუშაობის დაწყება იყო ის, რომ ბიბლიაში ერთადერთი არა ებრაელი მირონცხებული სპარსეთის მეფე კიროს II დიდი, ივრით არამეულ ენაზე დაწერილ ორიგინალურ, წინასწარმეტყველ ეზრას წიგნის თანახმად (ეზრა 6:2), წარმოშობით ქალაქ „ახმეტიდან“ ყოფილა.

ის, რომ სპარსეთის იმპერიის დამფუძნებელი და მმართველი კიროს II (ძვ. წ. 559-530) წარმოშობით ქალაქ ახმეტიდანაა, წინასწარმეტყველ ეზრას წიგნში მიუთითებს სპარსეთის მეფე დარიოს I (ძვ.წ. 522-486).

სპარსეთის მეფე კიროს დიდს კავშირი რომ აქვს იმ ტერიტორიასთან, სადაც სარგონ II-მ თავისი მეუღლის ბენიამინის ტომის წარმომადგენლები თითქმის ორი საუკუნით ადრე დაასახლა, ხსნის იმ პრივილეგიების მიზეზს, რაც ბიბლიის თანახმად კიროს დიდმა ებრაელებს, უფრო სწორად იუდას ტომს, ბაბილონის ტყვეობიდან სამშობლოში დაბრუნების უფლება რომ მისცა და რის გამოც ბიბლიაში კიროსი ერთადერთი არა ებრაელი მირონცხებულია. ხოლო იმავე ტექსტის ბერძნულ ენოვანი ებრაელებისათვის ძვ.წ. I-ჩ.წ. I საუკუნეებში გაკეთებულ თარგმანში, რომელიც იუდას ტომის ეგზილარქის განკარგულებით განხორციელდა, ქალაქ ახმეტის მაგიერ ფიგურირებს სპარსეთის დედაქალაქი „ეკბატანა“.

სწორედ ბერძნულ ენოვანი ებრაელებისათვის გაკეთებული თარგმანიდან არის

⁵ აკაკი გელოვანი „მითოლოგიური ლექსიკონი“ თბილისი 1983. გვ. 165. ენგურა. ენგური



ნათარგმნი ქართული და რუსული ძველი „აღთქმა“, რომელშიც ქალაქ „ახმეტის“ მაგიერ ფიგურირებს სპარსეთის დედაქალაქი „ეკატანა“ (ეზრა 6:2). ამ ფაქტს, ძნელი მისახვედრი არ არის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს და ქართველურ ენოვანი ხალხების ნამდვილი ისტორიის გაგებაში.

ამ ეტაპზე როგორც მეხუთე მიკვლევა-აღმოჩენად დავაფიქსირებ: ის, რომ ივრით-არამეული ენაზე დაწერილ ბიბლიაში ნახსენებ ქალაქ ახმეტასთან (ეზრა 6:2), კავშირი აქვთ სპარსეთის მეფეებს კიროს დიდს და დარიოს პირველს და ისინი იოსებ ჯუღაშვილის – სტალინის მსგავსად მრავალენოვანი იმპერიის მმართველები იყვნენ, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, სპარსეთის ორივე მეფე დაიბადა ქართველურ ენოვან ოჯახში.

*

ბიბლიასთან დაკავშირებულ პირობითი ნუმერაციით მეექვსე აღმოჩენას წარმოადგენს პასუხი კითხვაზე: რამ განაპირობა სპარსეთის დედაქალაქ ეკატანაში იერუსალიმიდან დევნილი იუდას ტომის ხელმძღვანელის – ეგზილარქის განკარგულებით ძვ. წ. III საუკუნეში ჩაწერილ ძველი „აღთქმის“ წინასწარმეტყველ ეზრას წიგნში საქართველოში მდებარე ქალაქ ახმეტის ფიქსაცია, ხოლო იმავე იუდას ტომის ეგზილარქის განკარგულებით ძვ. წ. I-ჩ. წ. I საუკუნეებში ბერძნულ ენოვან ებრაელებისათვის თარგმნილ ძველი „აღთქმის“ ტექსტში ქალაქ ეკატანის ფიქსაცია?

სანამ გავცემდეთ პასუხს დასმულ კითხვას, დავაფიქსიროთ მეშვიდე და მერვე აღმოჩენები, რომელთაც კავშირი აქვთ როგორც ძველი ასევე ახალი „აღთქმის“ ტექსტებთან და ამის შემდეგ ჩამოვაცალიბოთ პასუხი მეხუთე მიკვლევაზე.

*

პირველი მიგნების თანახმად დღევანდელი ქრისტიანი ქართველი აისორების წინაპრების ძალიანძვეთ კახეთის ჰერეთში, დღევანდელი ნეკრესის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ქალაქ „ახმეტაში“ ძვ. წ. 722 წლის შემდგომ პერიოდში განთავსდა ისრაელთა 10 ტომის ხელმძღვანელების, ბენიამინის ტომის (ტომის სიმბოლო „მგელი“) ეგზილარქის რეზიდენცია. ამასთან, ბიბლიის ტექსტის შემსწავლელ მეცნიერებს ყურადღების მიღმა დარჩათ ის ფაქტი, რომ იუდას ტომის ხელმძღვანელის – ეგზილარქის განკარგულებით ჩაწერილ „ძველ აღთქმაში“ ამქვეყნად ყველა უღირსი საქმის ჩამდენი ბენიამინის ტომია (ტომის სიმბოლო „მგელი“), ხოლო ბენიამინის ტომის ხელმძღვანელის – ეგზილარქის განკარგულებით ჩაწერილ „ახალ აღთქმაში“ ამქვეყნად ყველა უღირსი საქმის ჩამდენი იუდას ტომია (ტომის სიმბოლო „ლომი“). აქედან „ახალ აღთქმაში“, ებრაელთა ალტერნატიულ რელიგიურ მოძღვრებაში, მიმართვა „შენ იუდა“.

ის, რომ ძველი და მისი ალტერნატიული ახალი „აღთქმის“ ტექსტი, ორი ებრაული ტომის, იუდას (ტომის სიმბოლო „ლომი“) და ბენიამინის ტომების (ტომის სიმბოლო „მგელი“) ხელმძღვანელთა დაპირისპირების შედეგად ჩაწერილი ტექსტებია, მეშვიდე აღმოჩენაა, რომელიც ჩემთვის მისაწვდომ ლიტერატურაში უცნობი იყო და არის ყველა ქვეყნის ბიბლიის, ისტორიის და ლიტერატურის მკვლევრებისთვის.

ბენიამინის ტომი რომ არ გაითქვიფა იუდას ტომში, არ ჩავიდა ისტორიული არენიდან, როგორც მიაჩნიათ ებრაელთა ისტორიის უკლებლივ ყველა, ჩემთვის მისაწვდომ რუსულ ენოვანი ტექსტის ავტორებს, არის მერვე მიგნება-მტკიცებულება.

მერვე მტკიცებულების თანაავტორია ახალი „აღთქმის“ უმრავლესი წიგნების ავტორი პავლე მოციქული, რომელიც აღმფოთებული წერს: „ამრიგად, ვამბობ: ნუთუ დემერთმა უარყო თავისი ხალხი? არამც და არამც. რადგან მეც ისრაელიტი ვარ, აბრაამის თესლისაგან, ბენიამინის ტომიდან“ (რომ. 11:1).

მეექვსე და მეშვიდე მიგნებების გათვალისწინებით ვიწყებთ მეხუთე კითხვაზე პასუხის გაცემას.



ძველ „აღთქმაში“ ისრაელის ბენიამინის ტომი ამქვეყნად ყველა უღირსი საქმის ჩამდენი ტომია.

თუ პირველ შემთხვევაში, როდესაც იუდას ტომის ხელმძღვანელი ეგზილარქი ახალი დევნილი იყო იერუსალიმიდან და ძვ. წ. III საუკუნეში დაიწყეს მისი განკარგულებით ძველი „აღთქმის“ ჩაწერა, მისთვის მთავარი იყო ივრით-არამეულ ენაზე მოლაპარაკე ებრაელებისათვის ეჩვენებინა, რომ ახმეტაში მცხოვრები, ღმერთთან მებრძოლი „ისრაელის“ ბენიამინის ტომი, ამქვეყნად ყველა უღირსი საქმის ჩამდენი ტომია, არ უნდოთ ბენიამინის ტომის წარმომადგენლებს. ისინი ჭეშმარიტ ღმერთთან მებრძოლები არიან.

ხოლო, როდესაც სამი საუკუნის შემდეგ, ებრაელთა უმრავლესობა ბერძნულ ენოვანი გახდა, მათთვის თარგმნილ ძველი „აღთქმის“ ტექსტში იუდას ტომის ეგზილარქმა ქალაქ „ახმეტის“ მაგიერ მიზანმიმართულად ქალაქი „ეკბატანა“ დააფიქსირა, რომ ბერძნულ ენოვან ებრაელებს, აბრაამისა და მოსეს რელიგიის მიმდევრებს რელიგიური გადასახადის 10 % შეეტანათ სწორედ ქალაქ ეკბატანაში, სადაც მისი რეზიდენცია იყო განლაგებული, თანამედროვე გაგებით რომ ავხსნათ, გადაერიცხათ.

დანარჩენი, როგორც ყველა მონოთეისტურ და ყველა წარმართი რელიგიების მიმდევარ ქვეყნებში ხდება. ყველა რელიგიის უმაღლესი იერარქი და მისი უახლოესი წრე, უკლებლივ ყველა ქვეყანაში, სადაც ისინი ცხოვრობენ და მოღვაწეობენ, აკონტროლებენ რელიგიური გადასახადის 10 %-ის აკრეფასა და ხარჯვას. ცდილობენ, აკრეფილი თანხიდან რაც შეიძლება მეტი სამლოცველო ააშენონ, ახალი მრევლი მოიზიდონ. ამ წრეზე დადიან მსოფლიოში უკლებლივ ყველა რელიგიის უმაღლესი იერარქები მანამდე, სანამ ყველა ვერ მოზიდული ხარჯის დაფარვას თავის თავზე სახელმწიფო ხაზინა ან, თანამედროვე გაგებით, კერძო ინვესტორი არ აიღებს. პრაქტიკულად ხარჯებს სახელმწიფო მართო იმ რელიგიურ მიმდინარეობას უფარავს, რომელიც ქვეყანაში ოფიციალურად სახელმწიფო რელიგიად არის აღიარებული, მაგალითად, მართლმადიდებელ საქართველოში და რუსეთში, სომხეთში „სომეხთა წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია.“

*

როგორც წერდა V საუკუნეში მოღვაწე სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი, „სომხეთის ისტორიის“ დაწერა მას დაუკვეთა ებრაელმა მეცენატმა სახაკ ბაგრატიუნიანმა, რომელიც ისრაელის ერთიანი სახელმწიფოს მეორე მეფის დავითის შთამომავალი ქართველი ბაგრატიუნიანების წინაპარი იყო (ტომის სიმბოლო „ლომი“). ცნობილია, რომ ჯერ კიდევ თამარ მეფე არა ბაგრატიონის, არამედ ბაგრატიუნიანის გვარით აწერდა ხელს საბუთებს.

ჩვენი მიკვლევის თანახმად ძვ. წ. 722 წლის შემდეგ, ასირიის მეფემ სარგონ II-მ თავისი სიმამრის, ერთიანი ისრაელის სამეფოს ბოლო მეფის ისაიას თანატომელები ბენიამინის ტომიდან (ტომის სიმბოლო „მგელი“), დაასახლა ქართველურ ენოვანი ხალხებით დასახლებულ სამხრეთ კავკასიაში, ჰერეთის ტერიტორიაზე, ხოლო ისრაელის ეგრეთ წოდებული 10 დაკარგული ტომი დაასახლა ურარტუს სახელმწიფოს მიმდებარე ტერიტორიაზე, რომლის ბაზაზე ჩვენი კონცეფციით შემდგომ საუკუნეებში ჩამოყალიბდა სომეხი ერი.

სწორედ ბენიამინის ტომის წარმომადგენელი იყო V საუკუნეში თბილისის დამაარსებელი, საქართველოს მეფე ვახტანგ I გორგასალი.

ის, რომ სომხეთის წარსული ისტორიით დაინტერესდა იუდას ტომის წარმომადგენელი მეცენატი სახაკ ბაგრატიუნიანი, პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ სომეხები ებრაული წარმომავლობის ხალხია, რასაც აცნობიერებდა მეცენატი.

როგორც იყო ნათქვამი, ძვ. წ. III საუკუნეში, იერუსალიმიდან ებრაელი ტობაიდების მიერ დევნილი იუდას ტომის (ტომის სიმბოლო „ლომი“) ხელმძღვანელის რეზიდენცია განლაგდა სპარსეთის დედაქალაქ ეკბატანაში.

საქართველოს ისტორიის მკვლევრებისათვის ცნობილია, რომ სპარსეთიდან



მოსულ ებრაელთა იუდას ტომის წარმომადგენლები ბაგრატუნიანები (ტომის სიმბოლო „ლომი“) მეხუთე საუკუნეში სომხეთში, ხოლო მეცხრე საუკუნეში საქართველოში გამეფდნენ. მათთვის აგრეთვე ცნობილია, რომ სანამ ბაგრატუნიანები სომხეთში მეფობდნენ, მეხუთე საუკუნეში საქართველოში ქრისტიანი ვახტანგ I გორგასალი გამეფდა, რომელიც სპარსელებს ეომებოდა და ბრძოლის დროს ჩაბალახს ატარებდა, რომელსაც წინ შუბლზე „მგლის“, უკან კი კეფაზე „ლომის“ ოქროსგან დამზადებული გამოსახულება ამშვენებდა.

„ის ყოფილა მეტად ჭკვიანი, წინდახედული, გამჭრიახი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე და გულადი მეომარი და მხედართმთავარი. საარაკო გმირობით იბრძოდა ყოველთვის. იგი იყო ყველგან, სადაც მისჭირდებოდა ქართულ ლაშქარს. სადაც უფრო მძლავრობდნენ სპარსელები იქ გაიეღვებდა და სპარსელები ზარგანხდითად ატეხდნენ ღრიას და აფრთხილებდნენ ერთმანეთს: „დურ აზ გორგასარ“ („ერიდეთ თავსა მგლისასა!“). ცნობილია, რომ ვახტანგ I-მა სპარსეთის მეფესთან შეთანხმებას მიაღწია, მის ქალიშვილზე ბაღენდუხტზე იქორწინა.

როდესაც ვახტანგი მეუღლის სამშობლოში იმყოფებოდა, სადაც იუდას ტომის ხელმძღვანელის – ეგზილარქის რეზიდენცია იყო განთავსებული (ტომის სიმბოლო „ლომი“), ან სიმამრთან ერთად ნადირობდა, ჩაბალახზე ზურგის მხარეს გამოსახული „ლომით“ ის იუდას ტომის, მათ შორის სომეხი ბაგრატუნიანების წარმომადგენლებს მიანიშნებდა, თუ ვაჟკაცები ხართ, არა ზურგის – ლომის მხრიდან მოულოდნელად, არამედ პირისპირ – მგლის მხრიდან შემებრძოლეთო.

XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი ვახტანგ გორგასალზე წერდა: „ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი, და გამოესუა წინათ მგელი და უკანათ ლომი; და რომელსა კერძსა იძლეოდიან ქართველნი, მუნიტცა მიმართის და მოსრის სპისა მისგან სპარსთასა, ვითარცა ლომმან კანჯარნი. მიერიტგან ვერღარა შეუძლებდეს სპარსნი წყობად მისა, რამეთუ დაისწავლეს იგი, რომელსა ეწერა მგელი და ლომი, და ვითარცა იხილიან ვახტანგ, თქვან: „დურ აზ გორგასალ“, რომელ არს ესე: „მირიდეთ თავსა მგლისასა“ და მის მიერ სახელ-ედვა ვახტანგ მეფესა გორგასალ“⁶.

ვახტანგ I გორგასლის სპარსული ზედწოდება „დურ აზ გორგასალ“ – „მირიდეთ თავსა მგლისასა“, ბენიამინის ტომის, ტომური „მგლის“ სახელიდან წარმომავლობა მეცხრე მიგნება – აღმოჩენა არის ჩვენ მიერ პირობითად დანომრილ გამოკვლევებში.

საქართველოში საბოლოო ჯამში ამ დაპირისპირებაში წარმოშობით ებრაელი ბაგრატიონების გვარმა გაიმარჯვა. თბილისის დამაარსებელი ებრაელთა ბენიამინის ტომის წარმომადგენლის ვახტანგ გორგასლის შთამომავლები ისტორიული არენიდან ჩავიდნენ. ბენიამინის ტომის არსებობა მართო ბიბლიის მკითხველებისათვის არის ცნობილი, რომლებსათვის ამასთანავე უცნობია მეშვიდე მტკიცებულება: „ძველი და მისი ალტერნატიული ახალი „აღთქმის“ ტექსტი, ორი ებრაული ტომის, იუდას (ტომის სიმბოლო „ლომი“) და ბენიამინის ტომების (ტომის სიმბოლო „მგელი“) ხელმძღვანელთა დაპირისპირების შედეგად ჩაწერილი ტექსტებია“.

*

ყველა ეპოქის ქართველი მეცნიერების ყურადღების მიღმა დარჩა ის ფაქტი, რომ ალექსანდრე მაკედონელის ეპოქამდე და დავით აღმაშენებლის ეპოქის შემდეგაც ქართველურ ენოვანი ხალხის მთავარ სიმდიდრეს და ამასთან ერთად მთავარ „თავის ტკივილს“ – წარმოადგენდა „ქვამარილი“.

„ქვამარილი“ არა მარტო ალექსანდრე მაკედონელისა და დავით აღმაშენებლის ეპოქაში ითვლებოდა ოქროს ეკვივალენტად.

„ქვამარილის“ ბუნებრივი საბადოები მდებარეობდა ქართველურ ენოვანი ხალხებით დასახლებულ, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქ ალზევანში და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე ნახჭევანში.

⁶ „ქართლის ცხოვრება“. თბილისი 1955. ტომი I, გვ.180.



გაიხსენეთ მიხეილ კალატოზიშვილის მიერ 1930 წელს გადაღებული ფილმი „ჯიმ შვანთე“ – მარილი სვანეთს და ტიცვიან ტაბიძის „აღზევანს წავალ მარილზე, მარილს მოვიტან ბროლსაო. ჯერ დედას გადავხვები, მერე შვილსა და ცოლსაო“

როგორც წერს ქალბატონი მანანა ოდიშვილი: „საქართველოში მარილი არ მოიპოვებოდა? – მარილის საბადოები საქართველოში არ არსებობდა, ამიტომ ის შემოჰქონდათ დღევანდელი აზერბაიჯანის, თურქეთისა და ირანის ტერიტორიიდან. აზერბაიჯანში ნახჭევანის მახლობლად არსებული დუზდაგის (მარილის მთა) მარილის საბადო მსოფლიოში უძველესია. მარილის სამთო მოპოვება აქ საქართველოში საყდრისის უძველესი ოქროს საბადოს თანადროულად უნდა დაწყებულიყო; არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ სამხრეთ კავკასიაში მტკვარ-არაქსის პერიოდიდან, ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანიდან მოიპოვებდნენ მარილსა და ოქროს, ამ ორ ყველაზე აუცილებელ და ყველაზე ძვირფას ნივთიერებას“.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესორი მანანა ოდიშვილი წერს საქართველოში მარილი არ მოიპოვებოდა, ეს დავაფიქსიროთ როგორც ქართველი მეცნიერებისათვის უცნობი **შეთე** მიკვლევა. ის, რომ **„ქვამარილი“** ალექსანდრე მაკედონელის ეპოქამდე და დავით აღმაშენებლის **ეპოქის შემდეგაც** ქართველთა წინაპართა მთავარი სიმდიდრეს და „თავის ტკივილის“ მიზეზს წარმოადგენდა, ამის გამოც, ქართველურ ენოვან ხალხებს განუწყვეტლად უხდებოდათ გარეშე მტრებთან ბრძოლა.

„მოქცევაი ქართლისაჲ“ და **„ქართლის ცხოვრება“** – ორივე ქართული ისტორიული წყარო ალექსანდრე მაკედონელის ქართლში მოსვლას გვატყობინებენ, ხოლო მცხეთაში მოსვლის მიზეზად ქართლში ალექსანდრე მაკედონელის თანატომელის გამეფებას მიიჩნევენ, როდესაც ქართველ მეცნიერთა უმრავლესობა ალექსანდრე მაკედონელის ქართლში მოსვლის ფაქტს არ იზიარებს.

როგორც **შეთრთმეტი** უცნობი მიკვლევა, მსოფლიო ისტორიის მკვლევართა საყურადღებოდ დავაფიქსიროთ: აქემენიდური ირანის განადგურების შემდეგ, ინდოეთში საბოლოო ჯამში განუხორციელებელი ლაშქრობის წინ, ალექსანდრე მაკედონელი, სამხრეთ კავკასიაში, ქართველურ ენოვანი ხალხებით დასახლებულ ტერიტორიაზე მოვიდა, რათა შიდა ინდოეთში ლაშქრობისთვის სამყოფი „მარილი“ მოემარაგებინა.

*

„ქართლის ცხოვრებასა“ და ალექსანდრე მაკედონელის მიმართებით აქვე უნდა ითქვას **შეთრთმეტი** მიკვლევაზე, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ რუსულ ენოვანი ტექსტის მეშვეობით გაცეთდა.

„И удивлялся Александр, узнав, что они (бунтурки) были потомками **иевусеев**, ели всякую плоть, не было у них могил, пожирали мертвых... И царь, не будучи в силах бороться с ними, удалился“ („Очерки истории грузии“ Том I. Тбилиси 1989. ст.251).

არც ერთი ქართულ ენოვანი **„ქართლის ცხოვრების“ გამოცემაში** განმარტებაში იებუსელებზე, რომლებიც მკვდრებს მიირთმევდნენ, (пожирали мертвых) რაიმე ცნობა მე ვერ აღმოვაჩინე.

როგორც წერს პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე (სამეცნიერო ჟურნალ „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემების“ მთავარი რედაქტორი): „ბოლო 160 წლის მანძილზე ბუნ-თურქების შესახებ დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა დაგროვდა, მათი ვინაობის საკითხი კი უფრო გაბუნდოვანდა“.

ჩვენი კონცეფციით, „ქართლის ცხოვრებაში“ **წარმოდგენილი „ბუნ-თურქები“ „ძველ აღთქმაში“** დაფიქსირებული **„იებუსელები“ არიან**. სწორედ ქართლში მოსულ ალექსანდრე მაკედონელს იქ იებუსელები (ძველ „აღთქმაში“ უარყოფით კონტექსტში, ბენიამინის ტომის დამამცირებელი სახელი), ძვ.წ. 722 წლის შემდეგ ქართლში მოსული ბენიამინის ტომის წარმომადგენლები, ვახტანგ გორგასლის წინაპ-

⁷ მანანა ოდიშვილი „მარილის ისტორია საქართველოში“ ისტორიანი. ნოემბერი 2019.



რები დახვდათ. ის, რომ მარტო „**ქართლის ცხოვრების**“ ერთმა ავტორმა „იებუსელები“ – ბენიამინის ტომის წარმომადგენლები, როგორც „კაციჭამიები“ წარმოადგინა, ერთი მხრივ მიუთითებს იმაზე, რომ ეს ფაქტი იუდას ტომის წარმომადგენლების, ქართველი ბაგრატიუნების დაკვეთით არის დაფიქსირებული, მეორე მხრივ, ეს ფაქტი მიუთითებს, ბენიამინის ტომის, ვახტანგ გორგასალის შთამომავლების გავლენაზე ქართველ საზოგადოებაში.

თავის მხრივ ეს ორი ფაქტი მიუთითებს კავკასიაში ორი ებრაული ტომის იუდასა და ბენიამინის ტომების დაპირისპირებაზე. შეგახსენებთ **მუშვილ** მიკვლევას: ძველი და მისი ალტერნატიული ახალი „აღთქმის“ ტექსტი, ორი ებრაული ტომის, იუდასი და ბენიამინის ტომების ხელმძღვანელთა – ეგზილარქთა დაპირისპირების შედეგად ჩაწერილი ტექსტებია.

როგორც წერს XIII საუკუნის სომეხი მემკვიდრე ვარდან მოძღვარი: „აფხაზეთის მეფეები გორგასლის ნაშიერები არიან“.

აქედან **მეცამეტე მიკვლევა**: „**ქართლის ცხოვრებაში**“ წარმოდგენილი „**ბუნ-თურქები**“, „**ძველ აღთქმაში**“ წარმოდგენილი „**იებუსელები**“, ვახტანგ გორგასლის – ბენიამინის ტომის წარმომადგენლის **წინაპრები** არიან. მეცამეტე აღმოჩენა დასტურია იმისა, რომ ვახტანგ გორგასლის წინაპრები, ზოგადად ბენიამინის ტომის წარმომადგენლები, ბევრად ადრე დასახლდნენ კავკასიაში, **ვიდრე სომეხი და ქართველი ბაგრატიუნები**.

რაც შეეხება ქრისტეს შობის წინა პერიოდში, ბერძნულ ენოვანი ებრაელებისათვის დაწერილ, არა კანონიკურ მაკაბელთა წიგნში ნახსენებ ალექსანდრე მაკედონელს, რომელიც იერუსალიმში ყოფნისას თითქოს ფეხებში ჩაუვარდა მღვდელმთავარს და მის ღმერთს შეფიცა, ეს წიგნი ბერძნულ ენოვანი, ინტელექტუალი ებრაელებისათვის დაწერილი წიგნია. ჩვენი კონცეფციით, ფაქტობრივად, ყველა აპოკრიფული წიგნი, რომელიც ძველი „აღთქმის“ ებრაულ კანონში არ შევიდა, დაწერილია ერთი მიზეზის გამო, რომ მათ უნდა გაექარწყლებინათ ის გაუგებრობა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ძვ. წ. V ს-ში მოღვაწე ისტორიის მამა ჰეროდოტე არაფერს არ წერს ზოგადად ებრაელებზე, მისთვის უცნობია როგორც იუდეველები, ასევე ისრაელის თერთმეტი ტომიდან რომელიმე ებრაელთა ტომი.

*

რუსულ ენოვანი ტექსტის მეშვეობით, ქართული ლიტერატურის მიმართებით გაკეთებული მთავარი პირობითი ნუმერაციის მიხედვით, **მეთოთხმეტე** აღმოჩენა ეხება, მე ვიტყვოდი, ქართველი ერის პასპორტს – „ვეფხის-ტყაოსანს“.

მისი გაგებისთვის მთავარი აღმოჩენა იყო ის, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტის მთარგმნელი და კომენტატორი არა მარტო ქართველი და რუსი **რუსთველოლოგიური** შრომების ავტორებისთვის იყო უცნობი ის, რომ ტოპონიმი **შირვანი** წარმოდგება შაჰის **წოდებიდან „ლომის შაჰი“**: Хамза ал-Исфяхани прямо связывает происхождение топонима Ширван от титула „ширваншах“ (перс. شاهشاورش), означающего „львиный шах“, или „**шах львов**“).⁸ ამიტომ უკლებლივ ყველა „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტის მკვლევრისთვის გაუგებარი იყო, რატომ წერდა შოთა რუსთაველი პოემის დასაწყისში : „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“.

მეთხუთმეტე აღმოჩენა ერთადერთია, რომელიც რუსულ ენოვანი ლიტერატურის გარეშე აღმოვაჩინე. ქართული ისტორიული ლიტერატურის მეშვეობით **დავადგინე**, რომ შოთა რუსთაველი **არა XII საუკუნის**, თამარ მეფის ეპოქის, არამედ **XI საუკუნის**, დავით აღმაშენებლის ეპოქის მგოსანია.

რუსთველოლოგებს შევახსენებ: რუსთაველის პოემის რუსულ ენაზე მთარგმნელი, დიდი მეცნიერი ბატონი შალვა ნუცუბიძე განიხილავდა რა „ვეფხის-ტყაოსნის“

⁸ Аликберов А. К. „Сасанидская титлатура правителей Кавказа по арабо-мусульманским источникам“. <https://ru.wikipedia.org/wiki/Ширваншах>



ტექსტს, რუსთაველის პიროვნებასთან დაკავშირებით „ქართული ფილოსოფიის ისტორიაში“ წერდა: „რუსთაველი არ არსებობს საქართველოს ისტორიაში ოფიციალური წყაროების თვალსაზრისით და ხალხს რომ მისი რამდენიმე ხელნაწერი არ შეენახა, ბნელი ძალების მიზანი მიღწეული იქნებოდა. ისტორიაში დევნილი ადამიანები ყოველთვის გამოჩენილი და უნიჭიერესი ადამიანები იყვნენ“ (1956 წ. გვ.202).

ჩვენი აღმოჩენიდან გამომდინარე, იმის შესახებ, რომ შოთა რუსთაველი არა XII საუკუნის, თამარ მეფის ეპოქის, არამედ XI საუკუნის, დავით აღმაშენებლის ეპოქის მგოსანია და ბატონი შალვა ნუცუბიძის მიერ დაფიქსირებული მოსაზრებიდან, **ჩვენი ყველა დასკვნა** „ვეფხისტყაოსნის“ ახალ ქრონოლოგიასთან დაკავშირებით ეფუძნება დავით აღმაშენებლის ბიოგრაფიას, მისი შვილის, ტახტის მემკვიდრის დემეტრე პირველის, ქალიშვილების თამარის, კატაის და მათი მეუღლეების ბიოგრაფიებს. გამონაკლისს წარმოადგენს შოთა რუსთაველის რელიგიური მრწამსი.

*

პირველი მიგნების თანახმად, ივრით-არამეულ ენაზე დაწერილი ძველი „აღთქმის“ წიგნში (ეზრა 6:2) ნახსენები ქალაქი „ახმეტა“ მდებარეობდა ყვარლის მუნიციპალიტეტში ნეკრესის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე. ქალაქი, სადაც ძვ. წ. 722 წლის შემდგომ პერიოდში, განთავსებული იყო ასირიელების მიერ ქანაანიდან გასახლებული ისრაელთა 10 ტომის მეთაურის, ბენიამინის ტომის ხელმძღვანელის – ეგზილარქის რეზიდენცია.

აღმოჩნდა, რომ სამხრეთ კავკასიაში მდებარე ქალაქ ახმეტიდან ბენიამინის ტომის ეგზილარქი მხედველობიდან არ უშვებდა, აკონტროლებდა წინა საუკუნეებში მის განკარგულებაში მყოფ ისრაელთა 10 ტომის საქმიანობას და რაც ცალკე აღსანიშნავია, იუდას ტომის – ეგზილარქის საქმიანობას.

რუსეთის ისტორიის მკვლევრებისათვის თავსატეხი, შესაბამისად უცნობი იყო, თუ რა გზით შეადწინეს ხაზარეთში ებრაელთა, სწორედ ბენიამინის ტომის წევრებმა, რომელთა ძალისხმევითაც ხაზარეთის მეფეთა ოჯახმა VIII საუკუნეში თავის ღმერთად აღიარა აბრაამისა და მოსეს რელიგია, როდესაც ბიბლიის ყველა მკვლევრის აზრით ბენიამინის ტომი იუდას ტომში გათქვეფილად არის მიჩნეული.

როგორც ჩანს, მას შემდეგ რაც საქართველოში გამეფდა ბენიამინის ტომის წარმომადგენელი ქრისტიანი ვახტანგ გორგასალი, ამ ტომის ხელმძღვანელმა – ეგზილარქმა სამხრეთ კავკასიიდან ქალაქ ახმეტაში მდებარე თავისი რეზიდენცია გადაიტანა ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე ხაზართა დედაქალაქ ატილში, როდესაც ორ ქალაქს შორის კავშირის დასამყარებლად საჭირო იყო **ყადორის უღელტეხილზე გადასვლა**.

სწორედ ნეკრესის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ქალაქ ახმეტიდან, სადაც განლაგებული იყო ბენიამინის ტომის ხელმძღვანელის რეზიდენცია (ტომის სიმბოლო „მგელი“), მოხდა ხაზარების აბრაამისა და მოსეს რჯულზე მოქცევა. ამ აღმოჩენას მსოფლიო ისტორიის მკვლევართა საყურადღებოდ ვაფიქსირებ პირობითი ნუმერაციის მიხედვით, როგორც **მეთექვსმეტე მიკვლევას**.

*

მიჩნეულია, რომ ჰერეთში მდებარე ნეკრესის მონასტერი (რომლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა ბიბლიური ქალაქი ახმეტა), დაარსებულია ძვ. წ. II–I საუკუნეებში, ხოლო IV საუკუნეში აშენდა ეკლესია.

მონასტერში ყოველწლიურად 7 იანვარს, ქრისტეშობის ღამეს, იმართება სახალხო დღესასწაული **ნეკრესობა**. ეს ერთადერთი ქრისტიანული დღესასწაულია, რომლის დროსაც სხვა შესაწირ ცხოველთან თუ ფრინველთან ერთად, **ღორსაც სწირავენ**.

თუ საიდან მოდის ღორის შეწირვის ტრადიცია ნეკრესის მონასტერში, ქართველი მკვლევრები ამ ტრადიციას სხვადასხვა წარმომავლობის რელიგიას უკავშირებენ. მა-



გალითად აკადემიკოსი ლ. ქილაშვილი ღორის შეწირვის რიტუალის წარმომავლობას ინდოირანული ღვთაების მითრას თაყვანისცემას უკავშირებს. ამასთან ერთად მოსახლეობაში გავრცელებულია სხვადასხვა თქმულება და მითი ღორის დაკვლის ტრადიციის ასახსნელად.

ჩვენი კონცეფციით ღორის დაკვლის ტრადიცია ყოველწლიურად 7 იანვარს, ქრისტეშობის ღამეს დამკვიდრდა ქრისტიანი მეფის ვახტანგ გორგასლის, ებრაელთა ბენიამინის ტომის წარმომადგენლის გარდაცვალების შემდგომ პერიოდში იმ მიზნით, რომ ეკლესიაში მორწმუნე ქრისტიან ებრაელებს არ აღუვლინათ ლოცვები იესო ქრისტეს სადიდებლად. როგორც ჩანს 7 იანვარს ქრისტეშობის ღამეს ღორის დაკვლის ტრადიცია, პირველი და მეორე ნიკეის საეკლესიო კრებების გამოძახილია.

*

მეოთხე მიგნების თანახმად, ასურებმა – ასირიელებმა, დღევანდელი ქრისტიანი ქართველი აისორების წინაპრებმა, მიახლოებით ძ. წ. X საუკუნეში, ქართველურ ენოვან ხალხებს შორის გაავრცელეს შუმერულ-აქადური (ბაბილონური) ასირიული წარმოშობის, მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის სამ სახელიანი ერთი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის რელიგია. სწორედ ამ ღმერთის რელიგიის მიმდევარი იყო, **რწმენით „გენოთეისტი“**, ჰერეთის დიდგვაროვანი **აბაზაძეების** გვარის შთამომავალი **შოთა რუსთაველი**. შოთას ფსევდონიმი რუსთაველი **„რუს-სათავე“**, მიწიდან ამოსული **წყლის სათავე**, დასტურია **მეჩვიდმეტე** მიკვლევისა, რომ რუსთაველის ფსევდონიმის წარმომავლობას პირდაპირი კავშირი აქვს ქართველურ ენოვან ხალხებს შორის გავრცელებულ წარმართი, მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის რელიგიასთან.

ამასთან ერთად ყველა **ქართველურ ენოვანი ხალხის და ყველა** რელიგიის მიმდევარ ქართველთა გამაერთიანებელი წიგნის ავტორი განისვენებს დღევანდელი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე აძიკვის სასაფლაოზე, რომელიც მთის მწვერვალზე არის აშენებული, ფართობით ორი კალათბურთის მოედნის ზომის იქნება. როგორც ჩანს აძიკვის სასაფლაოზე დიდგვაროვნებს ასაფლავებდნენ, როგორც თბილისში მთაწმინდის პანთეონში.

თუ აძიკვის სასაფლაოს საფლავის ქვების მოხატულობით ვიმსჯელებთ, რომლებზედაც არც ერთი ქრისტიანული სიმბოლიკა არ ფიქსირდება, სასაფლაოზე მართლ წარმართები განისვენებენ.

როგორც ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის საფლავს, მისმა შთამომავალმა, ქრისტიანმა ვარაზბაკურ აბაზაძემ მისი სულის სახსენებლად ეგვიტერი⁹ დაადგა, რადგანაც სასაფლაოს არასაკმარისი ფართობის გამო იქ სრული ზომის ეკლესია არ აშენდებოდა, მით უმეტეს, რომ სასაფლაოს ქვეშ თითქმის ორი მეტრი სიმაღლის ორი გვირაბია გათხრილი, რომელშიც, როგორც ჩანს, მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსარ-ენგურის“ ღმერთის მიმდევრები აღავლენდნენ ლოცვას. ანალოგიური **სამლოცველო** ფიქსირდება ოჩამჩირის რაიონში (მუნიციპალიტეტში) მდებარე **„აბსკილის“** გამოქვაბულში, რომელიც ძველი ქართული ქალაქის **ცხუმის** მახლობლად მდებარეობდა.

შოთა რუსთაველის საფლავის **ადმოჩენის პატივი ეკუთვნის** დიდ ქართველ ლიტერატურათმცოდნეს, ისტორიკოსს, რუსთველოლოგს ბატონ **პავლე ინგოროყვას**, რომელიც მიიჩნევდა, რომ შოთა რუსთაველი ბაგრატიონების გვარის წარმომადგენელია, რწმენით ჯერ წარმართ მანიქველად მიიჩნევდა, მერე, როგორც ჩანს საფლავის მონახულების შედეგ ქრისტიანად, რადგანაც აძიკვის სასაფლაოზე **ეგვიტერი დგას**.

ეგვიტარზე გაკეთებულ წარწერაზე, რომელიც პავლე ინგოროყვას თანახმად ევთიმე თაყაიშვილმა წაიკითხა, ეწერა: „ქ. სახელითა ღმთისაჲთა მე **ვარაზბაკურ** შე-

⁹ ეგვიტერი – მცირე ეკლესია



ვსწირე მიწად თავნარული აძიკურსა ეკლესიასა სალოცავად სულისა ჩუენისა, ვინ შეუცვალოს ანუ ლოცვისაგან კიდე რასაც ენუკევდეს, კრულ იყოს ღრმთისა დაუსაბამოსა პირითა ამინ“.

დღევანდელი მდგომარეობით აძიკვის წმინდა გიორგის ეკლესია ნახევრად დანგრეულია, მაგრამ ბარელიეფზე ოთხი ადამიანის სახელი „ელიქატმონისა“, „შოთასი“, „გამრეკელისა“ და „ავაგისა“ იკითხება.

ჩემის მხრივ, შოთა რუსთაველისა და აფხაზეთის თემასთან დაკავშირებულ კონფერენციის მუშაობის პერიოდში, ამ კონფერენციის მოწვევის ინიციატორის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბატონ გიორგი ვოლსკის წინაშე ვაპირებ დავაყენო საკითხი, რომ მთავრობამ აღადგინოს აძიკვის ეკლესია და აღდგენილ ეკლესიაში ყოველწლიურად აღინიშნოს მისი დაბადების სიმბოლური დღე, რომელსაც იმედი მაქვს დაადგენენ კონფერენციის მუშაობის პერიოდში მისი მონაწილეები.

*

დავაფიქსირეთ რა პირველ ინტერნეტ გზავნილში ქართული და რუსული მეცნიერული სკოლისათვის უცნობი **ჩვიდმეტი** თემა, დანარჩენ **სამ უცნობ მიკვლევას** გაცნობთ ჟურნალ „ენა, მამული, ისტორია“ შემდგომ ხუთ ინტერნეტ გზავნილში.

სწორედ ჩემი მეგობრის **ლუონ აირაპეტიანის** რჩევით, მოვუყარეთ თავი მისთვის ცნობილ, მაგრამ გამოუქვეყნებელ რუსულად დაწერილ მიკვლევებს და 2015 წელს თბილისში ქართულ ენოვან ჟურნალ „კვალის“ № 1-2 –ში გამოვაქვეყნეთ.



როდესაც გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ გამომცემელი და რედაქტორი ბატონი თამაზ წივწივაძე გაეცნო ჟურნალ „კვალში“ რუსულ ენაზე დაწერილ პუბლიკაციას, საქართველოში ორ „აფხაზეთად“ წოდებული ტერიტორიის არსებობის შესახებ, თავისი სტატიის „ზღაპარია თუ ნამდვილი?!“ – ანუ მიმართვა საქართველოს ხელისუფალთ!.. ტექსტი წამაკითხა და შემომთავაზა დამეწერა სტატია, რა წინაპირობამ განაპირობა ქართულ ენოვან ჟურნალ „კვალში“ რუსულ ენოვანი ტექსტის პუბლიკაცია, რომ ის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ მის სტატიასთან ერთდროულად გამოექვეყნებინა.

სწორედ ბატონმა თამაზმა, პირველად ქართულად დაწერილ ჩემს სტატიას „ქართულ ისტორიოგრაფიაში სტაგნაციის პერიოდია“, მკითხველისათვის რომ ადვილად გასაგები ყოფილიყო, რედაქტორული კორექტირებით ჩემთან ინტერვიუს სახე მისცა.

* * *



8 აპრილი 2016 წ. №13 (3793) გამოცემის 86-ე წელი

**„ზღაპარია თუ ნამდვილი?!“ –
ანუ მიმართვა საქართველოს ხელისუფალთ!..**

თამაზ წივწივაძე:

ბატონებო !

როგორც ჩანს, ასეთ ბედზე ვარ გაჩენილი – დიდი ვინმე იქნება თუ პატარა, სულერთია – როცა თქვენგან უკვე აღარაფერს გამოელიან, მერე ჩემთან გამოვბინან!

ენა, მამული, ისტორია



გამორბიან და, სამშველის გაჩენასაც მე მთხოვენ!..
მეც – არაფერი! ნუგეშის მიცემის მეტს ვერაფერს ვუკეთებ!..
ამის მიუხედავად, ხალხი მაინც მოდის და მოდის!..

კარგად იხუმრა ჩემი ღროის მწერალთა კავშირზე რეზო ჭეიშვილმა – თამაზ წი-
ვწივაძემ „ლენინის მავზოლეუმი“ კრემლის მოედნიდან მაჩაბლის ქუჩაზე გადმოი-
ტანა – ხალხის დიდი ნაკადი ისევე აწყდება აქაურ სასახლეს, როგორც იქ, მოსკოვში,
ბელადის განსასვენებელსო!..

ასევე, მართლაც რა კარგად უთხრა და რა კარგად აუხსნა მუხრანმა ამათ და ამათ
დარ ხალხს – „რომელი მეფე ერეკლე მე ვარ, ანდა რომელი მსაჯული მისი“... თავზე
რომ დამხვევიხართ! მე მხოლოდ მუხრან მაჭავარიანი ვარო!..

თუმცა, ცოტა არც ეს იყო! ანდა მუხრან მაჭავარიანი „ცოტა“ როგორ იქნებოდა?! –
როცა თანამოკალმეთაგან ბევრს ათასჯერ მაინც გადასდის თავზე!

ამასაც სიტყვაზე ვამბობ, თორემ ამდენ ხალხში ისეთებიც კი გამოჩნდნენ, თურ-
მე, მეც რომ დიდი ვინმე ვგონივარ!..

* * *

აი, მაგალითად, ამას წინათ ერთმა გამორჩეულმა პიროვნებამ, საქართველოს
ყოფილმა ელჩმა ესენგეს ქვეყნებში, ბატონმა ზურაბ ხონელიძემ¹⁰ მომძებნა და მირ-
ჩია – ამა ქვეყნის ძლიერთათვის საქართველოს გადარჩენის მისეული პროექტი შე-
მეთავაზებინა!..

ბატონი ხონელიძის გეგმის მიხედვით, სამხრეთი კავკასია, მოკლე დროში ამ რე-
გიონის ადმინისტრაციული პლაცდარში უნდა გამხდარიყო!

პროექტს თითქმის ყველა მეზობელი ქვეყანა იყო გაცნობილი და – ზოგან – შეთა-
ნხმებულები!..

ამ ყოველმხრივ გაანგარიშებულ და გადაკონტროლებულ გეგმას შევარდნაძის ხე-
ლისუფლებაც უჭერდა მხარს და მისი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევაც თან ახლდა!..

მე კიდეც მთელ ამ საქმიანობაში მხოლოდ ის მევალებოდა, რომ ეს უმნიშვნელო-
ვანესი მოვლენა ქვეყნის კიდითკიდემდე მიმეტანა!

ამ თემაზე დაწერილ წერილს სათაურიც საზეიმო შევურჩიე! –

„რომ მომეტანა საქართველოში პროექტი ქვეყნის გადარჩენისა!..“

გარდა სათაურისა, პროექტის განმარტებისთვისაც გვარიანი ჯაფა გავწიე და ჩვე-
ნი მოსახლეობის დიდი ნაწილი დავარწმუნე, რომ ამ გეგმის გარეშე ქვეყნის მომავა-
ლი საეჭვო ხდებოდა!..

და, გახდა კიდეც!..

დღეს ამ ტერიტორიაზე – სამხრეთ კავკასიაში – ორი ქვეყნის, სომხეთ-აზერბაიჯან-
ის ომი მიმდინარეობს რუსეთის დირიჟორობით!..

* * *

ამ რამდენიმე კვირის წინათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ბატონმა
ლევან ვასაძემ მშვენიერი მოხსენება წაიკითხა საქართველოს უახლოეს მომავალზე!
მე ის კარგი მოხსენება ჩემს კარგ გაზეთში გადმოვბეჭდე!

მეტი ინტერესისთვის „რედაქტორის მინაწერიც“ დავურთე!

„კარგი იქნება, თუ ამ ვრცელ მოხსენებას საქართველოს ბედით დაინტერესებუ-
ლი ყველა ქართველი წაიკითხავს“-მეთქი!

და, ასეც მოხდა! თითქმის არ დარჩენილა წერა-კითხვის კარგად მცოდნე არც
ერთი ქართველი, ეს წერილი რომ არ ჰქონდეს წაკითხული!..

¹⁰ დღეს ბატონი ზურაბ ხონელიძე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბატონ გიორგი ვოლსკის 2021 წლის განკარგულებით შექმნილი „მოთა რუსთაველის და აფხაზეთის თემასთან“ და-კავშირებული კონფერენციის ხელმძღვანელი.



არადა, ასე რომ არ მექნა, ეს ვრცელი მოხსენება დედამიწაზე მარტო მე მექნებოდა წაკითხული, ცაში კი ასტროლოგ მიხეილ ცაგარელს!..

* * *

მესამე პიროვნება, ვინც თავი ახალი პროექტით დამამახსოვრა, ჩემი და ბიძინა ივანიშვილის „შორეული ნაცნობი“ ბატონი დავით ფირცხალავა გახლავთ!..

უნდა გულწრფელად ვაღიარო, იმ საკითხებში, რომლებიც თავისი კვლევის საგნად უქცევია პატივცემულ მეცნიერს, მე ბევრი არაფერი გამეგება!

არადა, თურმე ამ თეორიის – „ორი აფხაზეთის“ ერთდროულად არსებობის დამტკიცების შემთხვევაში, თითქმის „დამკაში გასულები“ ვართ – ეს „გარკვეულწილად შეუწყობს ხელს ქართულ-აფხაზური დაპირისპირების შერბილებას და ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში პროგრესის მიღწევას“-ო!

ამ თემაზე კი ნამდვილად ღირს მუშაობა!

მაგრამ ყველაფერი აქ რომ არ მთავრდება?!

„ახალი თეორემის“, ანუ ბატონი დავით ფირცხალავას კონცეფციის თანახმად, ისრაელის დიასპორის ხელმძღვანელის რეზიდენცია ერთ დროს განთავსებული ყოფილა ჰერეთში, ხოლო აქვე, ახმეტაში (ძველი „აღთქმის“ ორიგინალური ტექსტის თანახმად!) მნახველებს თვალს სჭრიდა მირონცხებული სპარსეთის მეფის, კიროს დიდის თვალწარმტაცი აპარტამენტები!..

მე აქვე კიდევ ერთხელ ვაზუსტებ: ბიბლიური ქალაქი ახმეტა მდებარეობდა ნეკრესსა და საინგილოს შორის!..

დავით ფირცხალავა კი იქვე ასკვნის!

„კიროს დიდის მიერ დატოვებული წერილობითი საბუთი (ე. წ. კიროსის ცილინდრი!), სრულ უფლებას მაძლევს, ვივარაუდო, რომ კახეთი, კერძოდ, კამბეჩოვანი, კიროს დიდის სამშობლოა!..“

* * *

ძვირფასო ხელისუფალნო!

კიდევ ერთხელ გამოვთქვამ გულწრფელ სინანულს, რომ იმ საკითხებში, რომლებიც თავისი კვლევის საგნად უქცევია პატივცემულ ავტორს, მე ბევრი არაფერი გამეგება!

არადა, ღმერთმა ქნას, ეს ყველაფერი პიტალო ჭეშმარიტება იყოს!..

მაშინ ხომ „საქართველოს ისტორია“ ხელახლა გვექნება გადასაწერი!..

მაშინ ხომ აღარც ის იქნება შორეული მომავალი – ერთ მშვენიერ დღეს საქართველო დედამიწის ჭიპად გამოაცხადონ!..

და კიდევ, თქვენი რა მიდის, ბატონებო?!

ქუღზე კაცი დაიბარეთ, ფეხზე დააყენეთ ყველა მეცნიერი, დაავალეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, შექმნან ვახტანგ მეექვსის მსგავსი „სწავლულ კაცთა კომისია“, გადაამოწმონ ეს ფაქტები (ასეთები კი მარტო დავით ფირცხალავას უამრავი აქვს!) და ჩვენს ტურფა ქვეყანასაც ყოველმხრივ გაუთქვათ სახელი!..

ღმერთმა ქნას, საქართველოს პირველ მოქალაქესაც გაუჩნდეს სურვილი, შეხვდეს ამ ახალი აღმოჩენების ავტორს, მისსავე „ძველ ნაცნობს“, ბატონ დავით ფირცხალავას და ერთად გაარკვიონ „ორი აფხაზეთის“ ერთდროულად არსებობის საკითხი!..

ეს ორივესთვის – როგორც პირველი მოქალაქისთვის, ისევე აწ უკვე „პირველი“ მეცნიერის, დავით ფირცხალავასთვისაც სასარგებლო საქმე იქნება!

სხვა თუ არაფერი, აქედან ერთი, ბატონი ივანიშვილი, თავისი „ოცნებისთვის“ უამრავი ამომრჩევლის ხმას იშოვის!

ბატონ ფირცხალავას კიდევ იმდენი გრანტი დაუგროვდება, რომ ამ კვლევა-ძიებასაც ბოლომდე მიიყვანს და იმ ორი „აფხაზეთიდან“ ერთს მაინც გამოიხსნის!..



თემის გაგრძელება იხ. მე-3 გვ-ზე

ქართულ ისტორიოგრაფიაში სტაგნაციის პერიოდი!

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტის კითხვაზე, რას გულისხმობს ქართული ისტორიოგრაფიის სტაგნაციაში, დავით ფირცხალავამ, რომლის მონოგრაფია „დავიწყების თეორია“ და გამოკვლევა „ებრაელები და დანარჩენი სამყარო“ ჟურნალ „კვალის“ 2015 წლის №1-2-ში დაიბეჭდა, ასეთი ახსნა მისცა: ჟურნალ „კვალის“ აღნიშნულ ნომერში გამოქვეყნებული ნაშრომი გახლავთ შედეგი ჩვენი ოცდაათწლიანი კვლევისა, რომელიც მიეძღვნა ძველი „აღთქმისა“ და იმ ერების ისტორიის შესწავლას, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდათ ებრაელებთან 2700 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. მათ შორის არიან – ძვ. წ. 714 წლიდან – ქართულ ენოვანი ხალხები.

ნაშრომში ლაპარაკია რამდენიმე თემაზე, რომელთაგან თითოეული ცალკე შესწავლის საგანია და დღემდე არ არის განხილული და ასახული მსოფლიო, მათ შორის ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ჩვენი კონცეფციის თანახმად, ისრაელის (არ ავურიოთ იუდეველთა) დიასპორის ხელმძღვანელის რეზიდენცია ძვ. წ. 714 წლიდან განთავსებული იყო ჰერეთში. აქვე, ქალაქ ახმეტაში (ძველი „აღთქმის“ ორიგინალური ტექსტის თანახმად) მდებარეობდა ღმერთის მიერ მირონცხებული სპარსეთის მეფის კიროს დიდის რეზიდენცია. ბიბლიური ქალაქი ახმეტა მდებარეობდა დღევანდელ ნეკრესსა და საინგილოს შორის.

კიროს დიდის მიერ დატოვებული წერილობითი საბუთი (ე. წ. კიროსის ცილინდრი) სრულ უფლებას მძლევს, ვივარაუდო, რომ კახეთი, კერძოდ კამბეჩოვანი, კიროს დიდის სამშობლოა.

პუბლიკაციაში განხილულია აგრეთვე შუა საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე ორი აფხაზეთის არსებობის საკითხი. პირველი, აღმოსავლეთ აფხაზეთი, ლოკალიზებულია ჰერეთში, ხოლო მეორე, დასავლეთი აფხაზეთი – კოლხეთში. ჩვენი კონცეფციის თანახმად, ორივე აფხაზეთის მცხოვრებნი მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის რელიგიის მიმდევრები იყვნენ და ტერმინი აფხაზი აღნიშნავდა არა ეთნიკურ, არამედ რელიგიურ მრწამსს. ესე იგი, წარმართული მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის რელიგიის მიმდევრები, სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები იყვნენ. ამასთან, განსხვავება აბაზინებსა და აფხაზებს შორის ისეთივე იყო, როგორც მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს შორის.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მტკიცებულება ორი აფხაზეთის არსებობის შესახებ გარკვეულწილად შეუწყობს ხელს ქართულ-აფხაზური დაპირისპირების შერბილებას და ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში პროგრესის მიღწევას.

ამ იმედით დავუკავშირდით შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს, ბატონ პაატა ზაქარეიშვილს. შუამავლის საშუალებით ჟურნალის გამოსვლამდე გადავეცი ამ საკითხის მოკლე ანოტაცია და ვთხოვე მიღება, რომელზეც შესაძლო იქნებოდა გამოქვეყნებულ პუბლიკაციაზე დაყრდნობით გარკვეული სტრატეგიის შემუშავება ქართულ-აფხაზური დიალოგის დასაწყებად. სამწუხაროდ, მას არანაირი ინტერესი არ გამოუჩენია ამ საკითხისადმი და შეხვედრა არ შედგა.

არ გამართლდა ჩემი იმედი არც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. თუმცა ჩემი მიმართვის შემდეგ (ჟურნალ „კვალის“ გამოსვლამდე) აკადემიაში შეიქმნა „ეროვნული ინტერესების დამცველი კომისია“.

ჟურნალის გამოსვლის შემდეგ კიდევ ერთხელ შევეცადეთ, დაგვეინტერესებინა საქართველოს ხელისუფალნი ჩვენი ნაშრომით, რათა მიგვეღწია თუნდაც მცირე პროგრესისათვის მოლაპარაკების საკითხში, რისთვისაც შევხვდი საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელს რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხში ბატონ ზურაბ აბაშიძეს, თუმცა არც ამ შეხვედრას შედეგი არ მოჰყოლია. ჩემი მოლოდინი არ გამართლდა.



ასევე შეხვედრები მქონდა ისტორიკოსების ერთ ნაწილთან, მათ შორის ცნობილ პიროვნებებთან. საინტერესო იყო მათი აზრი პუბლიკაციაში განხილულ თემებზე. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ქართველ ისტორიკოსებს არა აქვთ სურვილი, გადახედონ საბჭოურ პერიოდში მყარად ჩამოყალიბებულ მოსაზრებებსა და დებულებებს.

თხოვნით მივმართავთ საქართველოს მთავრობას, დაავალოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, შექმნას ისტორიკოსებისგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომელიც ჩვენს ნაშრომში გამოქვეყნებული ცხრა თემიდან განიხილავს ერთს მაინც, კერძოდ თემას, რომელიც დაკავშირებულია ორ აფხაზეთთან წარმართულ მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის რელიგიის მიმდევრებთან.

საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, ჩვენი გაზეთი შემოგთავაზებთ ვრცელ ინტერვიუს ბატონ დავით ფირცხალავასთან, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განხილული იქნება პოემა „ვეფხისტყაოსანი“ და ასევე ვისაუბრებთ მის ავტორზე, შოთა რუსთაველზე, როგორც წარმართული „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის მიმდევარზე.

დავით ფირცხალავა

* * *

8 აპრილის პუბლიკაციის შემდეგ, ბატონი თამაზის მიერ 2016 წლის 2 ივლისს გაცემულ ცნობაში ვკითხულობთ: „ცნობა ეძლევა დავით ფირცხალავას მასზედ, რომ ის არის გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მეცნიერ-კონსულტანტი ისტორიისა და ენათმეცნიერების დარგში“. ხოლო 23 ივლისს გაცემულ ცნობაში დამატებით წერია, რომ „ცნობა ეძლევა „ქართული ოცნების“ პრესცენტრში წარსადგენად“.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი და გამომცემელი, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

თამაზ წივწივაძე.

*

„ქართული ოცნების“ პრესცენტრს სხვადასხვა დროს გადავეცი ჟურნალ „კვალის“ 2015 წლის პუბლიკაცია და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ 2016–2019 წლებში გამოქვეყნებული ჩემი 17 პუბლიკაცია. როგორც ჩანს, პრესცენტრის ხელმძღვანელობამ ჩვენი პუბლიკაციები პრესცენტრის არქივს გადასცა.

მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა, როდესაც 2020 წლის 20 დეკემბერს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციების მოკლე მინაარსი სიტყვიერად პირადად და შემდგომ 2021 წლის 28 იანვარს №669/1-2/21 წერილობით გზავნილში გავაცანი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ბატონ გიორგი ვოლსკის.

ბატონი გიორგი ვოლსკის განკარგულებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა 2021 წლის 3 თებერვალს გამოსცა №58160 ბრძანება. ამ ბრძანებით შექმნილი შოთა რუსთაველის და აფხაზეთის ისტორიული წარსულის შემსწავლელი კომისიის ხელმძღვანელად დაინიშნა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ბატონი ზურაბ ხონელიძე.

ბატონმა ზურაბმა, კომისიის პირველი სხდომის შემდეგ, სამართლიანად, პანდემიის მიზეზით, შოთა რუსთაველის და აფხაზეთის ისტორიული წარსულის შემსწავლელი კონფერენციის ონლაინ რეჟიმში ჩატარება არასწორად ჩათვალა, და ჩემთან სიტყვიერი შეთანხმებით კონფერენციის ჩატარება 2022 წელს დაგეგმა.

* * *

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ – „ქართველთა მეორე ბიბლიის“ ავტორს შოთა რუსთაველს, პოემის ტექსტის საქართველოს ისტორიასთან შეჯერებით, შოთა რუსთაველი არა თამარ მეფის, არამედ თამარის მამის გიორგის ბაბუის, დავით აღმაშენებლის ეპოქის მგოსანია.



პოემა დავით აღმაშენებელმა თავისი **სამი** შვილის, **სპარსეთის** შირვანის, **ლომის-შაჰის** ქვეყნის დედოფლის თამარის, ბიზანტიის იმპერატორის რძლის კატაის და მომავალი საქართველოს მეფის დემეტრე პირველის **დამოძღვრისათვის** რუსთაველს **დაუკავთა**.

„**მ ი ბ რ ძ ა ნ ე ს** მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“ (5, 1).

„**ს ა მ თ ა ფერთა** საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა“ (10, 4).

„ესე ამბავი **ს პ ა რ ს უ ლ ი**, ქართულად ნათარგმანები, ვით მარგალიტი ობოლი, ხელით-ხელ საგოგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები“ (8.1,2,3.)

„ვის ჰშვენის, **ლ ო მ ს ა**, ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა, მეფისა მზის **თ ა მ ა რ ი ს ა**, დაწვ-ბადახშ, თმა-გიშერისა“ (3. 1,2.)

ხოლო ჰონორარის **გადაუხდელი** ნაწილი „**წამალი**“, დემეტრე პირველმა 1156 წელს, მეორედ მეფედ კურთხევის შემდეგ, როდესაც მას კვლავ ჯარი დაემორჩილა, სიბერის „**სამარის**“ პირას მისულ რუსთაველს **გადაუხადა**.

„მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი;
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი.
დავუძღურდი, მიჯნურთათვის კვლა **წამალი** არსით არი;
ანუ მომცეს **განკურნება**, ანუ მიწა მე **სამარი**“ (9.)

*

ქალბატონებო და ბატონებო, იმედია ჟურნალ „ენა, მამული, ისტორიაში“ გამოქვეყნებულ ექვსი ინტერნეტ გზავნილის ტექსტს უყოლება კრიტიკული მკითხველი. ამ შემთხვევაში მათი სტატიები, ავტორებთან შეთანხმებით გამოქვეყნდება ჟურნალის მეორე ნომერში.

პატივისცემით,
დავით ფირცხალავა.



ბატონი თამაზი აჯამებდა რა ჩემ მიერ 2016 და 2017 წლებში გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ სტატიებს, გარდაცვალებამდე **ოთხი თვით ადრე**, 2018 წლის 16 თებერვალს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში წერდა:

ანონსი

ქართული სენსაცია თუ რაღაც უფრო მეტი?!

„**ვეფხისტყაოსნის**“ მკვლევრებო,

რა ტყუილა გაჭმევდით, თურმე

აქამდე პურს!..

ძვირფასო მკითხველო!

გაზეთის ამ ნომერში თქვენ წაიკითხავთ სენსაციურ მასალას, რომლის ავტორია ძველი აღთქმის მკვლევარი დავით ფირცხალავა, სადაც თავდაყირა იქნება დაყენებული ყველა ის ნაშრომი თუ გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის“ ირგვლივ, რამაც კი ჩვენამდე მოაღწია!..

არადა, მის ავტორს შეხედავ და თითქოს ნორმალური ადამიანია, საუბრობს და მსჯელობს ადეკვატურად, ოღონდ ეს გრძელდება მანამ, სანამ „ვეფხისტყაოსნის“ მიაღგება!..

მერე კი, როგორც ზემოთ გითხარით, ყველაფერი თავდაყირა დგება!..

ძველი აღთქმის მკვლევარი კაცი ამტკიცებს, რომ ბიბლიური ქალაქი ახმეტა საქართველოში მდებარეობდა და, სხვათა შორის, იმავე გეოგრაფიულ ფარგლებში!

რომ კიროს მეფე ქართველია და საქართველოში დაიბადა!..

გენიალური რუსთაველი კიდევ არც ქრისტიანი იყო და არც მუსულმანი – იგი სარწმუნოებით ენგურის – აფსარის მიმდევარია!..



ძვირფასო მკითხველო, რაც ჩამოვთვალე, სენსაციისთვის ცოტაა?!
კი ბატონო, რაკი სიგიჟეს საზღვარი არა აქვს, კიდეც განვავრცოთ!..
რომ რუსთაველს თავისი პოემა თამარ მეფისათვის არ მიუძღვნია!..
ის თამარი, ვისაც პოემა მიუძღვნა, დავით აღმაშენებლის ქალიშვილია – შირვა-
ნის შაჰზე გათხოვილი!

დავით სოსლანი, თამარ მეფის ქმარი, ასეთი ვინ იყო, მისთვის რომ ემღერათ:
„ვის შვენის, ლომსა ხმარება შუბისა, ფარ–შიმშერისა!..“

რომ ჩვენი ძვირფასი პოეტისთვის „მათდა საქებრად“ ტკბილი ლექსების თქმა
არავის „უბრძანებია“, უბრალოდ, შეკვეთა მიიღო და აქედან ჰონორარის ნაწილი და-
ვით აღმაშენებელმა გადაიხადა, ნაწილი – მოგვიანებით – მისმა შვილმა დემეტრემ!..

რაც აქამდე ჩამოვთვალე, კიდეც ცოტაა?!

ჰოდა, აბა, დანარჩენი წაიკითხეთ დავით ფირცხალავას ვრცელ წერილში, რო-
მელსაც ჩვენი გაზეთის ეს ნომერი გთავაზობთ!..

ოღონდ ახლა მინდა გულწრფელი საყვადური გამოვთქვა ქართველი მკვლევრე-
ბის მიმართ – თქვე დალოცვილებო, თუ ეს კაცი სიმართლეს ამბობს, აბა, თქვენ რა-
ღას იკვლევდით ამ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში?!

ხოლო, თუ გიჟთან გვაქვს საქმე, მე მაინც მითხარით ჩუმი და აღარასდროს და-
ვბეჭდავ ჩემს გაზეთში!..

უბრალოდ, სირცხვილია, როგორც ცა და დედამიწა, ამხელა განსხვავებული აზრი
არსებობდეს ერთ პოემაზე!

ერთი სიტყვით, ძვირფასო მკვლევრებო, **ან ის დაამტკიცეთ, რომ ეს კაცი გიჟია,**
ან, ყველ სხვა შემთხვევაში, თვითონ მოგიწევთ უარის თქმა თქვენს სამეცნიერო ტი-
ტულეებზე და რეგალიებზე, რაც ამ პოემის წყალობით მიგიღიათ!..

არა მგონია, ძველ ქართულ ლიტერატურაშიც ყველაფერი მარტო ჩემი გასარკვე-
ვი იყოს!

ეპოლეტებს არავინ აგყრით, თუ ამ კაცთან კამათში ჩაებმებით და სიმართლეს
გაარკვევთ!

**მოკლედ, ან ეს ადამიანი გამოაცხადეთ გიჟად, ან კიდეც თქვენი შრომები შეუ-
კეთეთ აგუზგუზებულ ბუხარს!..**

პატივისცემით თამაზ წივწივაძე.

*

ჟურნალ „ენა, მამული, ისტორია“ პირველი ნომრის გამოსვლამდე ერთადერთი
ავტორი, რომელიც ბატონ თამაზის 2018 წლის 16 თებერვალს გამოქვეყნებულ წე-
რილს: „ქართული სენსაცია თუ რაღაც უფრო მეტი?! „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევრე-
ბო, თურმე აქამდე რა ტყუილა გაჭმევდით პურს!.. “ გამოეხმაურა, იყო პოეტი, მთა-
რგმნელი ბატონი **მურმან ჯგუბურია**.

ბატონი მურმანი გაზეთი „ლიტერატურული საქართველოს“ 2018 წლის 2 მარტის
ნომერში წერდა:

**ზოგი რამ თამაზ წივწივაძის
უახლოესი წერილის გარშემო**

ამთავითვე ვიტყვი: მუდამ საინტერესოა ის, რასაც გვეუბნება (წერს) თამაზ წი-
ვწივაძე ერისა და ბერის გასაგონად. აქ არ ჩამოვთვლი იმ წერილებს, რასაც მთელი
ათეული წლების განმავლობაში აქვეყნებდა იგი „ლიტსაქართველოს“ ფურცლებ-
ზე, რათა როგორმე გამოვიღეთ ჩვენი გაჭირვებული ქართული ხალხური ძილიდან.
ილიას კვალობაზე : „როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება ? “

ჩვენ, ქართველებს, სამი სამება გვიყვარს.

პირველი: მამა, ძე და სულიწმინდა;

მეორე : **მამული, ენა, სარწმუნოება;**



მესამე: ქართული ხალხური როკვა, ქართული ხალხური გალობა, ქართული ხალხური ლექსი.

თამაზ წივწივაძემ ამ მესამე სამებას ერთი (მეოთხე) წევრიც მიუსადაგა: ქართული ხალხური ძილი, რამაც ასეთი ექსპრომტი მიკარნახა:

სძინავს ცირუს, სძინავს ლელას,
სძინავს გიოს, ბექას, ხვიჩას,
სძინავს ციციქნა საქართველოს,
იმის ცას და იმის მიწას.

ეს ლექსი, როგორც მკითხველი ხედავს, ერთი კონკრეტული ოჯახის ფარგალს მოიცავს, მაგრამ ოჯახი და სახელმწიფო რამ გაყო!

თამაზ წივწივაძეს, როგორც წესი, მთავარი გულისყური მთლიანი (სრულიად) **საქართველოს ძილზე აქვს გამახვილებული**, ანუ ქართულ ხალხურ ძილზე. „უტყუარია, რაც სახალხოა“, გვეუბნება გალაკტიონი, ესე იგი, ჩვენი ქართული ხალხური ძილიც უტყუარია. გილგამეშს შვიდი დღე-ღამე არ ეძინა, მაგრამ გამოიღვიძა. **ჩვენ როდის უნდა გვეღირსოს გაღვიძება?**

ძილი საშიშია. დავითი ერთ-ერთ ფსალმუნში ღმერთს მადლობას სწირავს იმისთვის, რომ ეძინა და გამოღვიძა. ძილს ზოგიერთი მწერალი სიკვდილის უმცროს დას ეძახის, ზოგიერთი გამოღვიძებას ხელახალ დაბადებად მიიჩნევს.

თამაზ წივწივაძე დროდადრო აქვეყნებს ფრიად სენსაციურ წერილებს, მცირე წერილებს, სადაც იგი ხელმომჭირნედ ხარჯავს სიტყვას. გავიხსენოთ მისი „საქართველოს მოკლე ისტორია“, რაც არაჩვეულებრივად შეაფასა ცნობილმა მეცნიერმა ომარ შურდიამ და, არც მეტი, არც ნაკლები, მის დამწერს გუნებაში ნობელის პრემიაც კი მიაკუთვნა. ეს – რაც შეეხება პოლიტიკას.

ახლა კი გადავიდეთ თამაზ წივწივაძის მეორე მახასიათებელზე, მისი ყოვლისმომცველ იუმორზე, რითიც არის გაჯერებული მისი უახლოესი წერილი – ესეი („ლიტ-საქართველო“, 2018 წ. 16 თებერვალი). ეს წერილი გამოქვეყნებულია რუბრიკით „თვალსაზრისი“. თვალსაზრისი, ცხადია, იგივე შეხედულებაა. იგივე მსოფლმხედველობა, გაგება და თავისუფლებაა. თავისუფლება რა არის, თუ არა სხვათა და სხვათა თავისუფლების აღიარება და მიტევება.

კონკრეტულად: თამაზ წივწივაძემ თავისუფლება მიანიჭა ბატონ დავით ფირცხალავას, როცა გადაწყვიტა მისი ვრცელი წერილების გამოქვეყნება და ამით კიდევ ერთხელ მოგვცა მაგალითი თუ როგორ უნდა გაისარჯოს ამა თუ იმ გაზეთის მესვეური.

სასწაული (მართლაც სენსაციური) შენიშნა-გამონათქვამებით არის სავსე ეს მცირე წერილი, **რასაც მე ერთხელ რომ წავიკითხე, მეორედაც მოვუბრუნდი, მესამედაც**, სხვათა შორის, გამეორება ცოდნის დედაა და ხომ შეიძლებოდა, პირველი წაკითხვით სწორი აზრი არ გამომეტანა. კონფუცი ამბობს, ნამდვილი და ერთადერთი შეცდომა შეცდომის გამეორებააო. შეცდა ჩვენი ძვირფასი სულხან-საბა, მეგრულ ენას რომ კაჭკაჭთა და მისთანათა ავენოვანთა ენა უწოდა. რაც გაიმეორა ცხონებულმა მურმან ლებანიძემ, მეგრული ენა რომ „მიჯღარკული-მოჯღარკული“ ენაო თქვა. ეს ავენოვანი და „მიჯღარკული-მოჯღარკული“ ენა ასეთ ანდაზას გთავაზობს: „სულელი ის კი არ არის, ყანა რომ სხვენზე დაიდო, სულელი იგია, ვინც მას შეუამხანაგდაო!“ ჩინელი ბრძენისა და მეგრული ანდაზის მიხედვით, დამნაშავეა უფრო ის, ვინც შეცდომა გაიმეორა (ანუ ცხონებული მურმან ლებანიძე).

ნელ-ნელა ვუახლოვდები ძირითად სათქმელს. თამაზ წივწივაძემ არაერთხელ დაუთმო თავისი გაზეთის ფურცლები ბატონ, დავით ფირცხალავას წერილებს. ალბათ, იმიტომ, რომ ეგონა, ცნობილი მეცნიერები (რუსთველოლოგები) უპასუხოდ არ დატოვებდნენ ხსენებულ პუბლიკაციებს, ან კიდევ იმიტომ, რომ იგი (რედაქტორი) ნებისმიერ ავტორს ანიჭებს თავისუფლებას, გამოთქვას საკუთარი აზრი-შეხედულება, რამაც მეცნიერთაგან განვითარება ვერ პოვა. და ბოლო-ბოლო, თავად გადაწყვიტა, დაესვა შეკითხვა მათთვის, ვისაც ხელეწიფება, პასუხი გასცეს ამ შეკითხვებს. და თუკი არ უპასუხებენ წერილების ავტორს, თავიანთი ნაშრომები შეეკეთებინათ აგიზ-



გიზებული ბუხრისათვის. სამწუხაროდ, დავით ფირცხალავას პასუხს ვერ გაცემენ ვიქტორ ნოზაძე, გიორგი წერეთელი, აკაკი შანიძე, აკაკი გაწერელია – მეტი რომ არ ჩამოვთვალოთ. ანუ პასუხი უნდა გაცენ ცოცხალმა და მოქმედმა რუსთველოლოგებმა, ესენი კი სდუმან. ან პასუხის ღირსად არ მიაჩნიათ ბატონი დავით ფირცხალავას წერილები, ან როგორც თავად წერილების ავტორი წერს: პასუხს ვერ უბედავენ. არადა რას მივაწეროთ მსგავსი დუმილი? არათუ მცდარ წერილს, არამედ ერთ ღერ კორექტურასაც არ პატიობს ბატონი გოგი დოლიძე ამა თუ იმ წერილისა და წიგნის ავტორს. ასევე ვერ იტანდა კორექტურულ შეცდომას ცხოვებული რევაზ თვარაძე, რადგანაც მკითხველის დიდი პატივისმცემელი იყო.

თამაზ წივწივაძე გითმობთ თავის გაზეთს, რათა გამოთქვით საკუთარი აზრი, მაგრამ რა გამოდის. გამოდის სიყრუეთი.

არადა, შავით წერია: „რუსთაველი არც ქრისტიანი იყო, არც მუსულმანი, იგი აბუ-აფსარ-ენგურის მიმდევარია“ (დავით ფირცხალავა). ანუ ბატონი დავითი დღემდე არსებულ ოთხ სარწმუნოებას (რელიგიას) – იუდაიზმს, ქრისტიანობას, ბუდიზმს, მუსულმანობას მეხუთე რელიგიას (სარწმუნოებას) უსადაგებს – გვეუბნება თამაზ წივწივაძე, **რაც თითქმის ქვეყნის გადაბრუნების ტოლფასია, და ამაზე არაფერი უნდა ითქვას?**

საყოველთაოდ ცნობილია, ჩვენს უახლოეს მეზობლებს უთაკილებენ მსგავს გამოგონებას და ჩვენ მათ უნდა მივბაძოთ? გავიმეოროთ მეგრული ანდაზა: „სულელი ის კი არ არის, ყანა რომ სხვენზე დაიდო, სულელი იგია, ვინც მას შეუამხანაგდა“.

ესეც გავიმეორო, რითაც მიმართავს თამაზ წივწივაძე მეცნიერ-რუსთველოლოგებს: „**ან ეს ადამიანი (დავით ფირცხალავა) გამოაცხადეთ გიჟად, ან კიდევ თქვენი შრომები შეუკეთეთ აგიზგიზებულ ბუხარს.**“

და კიდევ: ან თამაზ წივწივაძის შეკითხვებს გაეცით პასუხი, პატივცემულო მეცნიერებო (რუსთველოლოგებო), ან მთელი სიგრძე-სიგანით გაიზიარეთ გენიალური პუშკინის გამონათქვამი:

„Пойди ты прочь –ты мне не сын

...

ты трус, ты раб, ты армянин!“

P. S.

ბატონო თამაზ,

დიდი მადლობა იმისათვის, რასაც შენ ანიჭებ შენს მკითხველს და შენი გაზეთის ავტორებს.

თავისუფლება მეტი რა არის, თუ არა სხვათა და სხვათა თავისუფლების აღიარება.

მე რუსთველოლოგი არა ვარ და არც ძველი და ახალი აღთქმის განმხილველი (და ზედმიწევნით მცოდნე), რაგვარად მიიჩნევს საკუთარ თავს ბატონი დავით ფირცხალავა, მაგრამ მაინც გამიჩნდა სურვილი, რაკილა თქვენც გვაქეზებთ, რამდენიმე მოკლე შეკითხვა დაუსვა ბატონ დავით ფირცხალავას.

იგი წერს: „ვეფხისტყაოსანი“ წარმართ ქართველთა „მზის“ ქალღმერთ „ჰერას“ სადიდებელი ჰიმნია“.

ბატონო დავით, ჩვენ, ქართველებს, თავი იმითი მოგვაქვს (მოგვწონს), თუ უფრო ადრე არა, V საუკუნიდან მოკიდებული მაინც ვართ ქრისტიანები (ღვთისმშობლის ქვეყანა და XII საუკუნეში რატომ (როგორ) უნდა შეექმნა ქართველ პოეტს წარმართული პოემა?

ან კი „რასაცა გაცემ შენია“ – ამის გამომთქმელი პოეტი იყოს წარმართი?

სხვათა შორის, დიდმა პოეტმა, ქალბატონმა ანა ახმატოვამ, თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსს რუსთაველის სწორედ ეს აფორიზმი „что отдал, то твое“ წარუმძღვარა და კიდევ, დიდმა რუსმა მწერალმა ვალენტინ რასპუტინმა ჩვენთან საუბარში, რაც დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოსა“ და „Наш современник“-ში, საქვეყნოდ განაცხადა: რუსთაველის გამონათქვამი „что отдал, то твое“ იმდენად ქრისტიანულია, რომ დედამიწის კარიბჭეს უნდა ამშვენებდესო. ან კი, რას ნიშნავს „ჰე ღმერთო,



ერთო“, ან კიდე, „რომელმან შექმნა სამყარო“, აქ ხომ მრავლობით რიცხვზე არ არის საუბარი, ანუ წარმართი საიდან? ან კიდე ბატონო დავით, როგორ არ უნდა გაგხსენებოდათ, როცა „ლომის“ განმარტებას გვთავაზობთ, რუსთაველი: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუ ხვადია“.

ერთგან წერთ: „30 წლის რუსთაველს „ვისრამიანი“ უკვე თარგმნილი ჰქონდა“. ასეა ვითომ? ასეთი შეკითხვა მინდა დავუსვა ჩვენს კოლეგას, პოეტს და მეცნიერს (ირანისტი) ნომადი ბართაიას: „ვისრამიანი“ მართლა რუსთაველმა თარგმნა?

ბატონო დავით, სხვა ბევრი რამ არის თქვენს წერილებში ჩემთვის გაუგებარი და, აქედან გამომდინარე, მიუღებელი. მაგრამ ისევ თქვენი გამონათქვამი მაგულიანებდა, ამ შეკითხვებს რომ გისვამთ. თქვენ ამბობთ: „არც ერთ მეცნიერს არ ჰყოფნის სითამამე, გამოთქვას თავისი აზრი აღნიშნულ თემაზე“.

აკი ვთქვი, მე მეცნიერი (რუსთველოლოგი) არ ვარ-მეთქი და, უნდა მეპატიოს, თუ აქ დასმულ შეკითხვებში კილო აღმოაჩინეთ.

მურმან ჯგუბურია

*

ბატონი მურმანის 2018 წლის 2 მარტის წერილსაც არ გამოეხმაურა „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტის არც ერთი მკვლევარი – „რუსთველოლოგი“. გაზეთის ახალმა რედაქტორმა ქალბატონმა ელისაბედ მეტრეველმა, 2019 წლის 14 ივნისს ხელმეორედ დაბეჭდა ბატონ თამაზ წივნივადის 2018 წლის 16 თებერვლის წერილი:

ქართული სენსაცია თუ რაღაც უფრო მეტი?!

**„ვეფხისტყაოსნის“ მკვლევრებო,
რა ტყუილა გაჭმევდით, თურმე აქამდე პურს!..**

*

ალბათ ბატონი თამაზისა და ქალბატონი ელისაბედის „ძალისხმევის“ შედეგია ის, რომ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა 2018 წლიდან მხოლოდ სამი წლის ინტერვალით გამოსცა „რუსთველოლოგიის“ შემდეგი ნომერი, რომლის შინაარსიც განხილული იქნება ჩვენი ჟურნალის მეორე ნომერში.

*

რაც შეეხება ცხონებულ მურმან ჯგუბურიას მიერ, „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტის მიმართებით დასმულ კითხვებს, მასზე პასუხი გაცემული იქნება მონოგრაფიაში „ვეფხის-ტყაოსნის“ სიტყვათა წყობა ქართველურ ენოვანი ხალხებისათვის გამაერთიანებელი დაუმრეტელი წყაროა, მსგავსად ქართული მრავალხმიანი სიმღერისა და სუფრაზე ქართველურ ენოვანი ხალხების მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოებისა“.

ამ ეტაპზე ბატონი მურმანის ერთ კითხვას გავცემ პასუხს: „სამწუხაროდ, დავით ფირცხალავას პასუხს ვერ გასცემენ ვიქტორ ნოზაძე, გიორგი წერეთელი, აკაკი შანიძე, აკაკი გაწერელია – მეტი რომ არ ჩამოვთვალოთ. ანუ პასუხი უნდა გასცენ ცოცხალმა და მოქმედმა რუსთველოლოგებმა, ესენი კი სდუმან“. არც ერთ დასახელებულ ცხონებულ, და დღეს მოღვაწე რუსთველოლოგს „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტი არ განუხილავს იმ კუთხით, რომ შოთა რუსთაველი რწმენით „გენოთეისტი“ იყო. ამიტომ ბატონ თამაზ წივნივადის აზრით, დავით ფირცხალავა ერთადერთი მკვლევარია რომელიც ბოლომდე ჩასწვდა „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტის შინაარს.

გენოთეიზმის შესახებ რუსულ ენოვანი ფილოსოფიის ენციკლოპედიაში ვკითხულობთ:

ГЕНОТЕИЗМ (от греч. εἷς, под. п. ἐνός – один, единый и θεός - бог) – „однобожие“. Термин предложен англ. санскритологом и историком религии Ф. М. Мюллером в 1878 (F. Mueller, Lectures on the origin and growth of religion), к-рый обозначал им характерную форму древнеиндийских религий, отраженную в Ведах: из множества инд. богов ни один не выделялся как главный, но тот бог, к к-рому в данный момент обращался



молящийся, рассматривался как главный и даже как единственный. Мюллер считал Г. ранней стадией развития религии, предшествующей политеизму и монотеизму. В сходном смысле понятие „Г.“ употреблял протестантский богослов и историк религии О. Пфлейдерер, считавший „патриархальным Г.“ культ племенного бога. По мнению Пфлейдерера, с объединением племен происходит слияние всех племенных богов и установление системы политеизма. Этот взгляд признал правильным Плеханов в рецензии на книгу Пфлейдерера „О религии и религиях“ (Г. В. Плеханов, О религии и церкви, 1957, с. 186-91). В совр. историч. науке термин „Г.“ употребляется очень редко. „ФИЛОСОФСКАЯ ЭНЦИКЛОПЕДИЯ“ Москва 1960. ст.348. Генотеизм.

ГЕНОТЕЙЗМ [gr hen (henos) одно + theos бог] форма политеизма, признающая многих богов и выделяющая среди них главного, вокруг которого сосредоточен религиозный культ. „Словарь иностранных слов“ Москва 1988. ст.118. Генотеизм

ესე იგი ერთდროულად სხვადასხვა ღმერთის, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში ერთი ღმერთის თაყვანისცემას გენოთეიზმი ეწოდება. არ შეგეშალოთ პოლითეიზმში, რომელიც მრავალღმერთიანობას აღიარებს

*

მარტო იმ შემთხვევაში, თუ თანამედროვე რუსთველოლოგი ან ლიტერატურის მკვლევარი ჩასწვდება გენოთეიზმის რუსულ ენოვანი განმარტების შინაარსს, მათთვის გასაგები გახდება რატომ იწყებს რუსთაველი ჰომეოს სიტყვებით „რომელმა შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“.

გამომდინარე გენოთეიზმის არსიდან, შეიძლება ითქვას „ფაქტად რჩება ის, რომ გენოთეიზმის კუთხით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი არ განუხილავს არც ერთ ქართული ლიტერატურის მკვლევარს, ამიტომ უკლებლივ ყველა მათი გამოკვლევა, რომელიც ეხება რუსთაველის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყაროს დადგენას, სრული ტავტოლოგიაა და მეცნიერული თვალსაზრისით მათი ფასი ნულის ტოლია.

*

დასასრულ, ჟურნალ „ენა, მამული, ისტორიის“ დაარსების მიზეზზე, სწორედ მიზეზის შესახებ. ჩვენ ამის შესახებ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ 2016 წლის 24 ივლისს გამოქვეყნებული სტატიის „ქართული ასომთავრულის რაობაზე“ – ბოლოსიტყვაობაში ვწერდით: „როგორც ითქვა, ჩვენ ბოდიშს ვუხდით სომეხ მკითხველს, რომ მხოლოდ ჟურნალ „კვალის“ დაბეჭდვის შემდეგ ავტორმა აღმოაჩინა რედაქციის (ტენდენციური) არაპროფესიონალური დამოკიდებულება სომხეთის ისტორიის მიმართ. ეს დამოკიდებულება გახდა ერთ-ერთი მიზეზი ახალი ჟურნალის „ენა, მამული, ისტორიის“ 2016 წლის ივნისში დაარსებისა.

აღნიშნულ ჟურნალში დაიბეჭდება სტატიები არა მხოლოდ კავკასიის რეგიონში მცხოვრები ავტორებისა. რაც შეეხება ქართველ ავტორებს, რედაქცია ითანამშრომლებს მარტო იმ ავტორებთან, რომლებიც არ თვლიან, რომ ქართველებს მსოფლიო ისტორიაში აკისრიათ რაღაც განსაკუთრებული როლი – „სულიერი მისია“. მაგალითად ის, რომ შუმერო-აქადელები იყვნენ ქართველების წინაპრები ან პირიქით, ქართველები იყვნენ შუმერო-აქადელთა წინაპრები.

ამასთან ერთად, ავტორი აღიარებს შუმერო-აქადური კულტურის გავლენას ასირიულ კულტურაზე და იქიდან ქართულზე. კერძოდ, ასირიელების მეშვეობით ჰერეთსა და კოლხეთში მიახლოებით ძვ. წ. მე-12 საუკუნეში გავრცელდა შუმერო-აქადური წარმართული მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსუ-ენგური“ ღმერთის რელიგია (ხეთების ვითომ ნათესაური კავშირი ქართველებთან ცალკე თემაა, რომელსაც არ იზიარებდა ივანე ჯავახიშვილი; იხილეთ „ლიტერატურული საქართველოს“ უახლოესი ნომერი. ამ ეტაპზე აღვნიშნავთ, რომ ი. სტალინის დავალებით ისტორიკოსებმა ნ. ბერძენიშვილმა და ს. ჯანაშიამ თანამედროვე ქართული ისტორიის ფუძემდებლის ივანე ჯავახიშვილის სიკვდილის შემდეგ (1940 წ.), სამი



ავტორის სახელით 1943 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოში ასახეს ხეთებისა და ქართველების ნათესაური კავშირი“).

*

P. S. გავიმეორებ: ქალბატონებო და ბატონებო, იმედია ჟურნალ „ენა, მამული, ისტორიაში“ გამოქვეყნებული ექვსი ინტერნეტ გზავნილის ტექსტს ეყოლება კრიტიკული მკითხველი. ამ შემთხვევაში მათი სტატიები, ავტორებთან შეთანხმებით გამოქვეყნდება ჟურნალის მეორე ნომერში.

**პატივისცემით,
დავით ფირცხალავა.**



მონოგრაფია „ბიბლიიდან ვეფხის-ტყაოსნამდე“ მეორე ინტერნეტ გზავნილის ტექსტი

ქალბატონებო და ბატონებო!

ჟურნალ „ენა, მამული, ისტორიის“ მკითხველებო, შოთა რუსთაველისა და აფხა-ზეთის თემასთან დაკავშირებულ კონფერენციაზე მოწვეულო მეცნიერებო და პოლიტიკოსებო, მოგესალმებით 2016 წელს ჟურნალის დამაარსებელი და პირველი ნომრის ავტორი დავით ფირცხალავა.

გთავაზობთ გაეცნოთ ინტერნეტში განთავსებული ჩვენი მეორე გზავნილის ტექსტს, რომლის მთავარი თემაა გავცეთ პასუხი კითხვას: თუ **რატიმ** არგონავტების კოლხეთში მოსვლამდე, შავ ზღვაში **ჩამდინარე** მდინარეს, ქართველურ ენოვანმა ხალხებმა **დაარქვს** სახელი „**ენგური**“?

ამ კითხვაზე პასუხი არ გაუცია არა მარტო ქართული და რუსული ისტორიული სკოლების წარმომადგენლებს. ამ კითხვაზე პასუხი დღესაც უცნობია ყველა ქართველისათვის, ვისაც არ წაუკითხავს ჩემი პუბლიკაციები გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ან ჩემს ვებგვერდზე david-pirtskhalava.jimdosite.com.

სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ სწორედ ამიტომ თავიდან არის დასაწერი საქართველოს ისტორია დასაბამიდან დღემდე.

როდესაც გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ აწ გარდაცვლილი გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ბატონი თამაზ წივწივაძე გაეცნო ჩემ მიერ 2015 წელს ჟურნალ „კვალის“ №1-2-ში გამოქვეყნებულ რუსულ ენოვან ტექსტს, რომელშიც ამომწურავად არის გაცემული პასუხი კითხვაზე თუ **რატიმ დაარქვს** არგონავტების კოლხეთში მოსვლამდე, ქართველურ ენოვანმა ხალხებმა შავ ზღვაში **ჩამდინარე** მდინარეს სახელი „ენგური,“ მან 2016 წელს სამუშაოდ მიმიწვია გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ მეცნიერ-კონსულტანტად ისტორიისა და ენათმეცნიერების დარგში.

*

შეგახსენებთ, როგორც იყო ნათქვამი პირველ ინტერნეტ გზავნილში, მონოგრაფია „ბიბლიიდან ვეფხის-ტყაოსნამდე“ შედგება **ოთხი დამოუკიდებელი მონოგრაფიისაგან**:

პირველი: „წარმართი ღმერთები **საქართველოს** ისტორიის შემადგენელი ნაწილია“;

მეორე: „ჰერეთი“, როგორც სამშობლოს ცნება **ქართველურ ენოვანი** ხალხების ცნობიერებაში“;

მესამე: „ძველი და ახალი „აღთქმა“ **საქართველოს** ისტორიის წყაროა“;

მეოთხე: „ვეფხის-ტყაოსნის“ სიტყვათა წყობა **ქართველურ ენოვანი** ხალხებისათვის გამაერთიანებელი დაუმრეტელი წყაროა, მსგავსად ქართული მრავალხმიანი სიმღერისა და სუფრაზე ქართველურ ენოვანი ხალხების მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოებისა“.

როგორც მონოგრაფიების დასახელებებიდან ჩანს, მართალია ყველა მონოგრაფია დამოუკიდებელია, მაგრამ ყველა მათგანი ურთიერთდაკავშირებულია **საქართველოს ისტორიასთან**. აქედან სხვადასხვა ინტერნეტ გზავნილში ერთი და იმავე თემის **განმეორებითი განხილვა** და სხვადასხვა კუთხით **განმეორებითი მტკიცებულება**.

*

მეორე ინტერნეტ გზავნილი შემადგენელი ნაწილია პირველი მონოგრაფიისა: „წარმართი ღმერთები საქართველოს ისტორიის შემადგენელი ნაწილია“, რომელსაც ჩვენ ვიწყებთ **იმ ტერიტორიის დაფიქსირებით**, რომელიც ჩვენი ოთხივე მონოგ-



რაფიის კვლევის საგანს წარმოადგენს.

ქართველურ ენოვანი ხალხების ჩამოყალიბების პროცესის წინა პირობას განსაზღვრავდა სამხრეთ კავკასიის ბუნებრივად ჩაკეტილი ლანდშაფტი, გადაჭიმული სამხრეთი კავკასიის ქედის გაყოლებით ორ – შავ და კასპიის ზღვებს შორის, განსხვავებით, ვთქვათ, სლავების ან გერმანულ ენოვანი ხალხების განსახლების ტერიტორიებისა, რომლებიც ურალსა და ალპებს შორის სივრცეებს მოიცავენ.

ქართველურ ენოვანი ხალხებით დასახლებული ტერიტორია, კასპიის ზღვის მხრიდან შემოიფარგლებოდა დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიით, ხოლო შავი ზღვის მხრიდან დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ერზრუმის – ყოფილი ყარსის მთიანეთით.

აღნიშნულ ტერიტორიაზე, სადაც ბოლო გამყინვარების შემდეგ, როდესაც ეს ბუნებრივი მოვლენა არ უნდა მომხდარიყო, ცხოვრობდა ამ ტერიტორიის აბორიგენი – საერთო ქართველურ ენოვანი ხალხების წინაპარი, წინარე სვანურ ენაზე მოლაპარაკე ყოველი ჩვენგანის წინაპარი.

როდესაც სვანების თვითსახელი „მუშნი“ სინონიმია სიტყვა „მშენებლისა“ და სვანეთი „შუან“ ქართველურ ენოვან ხალხებს შორის „შუა ადგილას“ მცხოვრებ ხალხს ნიშნავს¹¹, მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ ვიდრე სვანებს მათი განაყოფი მემკვიდრეები აიძულებდნენ ღმერთების სასუფეველში კავკასიის მთებში განიზნულიყვნენ, დღევანდელი სვანების წინაპრები, ამჟამინდელი ქართველებით დასახლებულ ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიას განაგებდნენ.

ქართველები პირველ ევროპელებად მიჩნეული დმანისელი ნეანდერტალელი „მზიასა“ და „ზეზვას“ შთამომავლები ვართ და კანიბალიზმის პერიოდი გამყინვარების პერიოდის დასრულების შემდეგ გავიარეთ. (გარეკანის მესამე გვერდზე „მზიასა“ და „ზეზვას“ პორტრეტები).

შედეგი იმისა, რომ გამყინვარების პერიოდში მიმდინარეობდა ჩვენი წინაპრების, როგორც ხალხის ჩამოყალიბება შავი და კასპიის ზღვებს შორის ტერიტორიაზე, არის ქართველურ ენოვანი ხალხების გენეტიკური რიდი, აქედან გამომდინარე სიძულვილი (неприязнь) უსახელო ზღვებზე ყველა მცურავი საშუალებით გადაადგილება. სწორედ ამიტომ შავი და კასპიის ზღვების ქართული სახელები არ არსებობენ

შეუძლებელია ბუნებრივად ჩაკეტილ პატარა ტერიტორიაზე გადმოასახლო, ან ნებაყოფლობით მოვიდეს ერთ ფუძე ენაზე მოლაპარაკე, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე: სვანები, მეგრელები, ქანები, ქართველი და დასახლო, ან დასახლოდნენ ერთიმეორის თანმიმდევრობით ისე, რომ მათი წინაპარი ამ ტერიტორიაზე მცხოვრები აბორიგენი არ ყოფილიყო და მათი დანაწევრება ენების მიხედვით, ამ ტერიტორიის ფარგლებში არ მომხდარიყო.

სწორედ, ქართველურ ენოვანი ხალხების საცხოვრებელმა ტერიტორიამ, გარე სამყაროსთან ბუნებრივად ჩაკეტილმა ლანდშაფტმა განსაზღვრა, ქართველურ ენოვან ხალხებს შორის მრავალხმიანი სიმღერის წარმოშობა.

ქართველურ ენოვანი ხალხების მრავალხმიანი სიმღერა, მთავარი მტკიცებულებაა იმისა, რომ ქართველები სამხრეთ კავკასიის ერთადერთი აბორიგენი ხალხია.

არც ერთ ხალხს, რომლებიც დღეს ცხოვრობენ ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში არ ახასიათებს მრავალხმიანი სიმღერა: „В отличие от других народов Закавказья, а также Ближнего и Среднего Востока, чья традиционная музыка одnogолосна, грузины примерно 1000 лет назад создали многоголосную народную музыку“.¹² სადაც „примерно 1000 лет назад“ პირდაპირ მიანიშნებს შოთა რუსთაველის ეპოქაზე, როდესაც დავით აღმაშენებლის ძალისხმევით ყველა ქართველურ ენოვანმა ხალხმა ერთ სახელმწიფოში დაიწყო ცხოვრება.

¹¹ თეიმურაზ მიბჩუანი 1989 წ. „დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზი, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან“. თავი I. სვანთა ეთნოგენეზის საკითხისათვის.

¹² Москва 1966 г. „Энциклопедический музыкальный словарь“, ст. 133.



ამიტომ შეიძლება თამამად ითქვას, ყველა ის ხალხი, რომელიც დღეს ცხოვრობს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში, ამ ტერიტორიაზე მოსული ხალხია, რაც თავის მხრივ არ გამორიცხავს იმას, რომ მოსული ხალხები როგორც ერი კავკასიაში ჩამოყალიბდა. მათ შორის სომხები კავკასიაში მოსული ხალხია: „Армянская музыка развивалась в виде монодичной (одноголосой) культуры“.¹³

სომხების ერთხმიანობა, ერთ-ერთი არგუმენტი ჩვენი მტკიცებულებისა იმის შესახებ, რომ სომხები სამხრეთ კავკასიაში მოსული ხალხია და ძვ.წ. VII საუკუნის შემდეგ პერიოდში, ისრაელის 10 დაკარგული ტომის ბაზაზე, როგორც ერი ჩამოყალიბდა.

ამასთან ერთად საბჭოთა პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მრავალხმიანობის შესახებ 1966 წელს გამოცემულ მუსიკალურ ლექსიკონში წერია „В Абхазской музыке преобладает 2-голосный склад, иногда встречается трехголосие“¹⁴.

მრავალხმიანობა, როგორც ქართველურ ენოვანი ხალხების გამაერთიანებელი ფაქტორი პირობითი ნუმერაციით დავაფიქსიროთ როგორც **მეჩვიდმეტე** მიგნება. აქედან მეოთხე მონოგრაფიის დასახელება: „ვეფხის-ტყაოსნის“ სიტყვათა წყობა **ქართველურ ენოვანი** ხალხებისათვის **გამაერთიანებელი დაუშრეტელი წყაროა**, მსგავსად ქართული მრავალხმიანი სიმღერისა და სუფრაზე ქართველურ ენოვანი ხალხების მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოებისა“.

რუსთაველი წერს:

„ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია:

„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“

რაც შეეხება სუფრაზე თამადის მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოებს, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც თამადას დაუდგეს ქანდაკება. გარეკანის ბოლო გვერდზე თბილისში შარდენის ქუჩაზე ყანწით ხელში თამადის ქანდაკებაა. ამ ქანდაკების პატარა ზომის ბრინჯაოს ორიგინალი, 2006 წელს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მცხეთასთან იქნა აღმოჩენილი და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით დათარიღდა.

მრავალხმიანი ქართველურ ენოვანი ხალხების სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბების განმარტება, ჩვენი ყველა კვლევის საწყისი დებულებაა, ჩვენი ყველა დასკვნის ბაზისია.

ამასთან ერთად ქართული ენა ადვილად უკავშირდება უცხო ენებს, ადვილად ითვისებს მეზობელი და შორეული ქვეყნიდან საქართველოში მოსული (დამპყრობელი ან კეთილმოსურნე) ხალხების აზროვნებისა და მეტყველების ელემენტებს, შეუძლია სრულად, დამახინჯების გარეშე გადმოსცეს აბსტრაქტული აზრის ცნებები.

*

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს იყვნენ თუ არა ქართველურ ენოვანი ხალხები რომელიმე სხვა ხალხის წინაპარი, მაგალითად შუმერების, მესოპოტამიის უძველესი მოსახლეობის ან მრავალხმიანი პოლიფონიის მატარებელი, პირენეს ნახევარკუნძულზე, ესპანეთის იბერიაში მცხოვრები ბასკების, მსოფლიოს ნებისმიერი ხალხებისა.

წარმართი მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის რელიგიის გავრცელების არეალი როგორც იყო ნათქვამი მოიცავდა ტერიტორიას **ესპანეთის პირენეს ნახევარკუნძულიდან ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებამდე, ინდოეთამდე და ჩინეთამდე.**

*

¹³ Москва 1966 г. «Энциклопедический музыкальный словарь», ст. 27.

¹⁴ Москва 1966 г. „Энциклопедический музыкальный словарь“, ст. 6.



სხვადასხვა წარმართული და მონოთეისტური რელიგიის **ისტორიული კუთხით** თითქმის 30-წლიანი შესწავლის შედეგად ჩვენ მივედით დასკვნამდე: შუმერული კულტურა ისტორიულ არენაზე შეცვალა სემიტურმა **აქადურმა**, რომლის მემკვიდრეები გახდნენ სემიტური წარმოშობის **ასურები – ასირიელები**, რომლებიც როგორც ჩანს ბევრად ადრე, ვიდრე ძვ. წ. XII – XI საუკუნეში ასირიის **დედაქალაქი გახდებოდა ქალაქი „კოლხა“**, კასპიის ზღვის მხრიდან, ამოდიოდნენ სამხრეთ კავკასიაში, ქართველურ ენოვანი ხალხებით დასახლებულ ტერიტორიაზე.

ასურების – ასირიელების სამხრეთ კავკასიაში მოსვლის მიზეზს შეადგენდა ქართველურენოვან ხალხებიდან შეძენილი **ოქრო** (საყდრისის საბადო) და კახეთის საინგილოში – ნახჭევანის მახლობლად არსებულ დუზდაგში და დღევანდელ თურქეთში მდებარე ალზევანში შეძენილი **ქვამარილი**, ალზევანსა და მდინარე ენგურის შავ ზღვასთან შესართავს შორის მოწყობილი, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, სასაწყობო მეურნეობიდან, ფინიკიური წყაროების თანახმად **ოქრო**, ჩვენი კონცეფციით ქვამარილიც (ოქროს ექვივალენტი) გაეტანათ ფინიკიელ მეზღვაურთა მეშვეობით (რომლებიც ასირიის საზღვაო ფლოტის ავანგარდს წარმოადგენდა) ასურეთის – ასირიელების დედაქალაქ **„კოლხაში“**.

როგორც ჩანს, ფინიკიელი მეზღვაურების მეშვეობით ბევრად ადრე, ვიდრე **კოლხეთში** მოვიდოდნენ ელინები, **გავრცელდა ხმები**, შავი ზღვის სანაპიროზე „კოლხეთში“ **ოქროს არსებობის შესახებ**. აქედან ჩვენი **მეთვრამეტე მიგნება**, რომ ტოპონიმი „კოლხეთი“ წარმოდგება ასურების – ასირიელების ახალი დედაქალაქის სახელიდან „კოლხა“.

აქვე უნდა ითქვას, ტოპონიმ „კოლხეთის“ შესახებ. ძნელი სათქმელია მეფის რუსეთში სასწავლებლად წასულმა რომელმაც ქართველმა სტუდენტმა პირველმა აღმოაჩინა, რომ ევროპელები საქართველოს შავიზღვისპირეთს „კოლხეთს“ უწოდებდნენ¹⁵, როდესაც ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი 1735-1752 წლებში შექმნილ კავკასიის და ევროპის რუკების ატლასში, საქართველოს შავიზღვისპირეთს ეგრისად და აფხაზეთად მოიხსენიებს.

*

თუ ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ყოფნას (მოსვლის მიზეზის აუხსნელად) ადასტურებს „ქართლის ცხოვრება“, ის, რომ ასირიელებს ფინიკიელი მეზღვაურების მეშვეობით ჰერეთში შეძენილი **ოქრო** და ალზევანში კი ქვამარილი შავიზღვისპირეთიდან გაჰქონდათ ასირიაში, ამის ერთ-ერთი დასტურია მრავალი ბერძნული მითი კოლხეთში **ოქროს არსებობის შესახებ** და მეცნიერთა გამოკვლევა ჰერეთში, საყდრისში **ოქროს საბადოების შესახებ**. ის რომ ქართველურ ენოვან ხალხებით დასახლებულ სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე გავრცელებული იყო მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის რელიგია, ერთ-ერთი მტკიცებულებაა მდინარე ჭოროხის ძველი სახელი „აფსაროსი“.

შეგახსენებთ, როდესაც ქართველურ ენოვანი ხალხებით დასახლებულ სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე, „ორფიკული არგონავტიკის“¹⁶ თანახმად ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში საკუთარი „ოქროს საწმისის“ უკან დასაბრუნებლად მოვიდნენ ახალგაზრდა ერის – ელინების წარმომადგენლები, პონტოს – შავი ზღვის სანაპიროს უკვე ერქვა „კოლხეთი“ და მედეას ძმას წარმართი ღმერთის „აფსირტეს“ სახელი.

¹⁵ ფრანგული ატლასი - Atlas universel, par M. Robert, géographe ordinaire du Roy, et par M. Robert de Vaugondy son files, geographe ord. Paris, 1757.

რუსული ატლასი – Учебный исторический Атласъ (второе, исправленное и дополненное издание), Сост. Баронъ Н. Торнау. С.-Петербург. 1899.

¹⁶ „ორფიკული არგონავტიკის“ ძველბერძნულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო ნათელა მელაშვილმა, რედაქტორი აკაკი ურუშაძე. თბილისი 1977 წ.



ქართველურ ენოვან ხალხებთან შედარებით ახალგაზრდა ერის შვილების, ელინების მიერ შავი ზღვის აკვატორიის ათვისების თარიღის ათვლა, ბერძნული წყაროების თანახმად, მიხსლოებით ძვ.წ. VII საუკუნის შემდეგ უნდა მოხდეს, როდესაც ბერძნებმა დაძლიეს ხმელთაშუა და შავ ზღვებზე ფინიკიელი მეზღვაურების ჰეგემონია და მათთვის „პონტოს“ შავი ზღვა, „არაკითილმოსურნედან“ „კითილმოსურნე“ გახდა.

როდესაც კოლხეთში მოვიდნენ ბერძნები, იქ ქართველურ ენოვანი სვანების ნაცვლად ცხოვრობდნენ, მათგან წარმომდგარი მეგრელები „მარგალ“. „მარგული“ მიწაზე მომუშავეს ნიშნავს. აქედან ბერძნული „გეორგია“ ქართველი, მიწაზე მომუშავე ხალხი.

*

სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე სათავეს იღებს და მიედინება ორი მდინარე – **მტკვარი და ენგური.**

მტკვარი, რომლის სიგრძე 1364 კილომეტრია, მცირე კავკასიონიდან კასპიის ზღვაში ჩაედინება, რომელსაც მარტო ქართველურ ენოვანი ხალხები მტკნარ წყალს – მტკვარს უწოდებენ, როდესაც მთელი დანარჩენი სამყარო, ძვ.წ. VI საუკუნის სპარსეთის მეფის კიროს II-ის პატივსაცემად „კირს“ – „კურას“ უწოდებს, რაც ჩვენი კონცეფციის ერთ-ერთი მტკიცებულებაა იმის შესახებ, რომ სპარსეთის მეფეები კიროს დიდი და დარიოს I, როგორც იოსებ სტალინი, დაიბადნენ ქართველურ ენოვან ოჯახში და მრავალენოვანი იმპერიის მმართველები გახდნენ.

კიროს დიდზე და დარიოს I ივრით-არამეულ ენაზე დაწერილ „ძველი ალთქმის“ ორიგინალურ ტექსტში, ეზრას წიგნში ვკითხულობთ: „მაშინ დარიოს მეფემ გასცა ბრძანება და მიჩხრიკეს წიგნთსაცავები ბაბილონში, სადაც საგანძური ინახებოდა. და იპოვეს ახმეტაში, მიდიის მხარის ციხე-ქალაქში, ერთი გრაგნილი, რომელზედაც ასე ეწერა: ძეგლისწერა – მეფე კიროსის მეფობის პირველ წელს მეფე კიროსმა გასცა განკარგულება : ღვთის სახლის თაობაზე იერუსალიმში: აშენდეს ტაძარი იმ ადგილზე, სადაც შეიწირება მსხვერპლი; და მტკიცე საძირკველი ჩაეყაროს. სიმაღლე მისი სამოცი წყრთა იყოს, სიგანე მისი სამოცი წყრთა; სამი წყება დიდრონი ქვებისაგან იყოს, და ერთი წყება – ძელებისაგან; და ხარჯებს მეფის სასახლე გაასწორებს“ (ეზრ. 6–1,2,3)¹⁷. აქვე იბადება კითხვა, რომელზედაც ჩემთვის მისაწვდომ ლიტერატურაში რაციონალური კუთხით პასუხი არ იძებნება: რატომ გაიღეს ხარჯები ძვ. წ. VI საუკუნეში მცხოვრებმა სპარსეთის წარმართმა მეფეებმა ქალაქ იერუსალიმში აბრაამის ღმერთის სამლოცველოს აგებისათვის. პასუხი ამ კითხვაზე იხილეთ ჩვენს მონოგრაფიაში: „ძველი ალთქმა, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო“. ამ ეტაპზე აღვნიშნავ, იუდას ტომის რედაქტორობით ივრით-არამეულ ენაზე დაწერილი „ძველი ალთქმის“ ორიგინალურ ტექსტში ნახსენები ქალაქი „ახმეტა“ მდებარეობდა ჰერეთში, დღევანდელი ნეკრესის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ძვ.წ. 722 წლის შემდეგ თითქმის VIII საუკუნემდე განლაგებული იყო დიასპორაში მყოფი ისრაელთა 11 ტომის ხელმძღვანელის, ბენიამინის ტომის ხელმძღვანელის – ეფზილარქის რეზიდენცია.

სწორედ ბენიამინის ტომის ტოტემური სიმბოლო „მგელი“ არის გასაღები საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ფიგურის (რომელმაც ჩვ. წ. V საუკუნეში ერთ სახელმწიფოდ გააერთიანა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო) მეფე ვახტანგ I, გორგასალად წოდებულის ნამდვილი ბიოგრაფიის დასადგენად („მგლის“ თავი ვახტანგ I-ზე, მონოგრაფიაში „ძველი და ახალი „ალთქმა“ საქართველოს ისტორიის წყარო“. იხილეთ პირველ გზავნილში მეცხრე მიგნება-აღმოჩენა).

რაც შეეხება ისრაელთა 11 ტომის ძვ.წ. 722 წლის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში დასახლებას, ამ დასკვნამდე მივიდა ჰერეთის ტოპონიმიკის შესწავლის შედეგად

¹⁷ საქართველოს ბიბლიური საზოგადოება, თბილისი 2001 წ.



დიდი ქართველი მეცნიერი არქეოლოგი და ისტორიკოსი, აკადემიკოსი **ლევან ჭილაშვილი**. ბატონი ლევანი 2001 წელს გამოცემული წიგნის „ტოპონიმიკური შენიშვნების“ 36-ე გვერდზე წერს: „როგორც ირკვევა, ლტოლვილ ებრაელთა ნაკადი საქართველოსაკენ მარტო ნაბუქოდონოსორის მიერ დევნილებით არ ამოიწურება, **მანამდეც, ასურეთის მიერ ისრაელის დაპყრობის შედეგადაც**, ძვ.წ. 722 წ. ივარაუდება ებრაელთა რაღაც ნაკადის შემოსვლა“.

თუ გავითვალისწინებთ ბატონი ლევანის დასკვნას, რომ „საქართველოში ძვ.წ. 722 წ. ივარაუდება ებრაელთა რაღაც ნაკადის შემოსვლა“, და ამ დასკვნას შევაჯერებთ ქართველი არქეოლოგების მიერ მცხეთაში აღმოჩენილი და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით დათარიღებულ თამადის ქანდაკების წლოვანებას, შეიძლება დავასკვნათ, რომ **ქართველურ ენოვანი ხალხები, ვახტანგ გორგასლის წინაპრების საქართველოში დასახლებას ქართული დვინით სავსე ყანწით ხელში მიესალმებოდნენ (იხილეთ გარეკანის ბოლო გვერდი). ეს დასკვნა ბელეტრისტიკაა, ხოლო ჩვენი კვლევის თანახმად, სწორედ ძვ.წ. 722 წელს იწყება ებრაელი და ქართველი ხალხების სამიათას წლოვანი მეგობრული თანაცხოვრება.**

*

„ძველი აღთქმის“ და საერთოდ ისტორიის შემსწავლელ მეცნიერთათვის ჩვენს პუბლიცაციაში უცნობი იყო კიროს II-ის კავშირი ჰერეთში მდებარე ქალაქ – **ახმეტასთან**“, რადგანაც „ძველი აღთქმის“ ყველა სხვა გამოცემა არა ივრით-არამეულ ენაზე დაწერილი ორიგინალური ტექსტიდანაა ნათარგმნი, არამედ როგორც იყო ნათქვამი, ბერძნულ ენოვან ებრაელებისათვის ნათარგმნი „ძველი აღთქმის“ ტექსტიდან, რომელშიც ქალაქ „ახმეტის“ მაგივრად ქალაქი „ეკატანა“ ფიქსირდება. სამაგიეროდ ამ მეცნიერთათვის ცნობილია ძვ. წ. VI საუკუნეში სოლისებური – ლურსმნული, არა ანბანური დამწერლობით შესრულებული აქადურ-ასირიულ ენაზე დაწერილი თიხის ცილინდრის შინაარსი კიროს დიდის შესახებ .

თუ ამ ორ ცნობას შევაჯერებთ კიროს დიდის ბიოგრაფიად მიჩნეულ ძვ. წ. V საუკუნეში მოღვაწე „ისტორიის მამად“ წოდებულ ჰეროდოტეს ცნობებს კიროსის დაბადების შესახებ, როდესაც „ისტორიის მამას“ წარმოდგენაც კი არა აქვს ებრაელებზე არც ერთ განსახიერებაში, არც როგორც იუდეველების, არც როგორც ისრაელების სახით, მაგრამ მიაჩნია, რომ **კოლხები ეგვიპტიდან მოსული ხალხია, რომლებიც მისდევენ წინადაცვლას**, დავასკვნით, რომ სანამ კავკასიური წარმოშობის (არა სპარსელი) კიროს დიდი, მიდიას და სპარსეთს დაიპყრობდა და სპარსეთის მეფე გახდებოდა, ის იმპერიის ერთ-ერთ პროვინციაში, მდინარე „კირს“ (მტკვარს), „კამბის“ (იორს) და ანშანს (ალაზანს) შორის, ჰერეთში შემავალ კამბეჩოვანში დაიბადა. იმედია ამ საკითხს შეისწავლიან XXI საუკუნეში დაბადებული ქართველი მეცნიერები.

*

მონოგრაფიაში „ბიბლიიდან ვეფხის-ტყაოსნამდე“, მეორე დამოუკიდებელი მონოგრაფიაა „ჰერეთი“, როგორც სამშობლოს ცნება ქართველურ ენოვანი ხალხების ცნობიერებაში“. ჩვენ, როგორც წესი ვერიდებით გამოვთქვათ ჰიპოთეზა. ჩავთვალოთ დროებით ჰიპოთეზად ჩვენი **ვარაუდი** იმის შესახებ, რომ სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ყველა ქართველურ ენოვანი ხალხისათვის „ქართლის ცხოვრების“ ჩაწერამდე ტოპონიმი „ჰერეთი“ და ეთნონიმი „ჰერი“ ერთიანი საქართველოს ტერიტორიის და ამ ტერიტორიაზე მცხოვრები არა სემიტი, არა ინდოევროპელი ქართველურ ენოვანი ხალხების აღმნიშვნელი სიტყვა იყო. დროებით ჰიპოთეზის დაფიქსირების შემდეგ დავბრუნდეთ საქართველოს ულამაზეს მხარეში ჰერეთში.

სიტყვა „ჰერი“-დან წარმოდგება „ჰერეთში“ მცხოვრები ქართველურ ენოვანი ხალხების ძირძველი წარმართი მზის ქალღმერთის სახელი „ჰერა“. შეიძლება ითქვას, რომ ზეციური ქალღმერთი „ჰერა“, ქართველურ ენოვანი ხალხების მთავარი ღმერთი იყო. ჩვენი წინაპრების წარმოდგენით ქალი „მზე“ მამაკაც „მთვარეზე“ მალ-



ლა იდგა. ქალღმერთი „ჰერას“ სათაყვანებელი სიმბოლო, წმინდა ხარი იყო. ხ--//ჰ--პრეფიქსის თანახმად ხარი – ჰხარია, ხარი „ჰერეთის“ ფუძეა.

როდესაც კოლხეთში მოვიდნენ ახალგაზდა ერის ულინების წარმომადგენლები, მათ თავიანთ ქალღმერთს „გეას“ გადაარქვეს სახელი და უწოდეს სამხრეთ კავკასიის აბორიგენი ქართველურ ენოვანი ხალხების მთავარი ქალღმერთის „ჰერას“ სახელი.

იმის შესახებ, რომ ბერძნებმა თავის ქალღმერთ „გეას“ შეუცვალეს სახელი „ჰერათი“, წერდა 1983 წელს გამოცემულ „მითოლოგიურ ლექსიკონში“ მისი ავტორი, მწერალი და მთარგმნელი ბატონი აკაკი გელოვანი: „ბერძენთა სიბრძნე მითებშიც ჩანს. ძველ ღმერთებს – გეას, კრონოსს, ევმენიდებს, ურანოსს ცვლიან ახალნი – ზევსი, ჰერა, აპოლონი, ათენა . . . იცვლება წესი, ხდება განახლება, ბნელს შუქი ცვლის, ძალადობას თავისუფლება. ასეა ცხოვრებაშიც, ასე უნდა იყოს, წინსვლის ლოგიკაა. მხოლოდ გადაბერებული ღმერთები და მათი დახავსებული აზრები ჯიუტობენ და ცდილობენ ახალ თაობებს მოძველებული დოგმები მოახვიონ. ეს უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. მითებში ეს კანონზომიერებაც აისახა“ (გვერდი 320).

ის, რომ ბერძნებმა ამირანის კულტი, რბილად რომ ვთქვათ პრომეთეს სახელით გადაიღეს ქართველურ ენოვანი ხალხების მითოლოგიიდან, წერდა დიდი ქართველი მეცნიერი შალვა ნუცუბიძე: „Огонь, похищенный грузинским богоборцем Амирани в открытом бою с Элием – богом грома и родителем молний, легко перекочевал на Запад, к грекам через Ионийское побережье и оказался, украденный, под полой Прометея“¹⁸

აქვე უნდა ითქვას, რომ ბერძნულ დამწერლობაში ქართულ ღმერთ „ჰერას“ პირველი ასოს „ჰ“-ს პირდაპირი ეკვივალენტი ასო არ არსებობს. ბერძნულში (როგორც ზოგადად ყველა ლათინურ ენოვან დამწერლობაში) ასო „ჰ“, ორი ასოს „kh“ ნიშნულით გამოიხატება.

ის, რომ ქართველურ ენოვანი ხალხებისთვის წარმართი ზეციური ქალღმერთი „ჰერა“ მთავარი ღმერთი იყო, არა ჰიპოთეზა, არამედ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აღმოჩენაა. ეს აღმოჩენა პირობითი ნუმერაციით ჩავთვალოთ რიგით მეცხრამეტე აღმოჩენად, რომელიც არ დაუფიქსირებია არა მარტო ქართველ და რუს ლიტერატურის და ისტორიის მკვლევრებს.

*

აქვე იხადება კითხვა, რატომ „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაი ქართლისაი“ არ აფიქსირებენ იმას, რომ საქართველოში ქართველურ ენოვანი ხალხებისათვის წარმართი ზეციური ქალღმერთი „ჰერა“ მთავარი ღმერთი იყო. ამ საკითხს განვიხილავთ მეოთხე ინტერნეტ გზავნილში, როგორც მეოცე მიგნება აღმოჩენას.

*

პირველი მონოგრაფიის „წარმართი ღმერთები საქართველოს ისტორიის შემადგენელი ნაწილია“, რომლის მთავარი თემაა არა ვარაუდი – ჰიპოთეზა, არამედ დასაბუთებული მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მიახლოებით ძვ.წ. X საუკუნეში ასურებმა – ასირიელებმა ქართველურ ენოვანი ხალხებით დასახლებულ სამხრეთ კავკასიაში – პირველად ჰერეთში, შემდგომში კი შავიზღვისპირეთში, გაავრცელეს შუმერული წარმომობის მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის სამ სახელიანი ერთი ღმერთის „აბჟუ-ავსარ-ენგურის“ რელიგია.

სწორედ კითხვას, თუ რატომ ჰქვია მდინარეს, რომელიც მიედინება მარტო საქართველოს ტერიტორიაზე სახელი ენგური, როგორც ვნახავთ არ გასცა პასუხი ბატონმა აკაკი გელოვანმა „მითოლოგიურ ლექსიკონში“, როდესაც სხვა მხრივ, როგორც იქნება ნაჩვენები აფიქსირებს სვანეთის ტოპონიმში წარმართი ღმერთის სახელს.

თუ რატომ ჰქვია სამხრეთ კავკასიაში მდინარეს სახელი „ენგური“, ეს საკითხი არ

¹⁸ Ш. И. Нуцубидзе. Собрание сочинений, том V, ст. 574.



განუხილავთ და მასზე პასუხი არ გაუციათ არც ერთ არა მარტო ქართველ მეცნიერს. სწორედ ამიტომ ისტორიკოსებისთვის უცნობია, ვინ იყვნენ I-ელი საუკუნის რომაელი მწერლის გაიუს სეკუნდუს პლინიუსის მიერ ნახსენები „აფსილები“ – „აფშილები“.

სწორედ ამიტომ ყველა ერის ისტორიკოსებისა და პოლიტიკოსებისათვის უცნობი იყო, რომ რუსეთ-ოსმალეთის 1877–1878 ომამდე, ეგრეთ წოდებულ მუჰაჯირობამდე, სიტყა „აფსუა“ ნიშნავდა არა ნაციონალობას, არამედ ქართველურ ენოვანი ხალხების რელიგიურ მრწამს. დარწმუნებული ვარ იოსებ სტალინს, რომ სცოდნოდა სიტყვა „აფხაზი“ ისტორიულ წარსულში ნიშნავდა არა ნაციონალობას, არამედ რელიგიურ მრწამს, ყველა ღონეს იხმარდა, რომ 1921 წლის 4 მარტს არ გამოცხადებულიყო აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ეს ქართველი ერისათვის მიუღებელი გადაწყვეტილება, სტალინმა როგორც პოლიტიკოსმა იმით გამოასწორა, რომ 1931 წელს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, შექმნა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

*

ცნობილია, რომ მდინარე ენგურის სიგრძე 213 კალომეტრია. მისი სათავე მყინვარ **„ენგურიდან“** იწყება და ის შავ ზღვაში ჩაედინება.

საიდან წარმოდგება მდინარე **„ენგურის“** სახელი, რიგითმა ქართველმა მკითხველმა მას შემდეგ შეიტყო, რაც პოეტმა და მთარგმნელმა აკაკი გელოვანმა 1983 წელს „მითოლოგიური ლექსიკონი“ გამოაქვეყნა. მაგრამ მკითხველისათვის უცნობი დარჩა, რატომ დაარქვეს ქართველთა წინაპრებმა მდინარეს სახელი „ენგური“.

ბატონი აკაკი გელოვანი მდინარე „ენგურზე“ წერს: **„ენგურა. ენგური** (შუმერ. „წყალი“) – მიწისქვეშა წყალი და მსოფლიო ოკეანის სინონიმი შუმერთა მითოლოგიაში. ეს განმწმენდელი მქუხარე ნაკადი, აბზუს უფსკრულის სინონიმი, კუმტ კლდეთა შორის მიედინება და აბზუს უფსკრულში იკარგება. **ქუხილით გაივლის ლახამს.**

საქართველოს ერთ-ერთი მთავარი მდინარის, **ზემო სვანეთის სალ კლდეთა შორის მქუხარე ენგურის ეტიმოლოგია ძნელი დასადგენია, მაგრამ შემთხვევითი არ უნდა იყოს ძველი შუამდინარეთის ამ მთავარი მითური მდინარისა და ჩვენი ენგურის სახელის დამთხვევა.**

ამ მდინარის მახლობლადაა **სვანეთში ორი სოფელი – ლახამი და ლახამულა** – რომელთა სახელები ემთხვევა შუმერულს: **ენგური ლახამის მდინარეა.** აღიღებული ენგური ქალაქთა რისხვაა. „ქალაქ არატას მთანთქავს მამინ ენგურის ქაფი“ (ლუგალბანდა, 408).

ენგური, იგივე აფსუ, აბზუ დასაბამი მდინარეა, წიაღთა მტკნარი ნაკადი, საიდანაც გამოედინება ყველა მიწიერი წყარო-მდინარე. მთის ზიქურაღზე სწირავდნენ მსხვერპლს და აკმევდნენ საკმეველს.

ჩვენს ვარაუდს ამაგრებს სიტყვის სხვა ანალოგებიც. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი **მხარეა ეგრისი;** წყალდიდობის თვის აპრილის ძვ. ქართ. სახელია იგრიცი, იგრიკა („დაიძინა მეორესა დღესა, თთუესა იგრიკისა“; „აღესრულა აპრილის თთუესა, რომელ არს იგრიკაი“); ამირანიანში გვხვდება იგრი-ბატონი; **ბასკურად** აინგურა – ღუზა (ზღვის სიმბოლო); **კოლხური** ინგირი, ინგური – წყლის ღმერთის სახელი, სოფელს ეწოდება (ინგირზე შ. ნუცუბიძეც მიუთითებს, მაგრამ არ ახსენებს მთელი შუმერეთის ღმერთს ეას, წყალთა ღვთაებას, **რომლის სინონიმებია ენკი და ენგური**) ; მეორეს მხრივ, იგივე ენგური–ენკი–ეა კოლხეთის ძველ ქალაქ ეას, აიას შემორჩა.

ენგური – ესაა ენკი, ტიპური შუმერული ღმერთი, ყველა შემთხვევაში მდინარე წყალთა განსახიერება (ნ. აფანასიევა, გილგამეში და ენქილუ 26).

ენგურს, მტკნარ მდინარე-ოკეანეს, თავისი პიქტოგრაფიული ნიშანი ჰქონდა, რომლის გულშიაც თითქოს ვარსკვლავი კიაფობს. რქოსან-სხივოსანი ვარსკვლავი დიდების სიმბოლოა შუმერშიც, ეგვიპტეში და ანტიკურ სამყაროშიც“ (ა. გელოვანი 1983 წ. „მითოლოგიური ლექსიკონი“ გვ.165).

ბატონი აკაკი გელოვანი „მითოლოგიურ ლექსიკონში“ „ლახამზე, ლახამუ – პირ-



ველქმნილი ქაოსის აბზუს (აპსუს) მრისხანე შვილზე“ წერს: „ლახამუ – რომელიღაც ფანტასტიკური არსება, მიწისქვეშა წყალთა სტიქიის განსახიერება, იგივე ლახმი და ლახამუ – ღვთაებრივი წყვილი შუმერულ მითოლოგიაში, ალბათ იგივე ეა და დაქინა. **ეა უდავოდ მიწისქვეშა წყალთა ღმერთია.**

ლახამი, ლახამუ – პირველქმნილი ქაოსის აბზუს (აპსუს) მრისხანე შვილი შუმერთა მითოლოგიაში; აბზუს მიწისქვეშეთი, ქვესუნელის სამეფო: ლახამის დემონები განაგებენ მიწისქვეშა წყლებსა და მსოფლიო ოკეანეს, რომელნიც ღმერთმა ენკიმ შექმნა. მათი რიცხვია 50. ამ შუმერული სიტყვიდან უნდა იყოს **შემორჩენილი ორი სოფლის სახელი ზემო სვანეთში: ლახამი და ლახამულა**, რომელთა ეტიმოლოგია დღემდე აუხსნელია. ეს ვარაუდი მით უფრო დამაჯერებელი ჩანს, რომ ორივე სოფელს ახლოს ჩამოუდის და ქვესუნელივით ღრმა ხეობაში მოჰქუხს **ენგური**, რაც აგრეთვე შუმერული სიტყვაა. სიტყვათა ასაკი 5000-6000 წელი“ („მითოლოგიური ლექსიკონი“ გვ. 276).

ორივე შემთხვევაში ბატონმა აკაკი გელოვანმა ქართველ მკითხველს განუმარტა: „ენგურის **ეტიმოლოგია ძნელი დასადგენია**, მაგრამ **შემთხვევითი** არ უნდა იყოს ძველი შუამდინარის ამ მთავარი მითიური მდინარისა და ჩვენი ენგუროს სახელის დამთხვევა“.

„ამ შუმერული სიტყვიდან უნდა იყოს შემორჩენილი **ორი სოფლის სახელი ზემო სვანეთში: ლახამი და ლახამულა, რომელთა ეტიმოლოგია დღემდე აუხსნელია**“.

მაგრამ პოეტმა და მთარგმნელმა, ბატონმა აკაკი გელოვანმა, ქართველ მკითხველს არ განუმარტა, **რ ა ტ ო მ დ ა ა რ ქ ვ ე ს** ქართველურ ენოვანმა ხალხებმა მის ტერიტორიაზე გამდინარე მდინარე „ენგურს“ შუმერულ-აქადური (ბაბილონური)-ასირიული მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი ღმერთის „აბზუ-აპსარ-ენგურის“ სახელი და რატომ ჰქვია სვანეთში ორ სოფელს – ლახამი და ლახამულა.

როგორც ვხედავთ ბატონი აკაკი **ახლოს იყო** დაეფიქსირებინა ერთი შეხედვით ანბანური ჭეშმარიტება, რომ ისტორიულ წარსულში საქართველოში გავრცელებული იყო შუმერულ-აქადური (ბაბილონური) – ასირიული მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი „აბზუ-აპსარ-ენგური“ ღმერთის რელიგია და ამის გამო ისტორიულ წარსულში, ქართველურ ენოვანმა ხალხებმა, მათ ტერიტორიაზე გამდინარე მდინარეს, წარმართი ღმერთის „ენგურის“ პატივსაცემად დაარქვეს სახელი „ენგური“.

*

ამ შემთხვევაშიც იბადება კითხვა, რატომ „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაი ქართლისაი“ არ აფიქსირებენ, რომ საქართველოში ქართველურ ენოვან ხალხებს შორის გავრცელებული იყო წარმართი მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის რელიგია. ამ საკითხსაც, როგორც ზეციური ქალღმერთ „ჰერას“ საკითხს განვიხილავთ მეოთხე ინტერნეტ გზავნილში, როგორც მეოცე მიგნება აღმოჩენას.

*

ის, რომ ასურებმა – ასირიელებმა ქართველურ ენოვან ხალხებს შორის დაახლოებით ძვ. წ. X საუკუნეში გაავრცელეს წარმართი მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის რელიგია, ნიშანდობლივია, რომ მათმა შთამომავლებმა სირიიდან მოსულმა 12-მა ასურელმა მამამ, ქართველურ ენოვან ხალხებს შორის ქრისტიანული რელიგიის გავრცელება-განმტკიცების საქმეში მიიღეს მონაწილეობა. ცნობილია, რომ მათ VI საუკუნეში დააარსეს: ალავერდის, დავითგარეჯის, ზედაზნის, მარტყოფის ღვთაების, ნეკრესის, შიომღვიმისა და ხირსის მონასტრები.

ასე დღევანდელი აისორების წინაპრებმა ქართველურ ენოვან ხალხებს შორის



ორი სულიერებასთან დაკავშირელი მოქმედება განახორციელეს: ჯერ გაავრცელეს წარმართი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის რელიგია, ხოლო შემდგომში ქრისტიანული რელიგია, რამაც ასახვა ჰჰოვა სიტყვაში „აისორი“, „აისული“ ქართველთა „სულის მესაიდუმლო“.

შეიძლება ითქვას, რომ ქართველურ ენოვანი ხალხების „სულის მესაიდუმლო“ აისორები, ებრაელები და ებრაელთა 10 დაკრული ტომის ბაზაზე ჩამოყალიბებული სომხები, ჩვენი კონცეფციით „ნებაყოფლობით“, ხოლო დღევანდელი პოლიტიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე „ძალდატანებით“ რუსეთთან შეერთებამდე, ქართველი ხალხისთვის უახლოესი ხალხები იყვნენ.

შეგახსენეთ, რომ XV საუკუნემდე ქართველი მეფეების უმრავლესობის დედა ან ბებია სომეხი დიდგვაროვანი ოჯახის წარმომადგენელი იყო. აქედან დედოფლების ან სიძეების პატივსაცემად სომხური და ქართული წარწერები ქართულ და სომხურ ეკლესიებზე, მსგავსად ფრანგული წარწერებისა ინგლისში მდებარე ეკლესიებზე. ინგლისის სამეფო გვირგვინზე კი განთავსებულია ფრანგულენოვანი წარწერა: „ღმერთი და ჩემი უფლება.“

*

პირენეს ნახევარკუნძულიდან ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების, ინდოეთისა და ჩინეთის ტერიტორიებზე გავრცელებული მუმერული წარმოშობის მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის „აპსუს“ ქართველურ ენოვანი ხალხისთვის „აფსარ“ რელიგიის მითოლოგია დაედო საფუძვლად „ძველი ალთქმის“ წიგნის „დაბადების“ მითოლოგიურ სიუჟეტებს. ეს ფაქტი არ აღიარეს იუდეველმა და ქრისტიანმა თეოლოგებმა, მაგრამ აღიარეს იმ მეცნიერებმა, რომლებიც მითოლოგიას და ბიბლიას შეისწავლიან ანალიტიკური აზროვნების კუთხით.

ამის შესახებ 1964 წელს ინგლისურ ენაზე გამოცემულ წიგნში „იუდეველთა მითოლოგია“ წერდნენ ინგლისელი მეცნიერები რობერტ გრევისი და რაფაელ პათაი. რუსულენოვან თარგმანში ვკითხულობთ: „Все священные документы добиблейской поры на древнееврейском языке были утеряны или намеренно скрыты от глаз будущих поколений. Они включают в себя “Книгу Яхве” и “Книгу Яшара”, эпические повествования о скитаниях евреев в пустыне и их приходе в Ханаан. . .

. . . Зато сохранилось довольно много священных документов тех времен, когда Библия была канонизирована. Евреи Европы и Африки были плодовиты на литературные труды. Они комментировали Моисеев Закон или сочиняли исторические, моралистические, анекдотические, назидательные комментарии к библейским текстам. В обоих случаях у авторов был в запасе большой мифологический материал, потому что миф всегда служил для поддержания сбивающих с толку законов, обычаев или общественных ритуалов. . .

. . . В течении многих веков иудейские и христианские теологи одинаково считали, что рассказ о сотворении мира, приведенный в Книге Бытия, был внушен самим Господом Богом и не имел никого отношения к другим священным книгам. Эта крайняя точка зрения ныне отвергнута всеми, кроме как фундаменталистами. После 1876 года несколько версии аккадского (то есть вавилонского и ассирийского) эпоса творения были найдены и опубликованы. . . . Хотя иудейские пророки постарались скрыть имена Апсу, Тиамат, Бау в нечего не значащих абстракциях.

. . . Более длинная версия эпоса творения начинается с рассказа о том, что „когда в вышине не было еще наречены небеса“, Отец Апсу и Мать Таимат соединились в хаосе и произвели на свет потомство – чудовищ, похожих на драконов“. Роберт Грейвс и Рафаэл Патай, „Иудейские мифы, книга Бытия“ Москва 2002, ст. 9, 10, 23, 39.

ამით აიხსნება ის, რომ ბიბლიის პირველ სტროფში ვკითხულობთ: „თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და დედამიწა“. სიტყვა „ღმერთმა“ ეს არის ებრაული სიტყვა



„ელოხიმ“, რომელიც იკითხება მრავლობით რიცხვში და უნდა ითარგმნებოდეს როგორც „ღმერთები“.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, რატომ დარჩა ქართული ისტორიული სკოლის წარმომადგენლების ყურადღების მიღმა მსოფლიო მნიშვნელობის მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსუ-ენგური“ ღმერთის რელიგიის არსებობა. ამიტომ გავიმეორებ: სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, სწორედ ამიტომ თავიდან დასაწერია საქართველოს ისტორია დასაბამიდან დღემდე.

*

ასე წარმართი შუმერულ-აქადური (ბაბილონური) – ასირიული მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის სამ სახელიანი ერთი ღმერთის „აპსუს“ თემატიკა **გადაიკვთა** „ძველი აღთქმის“ ტექსტთან: „Все тексты Ветхого Завета настолько пронизаны экономикой, что трудно определить, о каком обществе идет речь – древнем или современном. Тут и торговля, и налоги, и дань, и ремесла, и кредит, и пошлина. Чего только нет ! Даже в иудаистских кругах США наконец пришло понимание, что Тору исторически и археологически проверить нельзя. Многие предлагают, подобно Роберту Альтеру, рассматривать Библию в качестве литературы, и именно так к ней и относиться. Тем не менее это не мешает нам в нашем расследовании приводить тексты из этой Книги Книг как косвенные улики в пользу наших версий“.¹⁹

ამიტომ **ყველა** ინტერნეტ გზავნილში წარმართი ღმერთების ისტორიასთან პარალელურად ვიხილავთ სხვადასხვა საკითხს, დაკავშირებულს ბიბლიის ტექსტთან. მათ შორის საკითხს, რომელიც არ განუხილავთ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, სადაც ბიბლიის ტექსტს შეისწავლიან როგორც უმაღლეს, ასევე სასულიერო სასწავლებლებში. როდესაც ჩვენი კონცეფციით ბიბლია, როგორც „ძველი აღთქმა“ ასევე „ახალი აღთქმა“, ებრაელთა ორი – იუდასა და ბენიამინის ტომების დაპირისპირების პროდუქტია.

ვსვამ კითხვას, რატომ არის, რომ ივრით-არმეულ ენაზე დაწერილ 39 წიგნისაგან შემდგარ „ძველ აღთქმაში“, რომელიც იუდას ტომის ხელმძღვანელთა რედაქტორობით განხორციელდა, **რბილად რომ ვთქვათ ყველაფერი უზნეობის ჩამდენი ბენიამინის ტომია?** „ბენიამინი მტაცებელი მგელია: დილით ნანადირევს შეჭამს და საღამოთი გაანაწილებს ნადავლს“ (დაბ. 49: 27). აქედან ბენიამინის ტომის ტომური სიმბოლო „მგელი“. რაც შეეხება იუდას ტომს, მისი ტომური სიმბოლო ნადირთა მეფე ლომია: „ლომის ლეკვი იუდა, აღმართულხარ, შვილო ჩემო, ნადავლით ხელში. წაიხარა, დაწვა როგორც ხვადი ლომი და როგორც ძე ლომი. ვინ გაბედავს მის წამოგდებას ? “ (დაბ. 49: 9).

ქალბატონებო და ბატონებო !

ჟურნალ „ენა, მამული, ისტორიის“ მკითხველებო, შოთა რუსთაველის და აფხაზეთის თემასთან დაკავშირებული კონფერენციის მონაწილეებო.

ქვემოთ ნათქვამის გათვალისწინების გარეშე, ვერ აიხსნება მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის მიმდევართა რელიგიური დანაწევრიანების მიზეზი: როდესაც საქართველოს ტერიტორიას ეწოდებოდა „ეგრისი“ ეს ნიშნავდა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის „ენგურის“ ღმერთის მიმდევარი იყო, ხოლო, როდესაც „აფხაზეთი“ – მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის „აფსუს.“

*

¹⁹ А. Синельников «Средневековая империя евреев» 2002 г. ст.87.



1946 წელს საბჭოთა კავშირში დაბადებული, განათლებით ინჟინერ-მექანიკოსი, 1991 წელს მონოგრაფიაზე „ბიბლიიდან ვეფხის-ტყაოსნამდე“ მუშაობის დაწყებამდე, დარწმუნებული დარჯინის ევოლუციური თეორიის სისწორეში, რომ ღმერთმა სამყარო არაფრისაგან შექმნა, **სხვადასხვა წარმართული და მონოთეისტური რელიგიის ისტორიული კუთხით** თითქმის 30 წლის შესწავლის შედეგად, ჩვენ გავიზიარეთ სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე ისტორიკოსებისა და ფილოსოფოსების მიერ უკვე განსაზღვრული ჭეშმარიტება: **მატერია** (ფილოსოფია) ადამიანის ტვინის გამოვლენაა და არ არსებობს არავითარი **ცნობიერება** და არავითარი **იღუბი** მატერიის (ფილოსოფიის) გარეშე, რომ უკლებლივ ყველა წარმართული თუ მონოთეისტური რელიგიის **საწყისს** წარმოადგენს **ერთი პიროვნების ფილოსოფიური ცნობიერება ღმერთთან თანასაუბრისა**.

თავის მხრივ ღმერთთან თანამოსაუბრის შინაარსს, სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები **უკვე ნივთიერი ცნობიერების მატარებელი მეორე პიროვნება** უკეთებდა **რედაქტირებას** და თავისი ინტერესებისათვის **იყენებდა**.

როდესაც რომის იმპერიის მოქალაქე, რწმენით იუდეველი **ბენიამინის ტომის წარმომადგენელი სავლე**, მომავალი მოციქული პავლე იერუსალიმში ჩავიდა და რაბი გამალეის მეშვეობით ძველი „აღთქმის“ ტექსტს დაეუფლა,²⁰ მან გამოარკვია, რომ ებრაელთა ამ საფიცარ წიგნში, ყველა **უზნეობის ჩამდენი ბენიამინის ტომია**. ხოლო როდესაც **სავლემ**, უკვე 37 წლის წინათ გარდაცვლილი იუდას ტომის წარმომადგენლის **იუსო ქრისტეს** მოძღვრებას პირველი **ებრაელი** ქრისტიანების მეშვეობით გაეცნო, ის თავისი ტომის **განდილებისთვის** გამოიყენა და ებრაელთა ახალ რელიგიურ მოძღვრებაში ახალი „აღთქმის“ წიგნებში **ყოველგვარი უზნეობის სიმბოლოდ იუდას ტომის წარმომადგენლის იუდა ისკარიოტელის 30 ვერცხლად შეფასებული კოცნა გახდა**.

მეტაფორის მეშვეობით რომ ვთქვათ, **1-ელ საუკუნეში** ბიბლია, ებრაელთა რელიგია, **გაიყო ორად**: ძველი „აღთქმისა“ და ახალი „აღთქმის“ მიმდევართა შორის, როდესაც **იუდა ისკარიოტელის კოცნა**, ქვეყნიერებაში ყველაფერი **უზნეობის სინონიმი**, ახალ „აღთქმაში“ **ბენიამინის** ტომის წარმომადგენელმა სავლემ, იგივე **მოციქულმა პავლემ დააფიქსირა**. აქედან გამომდინარეობს **შეურაცხმყოფელი** მიმართვა – **შენ იუდა**.

მოციქულმა პავლემ, ებრაელთა ძველი „აღთქმის“ – ძველი რელიგიის **მამა ღმერთი** ებრაელთა „ახალ რელიგიასთან“ **რწმენით დააკავშირა**. როდესაც **მამა ღმერთის შვილი**, ახალი აღთქმის – ღმერთი **იუსო ქრისტე** – ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი ადამიანი, სამების მეორე პიროვნება, მამა ღმერთთან **სულიწმიდის მეშვეობით დააკავშირა**.

სულიწმიდა იუსო ქრისტეს რელიგიის მიმდევრები თითქმის VI საუკუნის დასაწყისამდე ძირითადად ებრაელები, აბრაამისა და მოსეს შთამომავლები იყვნენ. უკვე მოგვიანებით ებრაელთა ალტერნატიული რელიგია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელდა და მსოფლიო მნიშვნელობის რელიგიის სტატუსი მიიღო, მსგავსად იმისა, როგორც **ძველი „აღთქმის“** რელიგია მრავალი საუკუნის განმავლობაში რჩებოდა **არა მარტო ეთნიკური** ებრაელების რელიგიად. ასე, ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში **საქართველოში** ფიქსირდება „ძველი აღთქმის“ რელიგიის მიმდევარი **სჯანები** (ეს საკითხი დამუშავებული და შესწავლილია).

*

რაც შეეხება უკლებლივ ყველა, წარმართულ თუ მონოთეისტურ რელიგიებში შიდა რელიგიური **განხეთქილების ს ა წ ყ ს მიზუსს**, ის წარმოადგენს **მინიმუმ ორი** მხარის, **ო რ ი** პიროვნების **მატერიალურ** დაიტერქებას, **დაუფლონ რელიგიური**

²⁰ ბიბლია ძველი და ახალი აღთქმა. საქართველოს ბიბლიური საზოგადოება თბილისი 2001. „მოციქულთა საქმეები“ 22:3.



გადასახადებიდან შემოსულ თანხებს. შედეგად ერთი რელიგიის **მინიმუმ ორ** რელიგიად დანაწევრება-გაყოფა ხდება. ამ მიზეზით VII საუკუნეში გაიყო სომხური და ქართული ეკლესიები.

რელიგიური **განხეთქილების** ყველა სხვა, **ა რ ა მატერიალური** მიზეზით ახსნა **პროზა, ტ ა ვ ტ ო ლ ო გ ი ა ა .**

ღმერთთან თანამოსაუბრე **პიროვნებები ბოლოს XX საუკუნეში** ფიქსირდებიან, ღმერთის მიერ არაფრისაგან შექმნილ ჩვენი სამყაროს ხუთივე კონტინენტზე.

შეგახსენებთ „მატერია“ – ფილოსოფია ლათინურად ნივთიერს ნიშნავს.

*

განსხვავება სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსუ-ენგური“ ღმერთის რელიგიის მიმდევართა შორის ისეთივე იყო, მაგალითად როგორც მართლმადიდებელ და კათოლიკე ქრისტიან მორწმუნეთა შორის არის დღეს, როდესაც მართლმადიდებელი პირჯვარს იწერს მარჯვნიდან მარცხნივ, კათოლიკე მარცხნიდან მარჯვნივ და კათოლიკეები შობის დღესასწაულს აღნიშნავენ გრიგორიანული, ხოლო მართლმადიდებლები იულიანური კალენდრის მიხედვით, მიახლოებით ორი კვირის შემდეგ.

*

სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის მიმდევართა რელიგიური დანაწევრიანების მიზეზი ისეთივე იყო, როგორიც ყველა წარმართი, ასევე მონოთეისტური რელიგიის მიმდევართა უმაღლეს იერარქებს შორის, რელიგიური 10 პროცენტთან გადასახადის (მეათედი – десятина) **განაწილებაზე კომპრომისის ვერ მიღწევა.**

მაგალითად, როდესაც ქართული, სომხური და ალბანური ეკლესიების მეთაურებმა ვერ გაინაწილეს სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ მორწმუნეთაგან შესაკრები ქონების წლიური რელიგიური გადასახადის 10 პროცენტი, რადგან ვერ შეთანხმდნენ რამდენი მორწმუნე ცხოვრობდა მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, VII საუკუნის დამდეგს, ქრისტიანული, ქართული, სომხური და ალბანური ეკლესიები გაიყო, მართლმადიდებელ და მონოფიზიტურ ეკლესიებად. ხოლო როდესაც სომხურმა და ალბანურმა ეკლესიებმა გაინაწილეს შერეული მრევლი, VIII საუკუნიდან ამიერკავკასიაში ფუნქციონირებდა ქართული მართლმადიდებელი და სომხურ-ალბანური მონოფიზიტური ეკლესია.

ყველა საეკლესიო კრება, დაწყებული რომის პირველი იმპერატორის – კონსტანტინე დიდის საგანგებო ბრძანებით 325 წელს ნიკეაში ჩატარებული კრებიდან, დამთავრებული 869-870 წლებში ჩატარებული კონსტანტინოპოლის მეოთხე კრებამდე, ყველა ამ კრების ჩატარების საწყისი მიზეზი რელიგიური გადასახადების განაწილების საკითხში კომპრომისის ვერ მიღწევა იყო (იხილეთ სქოლიო)²¹.

რელიგიური 10 პროცენტთან გადასახადის განაწილების საქმეში კომპრომისის მიუღწევლობის გამო XI საუკუნეში წარმოიშვა რომის კათოლიკური და ბიზანტიის მართლმადიდებელი ეკლესიები.

*

კოლხეთის დაბლობში მცხოვრები წარმართი მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის მიმდევართა რელიგიური დაპირისპირების მიზეზით, მოხდა ქართველურ ენოვანი ხალხებით დასახლებული კოლხეთის ტერიტორიის დანაწევრიანება „ეგრისელებად“, ესე იგი წარმართი ღმერთის „ენგურის“ მიმდევრებად და „აფხაზებად“, ესე იგი წარმართი ღმერთის „აფ-

²¹ იხილეთ ბიბლია: **ძველი აღთქმა:** დაბადება 14: 18–22; 28: 20–22. მეორე რჯული 14: 22 –29; 26:12–15. რიცხვი 18: 20–29. ლევიტნი 25: 4,5 ; 27:31–33. მალაქია 3:7–10. ნეემია 13:10. . **ახალი აღთქმა:** მათეს 23:23; ეფესელთა 2: 13–15; კოლასელთა 2: 13,14; ებრაელები 7:5, 18.



სუს“ მიმდევრებად. ძნელი სათქმელია, ორად გაყოფილი სამსახელიანი ერთი „აბ-ზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის მიმდევართა, რომელი უმაღლესი იერარქის ინიციატი- ვით მოხდა ეგრეთ წოდებული კელასურის – აფხაზეთის კელის მშენებლობა?

მიჩნეულია, რომ აფხაზეთის კელელი იწყებოდა ბზიფის ქედის სამხრეთ კალთა- ზე მდებარე ხიმსის მყინვარიდან გამომდინარე მდინარე კელასურის სათავიდან და გადაჭიმული იყო 160 კილომეტრზე მდინარე კელასურიდან ქალაქ ტყუარჩალამდე და ზოგიერთი წყაროს მიხედვით თვით მდინარე ინგურამდე. კელის გასწვრივ კო- მპების რაოდენობა, რამდენიმე ასეულს აღწევდა და თითოეული მათგანი რვა-თო- რმეტი მეტრის სიმაღლის პატარა ციხე იყო. VIII საუკუნის დასასრულიდან, აფხაზე- თის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ, ზღუდემ დაკარგა თავისი მნიშვნელობა და თანდათან დაინგრა. მისმა ნაშთებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ფაქტი ერთია, აფხაზეთის კელელი მსოფლიოში სიგრძით მესამედ ითვლება ჩი- ნეთის დიდი კელისა და ირანის გორგანის კელის შემდეგ.

იმედია აფხაზეთის კელის ისტორიას შეისწავლიან ახალი თაობის ქართვე- ლი ისტორიკოსები, რომლებიც დაადგენენ რომელ საუკუნეში აშენდა ორ რელი- გიათა მიღევრებს შორის გამყოფი 160-კილომეტრიანი კელელი. სწორედ გამყოფი კელის აშენების შედგომ პერიოდში, ორივე რელიგიის უმაღლესმა იერარქებმა, და- იწყეს **ჩრდილოეთ კავკასიაში** მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის რელიგიის გავრცელება. დანარჩენი დანაწევ- რიანება როგორც ყველა წარმართი, ასევე მონოთეისტური რელიგიის მიმდევართა უმაღლეს იერარქებს შორის, რელიგიური 10-პროცენტისანი გადასახადის (მეათედი – десятина) **განაწილებაზე კომპრომისის ვერ მიღწევა.**

*

რელიგიური 10-პროცენტისანი გადასახადის კონტექსტში არის დაწერილი მონოგ- რაფია „ძველი აღთქმა საქართველოს ისტორიის წყარო“. როგორც იქნება ნაჩვენები საქართველოს **ნამდვილი**, არა მარტო წინაქრისტიანული ისტორიის გაგების გასა- ლები, ბიბლიის ისტორიული კუთხით განხილვაში დევს.

საქართველოს ნამდვილი ისტორიის გაგების გასაღები აგრეთვე დევს ყოველი ქა- რთველი მეცნიერის კალამში, თუ ისინი ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიას განიხილავენ ორი ერის კულტურული სიახლოვის, კეთილმეზობლობისა და თანამ- შრომლობის ხანგრძლივი ტრადიციის კუთხით. შეგახსენებთ, 1987 წელს, საქართვე- ლოს მართლმადიდებელი აკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი ილია ჭავჭავაძის დედა სომეხი ქალბატონი ბრძანდებოდა.

გავიმეორებ, რომ XV საუკუნემდე ქართველი მეფეების უმრავლესობის დედა ან ბებია სომეხი დიდგვაროვანი ოჯახის წარმომადგენელი იყო. აქედან დედოფლების ან სიძეების პატივსაცემად სომხური და ქართული წარწერები ქართულ და სომხურ ეკლესიებზე, მსგავსად ფრანგული წარწერებისა ინგლისში მდებარე ეკლესიებზე. ინგლისის სამეფო გვირგვინზე კი განთავსებულია ფრანგულენოვანი წარწერა: **„ღმე- რთი და ჩემი უფლება.“**

*

რელიგიური გადასახადების მოზიდვის მიზნით (ვგულისხმობ უმაღლეს იერარ- ქს), იუდეველები უხსოვარი დროიდან არ იყვნენ თავის წრეში ჩაკეტილი საზოგადოე- ბა. პირიქით, ისინი აქტიურად, „ფანატიკურად“ ავრცელებდნენ თავიანთ რელიგიას, როგორც ამას შემდგომში აკეთებდნენ ქრისტიანები და მუსულმანები. ამის შესახებ მე–19 საუკუნის ბოლოს წერდა 1902 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი, გერმანე- ლი ისტორიკოსი, ძველი რომის ისტორიისა და რომის სამართლის სპეციალისტი თეოდორ მომზენი. „Иудейство древнейших времен вовсе не было замкнутым; напротив, оно было столь же преисполнено фанатического миссионерского рвенія, как впоследствии христианство и ислам“.



*

რელიგიური გადასახადების გამო ვერ ხერხდებოდა ქრისტიანი და წარმართი რელიგიების მიმდევარი ქართველურ ენოვანი ხალხების გაერთიანება. სწორედ ამ მიზეზით დავით აღმაშენებელმა ჩაატარა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება და ეკლესიის ხელმძღვანელად თავისი ერთგული მოხელე გიორგი ჭყონდიდელი დანიშნა. შედეგად პირველად ქართველურ ენოვანმა, მონოთეისტური რელიგიების და წარმართი რელიგიების მიმდევარმა ქართველებმა და არაქართველებმა დავით აღმაშენებლის ძალისხმევით ერთ სახელმწიფოში დაიწყეს ცხოვრება.

აქედან დავით IV, აღმაშენებლად წოდებულის სამეფო ტიტული: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა.“

სადაც „**მეფე აფხაზთა**“ ნიშნავს იმას, რომ მეფე დავით IV წარმართი, ქართველურ ენოვანი, მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის, სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის რელიგიის მიმდევართა **მეფეც იყო**.

სწორედ მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის **სამ** სახელიანი **ერთი** „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის რელიგიის მიმდევართა იყო რწმენით **გენოთეისტი**²² შოთა რუსთაველი: „იგია ჩემი სიცოცხლე, **უნყალო** ვითა ჯიქია“.

„ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორისათვის სამყაროს ყველა ღმერთი ერთი იყო: „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა“, რომელიც ღმერთის სახელს არ ახსენებდა, და თუ ახსენებდა, მარტო შეფარვით ალევგორიულად:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ეს მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, **უნყალო** ვითა ჯიქია;
მისი სახელი **შეფარვით** ქვემორე მითქვამს, მიქია“. (19)

მიწისქვეშა მტკნარი წყლების სახელიდან წარმოდგება შოთას ფსევდონიმი რუსთაველი „**რუს-სათავე**“, მიწიდან ამოსული **წყლის სათავე**.

ხოლო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მდებარე სოფლების სახელი „რუსთავი“ მიანიშნებს, რომ იქ მცხოვრებლები წარმართები იყვნენ. ისტორიულ წყაროების თანახმად ქართლოსის ცოლმა ბოსტან ქალაქი აღაშენა, რომელსა აწ ჰქვია „რუსთავი“. როგორც ჩანს ქართლოსის ცოლი იყო წარმართი რომელმაც აღაშენა ბოსტან ქალაქი.

„**მეფე ქართველთა, რანთა და კახთა**“ ნიშნავს იმას, რომ დავით IV ყველა ქართველურ ენოვანი ხალხის **მეფე იყო**.

სადაც **რანთა** ნიშნავს იმას, რომ დავით აღმაშენებელი საქართველოში მცხოვრები იუდეველების და მაჰმადიანების, მათ შორის სვანი რჯულით იუდეველების, ხევის ურიების – ხევსურების და მაჰმადიანი ქართველურ ენოვანი ხალხების მეფეც იყო.

„**სომეხთა**“ ნიშნავს იმას, რომ დავით აღმაშენებელი თავისი სომეხი მეუღლის, უმეფოდ მყოფი, ეკლესიის იერარქების მმართველობის ქვეშ მყოფი ქვეყნის **მეფე იყო**. სომეხი ქალბატონისაგან დავით IV სამი შვილი ჰყავდა: უფროსი თამარი, შირვანის – ლომისშაჰის ქვეყნის დედოფალი, კატაი ბიზანტიის იმპერატორის რძალი და მომავალი საქართველოს მეფე დემეტრე I.

„**შარვანშა და შაჰანშა**“ ნიშნავს იმას, რომ როდესაც დავით IV შვილის თამარის მეუღლე, **სპარსეთის**, შირვანის **ლომის შაჰის** ქვეყნის მეფე, **ლომის შაჰი** მანუჩარი გარდაიცვალა, ქვეყანას დავით IV და მისი შვილი **ლომის შაჰის** ქვეყნის მეფე – დედოფალი თამარი მართავდა (მეფისა მზის თამარისა, დაწვ-ბადახმ, თმა-გიშერისა“), სანამ თამარის შვილი აღსართანი სრულწლოვანი გახდებოდა. სწორედ მაშინ დავით IV-მ „გალობანი სინანულისანი“ დაწერა და შოთა რუსთაველს თავისი **სამი** შვილის **თამარის, კატაის და დემეტრეს** დამოძღვრისათვის „ვეფხისტყაოსანი“ დაუკვეთა, „**სამთა ფერთა** საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა“.

²² განმარტება გენოთეიზმი, რუსულენოვანი ტექსტი იხილეთ პირველ ინტერნეტ გზავნილში.



ამ დაკვეთასთან დაკავშირებით შოთა რუსთაველი, აბაზაძეების გვარის წარმომადგენელი წერს:

„**მ ი ბ რ ძ ა ნ ე ს** მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“ (5, 1).

„**ს ა მ თ ა ფერთა** საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა“ (10, 4).

„ესე ამბავი **ს ჰ ა რ ს უ ლ ი**, ქართულად ნათარგმანები, ვით მარგალიტი ობოლი, ხელით-ხელ საგოგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები“ (8.1,2,3.)

„ვის ჰშვენის, **ლ ო მ ს ა**, ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა, მეფისა მზის **თ ა მ ა რ ი ს ა**, ღაწვ-ბადახშ, თმა-გიშერისა“ (3. 1,2.)

იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებელმა შოთა რუსთაველს „ვეფხის-ტყაოსანი“ დაუკვეთა, იხილეთ მესამე, მეოთხე და მეხუთე ინტერნეტ გზავნილები, რომლებიც შემადგენელი ნაწილებია მეოთხე მონოგრაფიის „ვეფხის-ტყაოსნის“ სიტყვათა წყობა **ქართველურ ენოვანი** ხალხებისათვის გამაერთიანებელი დაუშრეტელი წყაროა, მსგავსად ქართული მრავალხმიანი სიმღერისა და სუფრაზე ქართველურ ენოვანი ხალხების მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოებისა“.

როგორც იყო ნათქვამი, პირველ ინტერნეტ გზავნილში **ჩვენი ყველა დასკვნა** „ვეფხის-ტყაოსნის“ ახალ ქრონოლოგიასთან დაკავშირებით ეფუძვნება დავით აღმაშენებლის ბიოგრაფიას, მისი შვილის ტახტის მემკვიდრის დემეტრე I-ის, მისი ქალიშვილების თამარის, კატაის და მათი მეუღლეების ბიოგრაფიებს.

*

ჩვენი აზრით, ჟურნალი „ენა, მამული, ისტორიის“ მკითხველი, პირველი და მეორე ინტერნეტ გზავნილების ტექსტის მეშვეობით მოვამზადეთ იმისთვის, რომ მესამე, მეოთხე და მეხუთე ინტერნეტ გზავნილებში **სრულად აღიქვას** ქართველთა საფიცარი წიგნის „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორის შოთა რუსთაველის შემოქმედება.

**პატივისცემით,
დავით ფირცხალავა.**



მონოგრაფია „ბიბლიიდან ვეფხის-ტყაოსნამდე“ მესამე ინტერნეტ გზავნილის ტექსტი ქალბატონებო და ბატონებო !

ჟურნალ „ენა, მამული, ისტორიის“ მკითხველებო, შოთა რუსთაველის და აფხაზეთის თემასთან დაკავშირებული კონფერენციის მონაწილეებო, გთავაზობთ წაიკითხოთ ინტერნეტში განთავსებული ჩვენი მესამე გზავნილის ტექსტი, რის შემდეგ, იმედია, თქვენთვის გასაგები გახდება, რატომ დაწერა მესხეთის ყოფილმა დიდებულმა, **აბაზაძის** გვარის წარმომადგენელმა **შოთა რუსთაველმა**, *მსოფლიოში უკლებლივ ყველა მგოსნის მსგავსად, ფულადი საზღაურის გადახდის წინაპირობით მეფე დავით აღმაშენებლის მიერ დაკვეთილი* ქართველი ხალხის მიერ ბიბლიად აღიარებული „ვეფხის-ტყაოსანი“.

ჩვენი ყველა დასკვნა „ვეფხის-ტყაოსნის“ ახალ ქრონოლოგიასთან დაკავშირებით ეფუძვნება დავით აღმაშენებლის ბიოგრაფიას, მისი შვილის ტახტის მემკვიდრის დემეტრე I-ის, მისი ქალიშვილების თამარის, კატაის და მათი მეუღლეების ბიოგრაფიებს.

„ვეფხის-ტყაოსნის ახალი ქრონოლოგია“

პროლოგი

„ვეფხის-ტყაოსანი“²³ ორიგინალური პოემაა, შეკრული მთლიანი სიუჟეტით. შოთა რუსთაველი პროლოგში წერს:

„**მიბრძანეს** მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“ (5.1.)

„**სამთა ფერთა** საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა“ (10.4.)

აკადემიკოს ბაჩანა ბრეგვაძის „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულ²⁴ ვერსიაში, იგივე ტექსტს, რომელიც თანამედროვე ქართულ ენასთან მისადაგებულია, ვკითხულობთ: **მიბრძანეს მათ (თამარის)** საქებრად ტკბილი ლექსის თქმა.

სამ საქებარ გმირს თითქმის სახოტბო ლექსები უნდა მოევილინონ.

იბალება კითხვები: **რამდენმა** პირმა (**მიბრძანეს მათ**) უბრძანა შოთა რუსთაველს დაწერა პოემა? რომელი თამარი არის ნახსენები პოემაში? ვინ არიან ის **სამი საქებარი პირი**, რომელთა **ქება** შოთა რუსთაველს **უნდა მოევილინა?**

პასუხის სახით ვსვამ შემხვედრ კითხვას: თუ **სამი** საქებარი პიროვნებიდან **ორი**, თამარ მეფე და მისი მეორე მეუღლე დავით სოსლანია (როგორც ეს ბოლო ორ საუკუნე-ნახევარი მიაჩნდათ და მიაჩნიათ თითქმის ყველას, ვისაც ხელში „ვეფხისტყაოსანი“ აუღია, გარდა რიგით პირველ რუსთაველოლოგად მიჩნეულ ვახტანგ VI-სა, რომელიც პოემას თამარ მეფის ქებად არ აღიქვამდა)²⁵, **მამინ** თუ ამ კონცეფციის მიმდევრების ლოგიკით ვიმსჯელებთ, **მესამე** საქებარი პიროვნება, თამარ მეფის პირველი ქმარი იური ანდრიას ძე ბოგოლიუბსკი (გიორგი რუსი), ან გიორგი IV ლაშა, საქართველოს მეფე, თამარ მეფისა და დავით სოსლანის ძე უნდა იყოს.

²³ შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“, სასკოლო გამოცემა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი, კომენტარი და ლიტერატურული გარჩევა დაურთო ნ. ნათაძემ. თბილისი, 2011 წ.

²⁴ პროზაული ვერსიის ციტირება ხდებოდა 2013 წელს გამოცემული ბაჩანა ბრეგვაძის წიგნიდან „ვეფხისტყაოსანი პროზაული ვერსია“.

²⁵ ვახტანგ VI „ვეფხისტყაოსნის“ სამეძაო წიგნად გაგების წანააღმდეგი იყო, ამიტომ პოემას თამარ მეფის ქებად არ აღიქვამდა (იხილეთ ვახტანგ VI-ის პირველი წიგნის თარგმანი – განმარტება). XIII – XIV საუკუნეებში მონღოლებთან ბრძოლისა და უღლისაგან გათავისუფლების პერიოდში, საქართველოში თამარ მეფის, როგორც უძლეველი, უღამაზესი მეფის კულტი ჩამოყალიბდა. სწორედ ამ პერიოდში დაწერა ბასილი უზოსმოდვარმა „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა“.



თუ ამ კუთხით განვავრდობთ მსჯელობას, მაშინ თამარ მეფისა და დავით სოსლანის კონცეფციის მიმდევრებს დასადგენი რჩებათ იმ პირთა სია, რომლებმაც შოთა რუსთაველს უბრძანეს თამარ მეფის საქებრად „ვეფხისტყაოსნის“ დაწერა („მიბრძანეს მათ (თამარის) საქებრად ტკბილი ლექსის თქმა“), რადგანაც დღემდე ამ სიის შემადგენლობაზე ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება.

მთავარი მიზეზი კონსენსუსის ვერ მიღწევისა უნდა ვეძიოთ შემდეგ გარემოებაში: არც ერთი რუსთველოლოგი არ ითვალისწინებს იმას, რომ კლასიკურ ხანაში (X–XV საუკ.), ტაჯიკეთში და სპარსეთში მოღვაწე სპარსულენოვანი პოეტების მხრიდან **ჰოე-მაში** ნათქვამი: „**მიბრძანეს** მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“ ნიშნავდა, რომ პოემის შინაარსი შეთანხმებულია დამკვეთთან და პოეტი თანახმაა შემოთავაზებულ ანაზღაურებაზე. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, პოეტი თანახმა იყო შემოთავაზებულ ჰონორარზე და რუსთაველისათვის, სპარსული პოეზიის მცოდნესათვის, მით უფრო „ვისრამიანის“ მთარგმნელისათვის, „მიბრძანეს“ ორმაგი მნიშვნელობა კარგად იყო ცნობილი.

ახალი ქრონოლოგია

როგორც პირველ ინტერნეტ გზავნილში ითქვა, დავით აღმაშენებელმა წარმართ შოთა რუსთაველს, ქართველთა ძირძველი მზის ქალღმერთ „ჰერას“ მიმდევარს, ამასთან ერთად, გენოთეიზმის მიხედვით მრავალი ღმერთის, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში ერთი ღმერთის თაყვანისმცემელს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, „გალობანი სინანულისანის“ დაწერის შემდეგ **1124 წელს** თავისი სამი შვილის, თამარის, კატაის და დემეტრეს დამოძღვრისათვის „ვეფხისტყაოსანი“ **დაუკვეთა**. იმ დროისათვის 1095 წელს დაბადებულ 30 წლის შოთა რუსთაველს „**ვისრამიანი**“ **უკვე თარგმნილი ჰქონდა**. მას ჰონორარის გადაუხდელი ნაწილი დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილმა, საქართველოს მეფემ **დემეტრე პირველმა** 1156 წელს, მეორედ მეფედ კურთხევის შემდეგ გადაუხადა, როდესაც მას კვლავ ჯარი დაემორჩილა.

*

„ვეფხისტყაოსანი“ სამი ნაწილისაგან შედგება: პროლოგი, საკუთრივ პოემა და ეპილოგი. ჩვენთვის სამივე ნაწილის ავტორი უპირობოდ შოთა რუსთაველია.

უფრო მეტიც, დავესესხები ბატონ **თამაზ ჭილაძეს**, შოთა რუსთაველზე როგორც „ვისრამიანის“ მთარგმნელზე ნათქვამს და საკუთარ პოზიციას დავაფიქსირებ პროლოგზე და ეპილოგზე: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, გენიის სიჭაბუკის წიგნია, პროლოგი და ეპილოგი, სიჭარმაგის დროინდელი, არსებითად, უკვე სხვა (ან და ძალზე გარდაქმნილი) პიროვნების, რომელსაც არა მარტო ლიტერატურული პოზიცია აქვს სრულიად სხვა, არამედ ცხოვრებისეულიც“.

ამ განმარტების შემდეგ, აღმოსავლეთ პოეზიის არმცოდნეს შეიძლება დაეხადოს კითხვა: რატომ დასჭირდა შოთა რუსთაველს პროლოგისა და ეპილოგის დაწერა?

პროლოგისა და ეპილოგის შინაარსით თუ ვიმსჯელებთ, ერთ–ერთი მიზეზი დასაწყისისა და განსაკუთრებით დასასრულის დაწერისა, არის **დემეტრე პირველის მხრიდან ჰონორარის დაგვიანებული გადახდა**.

ამასთან ერთად, როგორც იქნება ნაჩვენები, პოემაში გათვალისწინებულია დემეტრე პირველის, როგორც **ჰონორარის გადამხდელის მოთხოვნები**.

თუ „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოს წინა 1660–ე და 1661–ე სტროფების შინაარსით ვიმსჯელებთ, სიტყვა „**ვილყყუთანი**“ უნდა გავიგოთ, როგორც „ვილყყბი, უსარგებლოდ გავსარჯე ჩემი ენა და კალამი.“²⁶

²⁶ ნოდარ ნათაძე. 2011 წ. „ვეფხისტყაოსანი“ მესამე სასკოლო გამოცემა გვ.464.



*

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მიხედვით **ქართულ სინამდვილეში**, პოემის 5 მთავარი გმირიდან 3 : **ნესტან-დარეჯანის პროტოტიპი** პოემაში, მეფე დავით აღმაშენებლის უფროსი ქალიშვილი, სპარსეთის – **შირვანის – ლომისშაჰების** ქვეყნის დედოფალი **თამარია; თინათინის** პროტოტიპი – დავითის შვილი, ბიზანტიის იმპერატორის ალექსი I კომნენოსის რძალი **კატაია**; ფრიდონის პროტოტიპი, ტახტის მემკვიდრე, 1125-1156 წლებში საქართველოს მეფე **დემეტრე პირველია**; შესაბამისად დარჩენილი 2 მთავარი გმირის, ტარიელის და ავთანდილის პროტოტიპები, დავით აღმაშენებლის **სიძეები, შირვანის შაჰი მანუჩარი** და ბიზანტიის იმპერატორის ალექსი I კომნენოსის უმცროსი ვაჟი **ისააკია**.

*

დავით აღმაშენებლის ორ ქალიშვილზე, „ქართლის ცხოვრებაში“ მეფის ისტორიკოსი წერს: „და მასვე წელსა ასული თვისი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისად. რამეთუ პირველ ამისსა პირმშო ასული თვისი თამარი გაეგზავნა დედოფლად **შარვანისა**, რათა ვითარცა ორნი მნათობნი – **ურთი აღმოსავლეთს**, ხოლო **მეორე დასავლეთს** -- ცისკროვან ჰყოფდნენ სფეროსა, **მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდელთანი**“ („ქართლის ცხოვრება“. 1955 წ. ტომი I, გვ.334).

*

შოთა რუსთაველმა დავით აღმაშენებლის, „აღმოსავლეთში და დასავლეთში“ გათხოვილი ორი ქალიშვილის მამის დაკვეთა ბრწყინვალედ შეასრულა. პროლოგში ვკითხულობთ:

„ვთქვა მიჯნურობა – პირველი და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;
ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა“ (20).
„მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰხვდებიან,
ენა დამვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან;
ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან;
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან“ (21)

დასავლეთში გათხოვილ დავით აღმაშენებლის შვილზე – კატაიზე, რომლის ქმარი ისააკი ბიზანტიის იმპერატორის შვილი იყო, „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ:

„**თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია;**
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზეებრ განაცხადია.
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ (40).

სადაც „ლეკვი“ კატაია, ხოლო „ლომი“ მამამისი დავით აღმაშენებელია. ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტით ძნელი დასადგენია რომელი, **აღმოსავლეთში** თუ **დასავლეთში** გათხოვილი მანათობელი ქალიშვილების ქვეყნებთან იყო პოლიტიკური კავშირი უფრო მნიშვნელოვანი დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოსთვის. ამით **ახსნება**, რომ პოემის ტექსტის მიხედვით ცალსახად ვერ იტყვი, რომელი ქალიშვილის პროტოტიპის: თინათინ–ავთანდილის (კატაის), თუ ნესტან–ტარიელის (თამარის) მიჯნურობის სიუჟეტური ხაზია მთავარი „ვეფხისტყაოსანში“. აქედან ქალის კულტი პოემაში, რომელიც ტრადიციული ქართული ოჯახების დამახასიათებელი ფაქტორია, როდესაც გარე (ბნელ) სამყაროსათვის, ყველაფრის თავი – მამაკაცია (მთვარე), ოჯახში კი ქალი (მზე).

მამაკაც-მთვარისა და ქალ-მზის ურთიერთობას რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ განიხილავს ხუთ პლანეტათაგან შემდგარ თანავარსკვლავედში: ოტარიდი (მერკური), მუშთარი (იუპიტერი), ზუალ (სატურნი), ასპიროზ (ვენერა), მარიხი (მარსი):



„მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
 „აჰა, მზეო, გააჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
 ვინ მდაბალთა გაამაღლებ, მეფობისა მისცემ, სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა!“ (966)
 „**აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე შემოწმებიან:**
 მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,
 მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან.
 მას გააგონენ, რანიცა ცეცხლნი უშრეტნი მდებიან““ (973)

რუსთაველისათვის, როგორც ასტრონომიის მცოდნისთვის ცნობილი იყო ის, რომ პლანეტები მუშთარი (იუპიტერი) და ზუალი (სატურნი) მზის თანავარსკვლავედში ერთმანეთს ყოველ 20 წელიწადში ერთხელ უახლოვდებიან,

პლანეტების ამ დაახლოებაზე პოემის 1429–ე სტროფში ვკითხულობთ:

„ეხვეოდეს ერთმანერთსა, აკოცეს და ცრემლნი ღვარნეს;
 ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს.
 მზე რა ვარდთა შემოადგეს, დაშვენდეს და შუქნი არნეს,
 აქანამდის ჭირ-ნახულთა ამას იქით გაიხარნეს“

[20-წლიანი ციკლი, პირდაპირ კავშირშია საქართველოში 1130 – 1154 წლებში მიმდინარე პოლიტიკურ ბატალიობთან. ამაზე ქვემოთ.

ის რომ რუსთაველის ეპოქაში საქართველოში აწარმოებდნენ ასტრონომიულ და-კვირვებებს, მეტყველებს აფხაზეთში მდებარე ლიხნის დვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში გაკეთებული წარწერა, რომელიც 1848 წელს ცნობილმა ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ დააფიქსირა.

ტექსტიდან ირკვევა, რომ 1066 წელს ბზობიდან აღდგომამდე (8 აპრილიდან 16 აპრილამდე) საქართველოში კომეტა შეუნიშნავთ. ეს ის კომეტაა, რომელსაც შემდგომში ჰალეოსი უწოდეს. ის იმავე წელს კიევსა და ჩინეთშიც დაუფიქსირებიათ].

პირველი განმარტება

„ქართლის ცხოვრება“: „რამეთუ პირველ ამისსა პირმშო ასული თვისი თამარი (დავით აღმაშენებელმა) გაეგზავნა დედოფლად შარვანისა“.

შირვანზე და **შირვანშაჰზე** ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: „**შირვანი**, **შარვანი** ისტორიული ქვეყანა ახლანდელი აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, მტკვრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, პოლიტიკური ცენტრი – ქ. შემახი. შეადგენდა კავკასიის ალბანეთის ნაწილს. ირანის მიერ შირვანის კოლონიზაციისა და აქ ჩრდილოეთისგან თავდასაცავი ღიდი მშენებლობების ხანაში ცნობილი გახდა სახელი „შირვანი“ და, შესაბამისად, სასანიანთა მიერ დანიშნულ ადგილ. მმართველთა შორის წოდება „შირვან-შაჰი.“

არაბთა სახელმწიფოს რღვევის ვითარებაში, 861 წლიდან აქ დამკვიდრდნენ არაბი იაზიდიდები, რომლებმაც მიითვისეს „შირვანშაჰობაც“. იაზიდიდებმა მოქნილი და გონივრული პოლიტიკით მოიგერიეს თურქ-სელჩუკთა შემოსევები და სახელმწიფო შეინარჩუნეს. ეს განაპირობა ამიერკავკასიაში თურქთა ბატონობის წინააღმდეგ საქართველოს ბრძოლამაც. ნიშანდობლივია, რომ ამ ბრძოლაში **დავით აღმაშენებელი** სწორედ შირვანს ამოუდგა მხარში. მისმა რამდენიმე ძლევამოსილმა ლაშქრობამ ქვეყანა თურქთაგან იხსნა. საქართველოს სიუზერენობით ორი ქვეყნის მრავალმხრივი, მჭიდრო ურთიერთობა შემდგომშიც გაგრძელდა. ამავე ხანაში **გაჩნდა საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში წოდება „შირვანშაჰი“.**

XII ს-ში **შირვანშა** სოც. და კულტ.-ეკონ. აღმავლობას მიაღწია: განვითარდა სოფ. მეურნეობა, ხელოსნური წარმოება, **გამოცოცხლდა კულტ.** ურთიერთობანი. შირვანშაჰების კარზე **აღორძინდა ლიტ. ცხოვრება** – აბუ ლ-ალა განჯევი, ხაკანი შირვანი, ფალექი შირვანი **სპარსულენოვან შედევრებს ქმნიდნენ...**“ (ქსე. ტ. 11, გვ. 7).

„შირვანვანშაჰი, შირვანის მმართველთა წოდება შუა საუკუნეებში. პირველი



მმართველები ამ წოდებით იხსენებიან სასანური ირანის დროს. შ-ების იაზიდიდთა საგვარეულო (861–1382) სათავეს იღებს აღმ. ამიერკავკ. მმართველ არაბ სამხ. მოხელეთაგან: XI ს-იდან გვარის „დაძველების“ მიზნით ისინი თავიანთ წარმომავლობას სასანიანებს უკავშირებენ (იაზიდიდები, ქესრანიდები). ამათ ენათესავება შ-ის საგვარეულო შტო – დებენდი“ (1382–1538)“ (ქსე ტ.11, გვ. 8).

*

მ ე რ წ მ უ ნ ე თ, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სტატიის ავტორებს და ქართველ ისტორიკოსებს, შესაბამისად რუსთველოლოგებს, რომ **სცოდნოდათ**, ტოპონიმი **შირვანი წ ა რ მ ო დ გ ე ბ ა** შაჰის **წოდებიდან „შირვანშაჰი“** (სპარსულად هاشان‌اورش, რაც **ნიშნავს „ლომის შაჰი“ ან „ლომების შაჰი“** (Хамза ал-Исфাহани прямо связывает происхождение топонима Ширван от титула „ширваншах“ (перс. هاشان‌اورش), означающего **„львиный шах“, или „шах львов“**)²⁷, შესაბამისად ეცოდინებოდათ, რატომ წერდა შოთა რუსთაველი „ვეფხის–ტყაოსანში“:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელით-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საქოჭმანები“ (8.1,2,3.)
„ვის ჰშვენის, **ლომსა**, ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
მეფისა მზის **თამარისა**, ღაწვ-ბადახშ, თმა-გიშერისა“ (3. 1,2.)

სადაც **„ლომი“** დავით აღმაშენებლის სიძე, **ლომისშაჰის** ქვეყნის შაჰი მანუჩარია და **თამარი** მანუჩარის მეუღლე დავითის შვილი თამარია, შესაბამისად **საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში წოდება „შირვანშაჰი“ ნიშნავდა „ლომების ქვეყნის“ – „ლომის შაჰს“**; მაშინ ბატონ თამაზ წივწივაძეს აღარ ექნებოდა საბაბი, გამომდინარე „ვეფხის-ტყაოსნის“ ახალი, ჩვენეული ქრონოლოგიიდან, დასკვნის სახით „ლიტერატურულ საქართველოში“ სახალხოდ განეცხადებინა:

„ვეფხისტყაოსნის მკვლევრებო, რა ტყუილა გაჭმვდით, თურმე აქამდე პურს!..“

სათქმელი ითქვა, მას ვერაფერი შეცვლის, რადგანაც ისტორიამ არ იცის საბაბით „ის, რომ სცოდნოდათ“ დასკვნის გაუქმება. რუსები მსგავს შემთხვევაზე იტყვიან: „история не имеет сослагательного склонения“.

აქვე აღვნიშნავ, რომ ძირითადი მოწოდება, **რომლითაც** ბატონმა თამაზ წივწივაძემ მიმართა „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევრებს, ნაკლებად ეხებოდა შოთა რუსთაველის რელიგიურ მრწამსს. ბატონი თამაზი რუსთველოლოგიაში **ჩვენ მიერ ახალი წელთაღრიცხვის** დამკვიდრებაზე მიუთითებდა რუსთველოლოგებს.

დღევანდელ პუბლიკაციაში, რუსთაველის რელიგიური მრწამსის განხილვასთან ერთად, შევხებით გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ **ა რ ა** მკითხველთათვის დღემდე უცნობ თემებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია რუსთაველის სამშობლოსთან, პავლე ინგოროყვას თანახმად ჰერეთთან, საქართველოს უმშვენიერეს კუთხესთან.

ასეთი უცნობი თემაა საქართველოში ორი აფხაზეთის არსებობა: ჰერეთში პირველი აღმოსავლეთ აფხაზეთის (რუსთაველის სამშობლოს) და კოლხეთში – ეგრისში მეორე – დასავლეთ აფხაზეთის და არცოდნა იმისა, რომ უხსოვარი დროიდან საქართველოში, მათ შორის რუსთაველის ეპოქაში, სიტყვა „აფხაზი“ ნიშნავდა არა ეროვნებას, არამედ რელიგიურ მრწამსს, შუმერულ-აქადური **მიწისქვეშა მტკნარი წყლების** სამსახელიანი ერთი ღმერთის „აბზუ-აფსარ-ენგურის“ მიმდევარს.

ჰერეთთან დაკავშირებით, მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ მარტო ერთ განსხვავებაზე, რომელიც ფიქსირდება ივრით არამეულიდან ბერძნულად თარგმნილი ბიბლიის – „ძველი აღთქმის“ წინასწარმეტყველ უზრას წიგნში. ორიგინალში (უზრა 6-2) ვკითხულობთ ქალაქი „ანმეტა“ (ჰერეთში), ბერძნულად თარგმნილში კი ქალა-

²⁷ Аликберов А. К. „Сасанидская титлатура правителей Кавказа по арабо-мусуьманским источникам“. <https://ru.wikipedia.org/wiki/Ширваншах>



ქი „ეკბატანა“ (სპარსეთი). ნიშანდობლივია, რომ ბიბლიის თანახმად (ეზრა 1–11), ერთადერთი არაებრაელი მირონცხებული, სპასეთის მეფის კიროს დიდის ძვ.წ. 538 წლის ბრძანების თანახმად, იუდეველებს ეძლეოდათ უფლება აღედგინათ იერუსალიმის ტაძარი. აღნიშნული ბრძანება იპოვეს **ახმეტაში** (ეზრა 6-2), სპარსეთის მეფის დარიოს I-ის წიგნთსაცავში. კიროს დიდის მიერ დატოვებული წერილობითი საბუთი (ე. წ. კიროსის ცილინდრი) სრულ უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ რომ კახეთი, კერძოდ კამბეჩოვანი, კიროს დიდის სამშობლოა. ამიტომ, რუსთველოლოგიაში ახალი ქრონოლოგიის დამკვიდრების პარალელურად, მკითხველს გავაცნობთ **ახმეტა-ჰერეთის-კახეთის** თემასაც.

მ ე რ წ მ უ ნ ე თ, თარგმანებს შორის სხვაობა, რომ ყოფილიყო ცნობილი ქართველი ისტორიკოსებისათვის, **ახმეტა-ჰერეთის** თემა იქნებოდა **ქვაკუთხედი საქართველოს ისტორიისა** და ყველა თაობის ქართველი ისტორიკოსები, მეტაფორის მეშვეობით, რომ ვთქვათ: ჰერეთის ტერიტორიას **„სათარუმოდ“** არ დაუთმობდნენ თავიანთ უცხოელ კოლეგებს. ამიტომ ჩვენ ვწერდით: „იმის გამო, რომ ქართულად და რუსულად „ძველი აღთქმის“ ტექსტი არა ივრით-არამეულად დაწერილი „ძველი აღთქმის“ ორიგინალური ტექსტიდან არის ნათარგმნი, არამედ ბერძნულ ენოვანი ებრაელებისთვის თარგმნილ „ძველი აღთქმის“ ბერძნული ტექსტიდან და „ძველი აღთქმის“ ორიგინალური ტექსტი არ შეუსწავლიათ ქართველ და რუსულენოვან მეცნიერებს, კავკასიის ორივე მხარეს მცხოვრები რუსეთის იმპერიაში შემავალი მრავალი ხალხის ისტორია დასაწერია თავიდან, მათ შორის შოთა რუსთაველის ბიოგრაფიაც“.

მეორე განმარტება

(ცხოვრებისეული სიბრძნე)

შოთა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანი“, დავით აღმაშენებლის **სამი შვილის – „სამთა ფერთა საქებულად“** დაწერილი პოემა, დაიწყო მეფის შვილებისათვის ცხოვრებისეული სიბრძნის – **შაირის არსის განმარტებით**. პროლოგში ვკითხულობთ:

„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“ (12. 1,2.)

სპარსეთსა და ბიზანტიაში გათხოვილი თამარისა და კატაის დამოძღვრა გამოიხატა მოთხოვნაში, რომ ისინი, სხვადასხვა ქვეყნებში გათხოვილები, უნდა შეგუებოდნენ ზემდგომის გადაწყვეტილებას:

„რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს“ (11.1)

ამასთან ერთად, მათ არ უნდა დაევიწყებინათ თავიანთი წარმომავლობა:

„მაშინდა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,
რა ვედარ მიჰხვდეს **ქართულსა**, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
არ შეამოკლოს **ქართული**, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,
ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა“ (14)

ორ დას შორის მდგომ დემეტრეს რუსთაველმა პროლოგში განუმარტა:

„კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი;
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“ (12. 3,4.)
„**მეორე** ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა“ (16.1,2.)
„**მესამე ლექსი კარგი** არს სანადიმოდ, სამღერელად,
საამიკოდ, სალადობოდ, ამხანაგთა სათრეველად;
ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად.
მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“ (17)

მთლიანობაში პოემის სიუჟეტი პროლოგში დავით აღმაშენებლის დასახულ და დემეტრე პირველთან შეთანხმებულ სქემას მიჰყვება. ამიტომ **ჰოუმის შინაარსს** არა



მარტო იმდროინდელ სპარსულ და აღმოსავლურენოვან სამყაროში, არამედ მსოფლიო პოეზიაში ანალოგი არ მოეძებნება.

ამასთან ერთად, „ხორციელ სიყვარულს“, პოემის მეორე პლანს – ეროტიკულს, როგორც რუსთაველამდე, ისე მის ეპოქაში, არაერთი ანალოგი მოეძებნება.

რაც შეეხება პოემაში თანამედროვე გაგებით ძალადობას, მკვლევლობების და თვითმკვლევლობის მორალური კუთხით განხილვას, ამ საქციელს რუსთაველის რელიგიური მრწამსის კუთხით განხილვის შემთხვევაში არა მარტო მორალურად, არამედ იურიდიულადაც შეიძლება მოეძებნოს გამართლება.

მარტო წარმართს, შეეძლო პოემა დაესრულებინა სიტყვებით „ბედია მაყივნებელი“:

„ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,
წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი!
რასა ვინ ეძებთ, რას აქმნევთ? ბედია მაყივნებელი,
ვის არ შეუცვლის, კარგია, ორისაჲ იყოს მხლებელი“ (1661)
მარტო მზის ქალღმერთ „ჰერას“ თაყვანისმცემელს შეეძლო ეთქვა, „მზიანი ღამე“:
„იტყვის: "ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,
ერთარსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად,
ვის გამორჩილობენ ციერნი ერთის იოტის წამისად,
ბედსა ნუ მიქცევ, მიაჯე, შეყრამდის ჩემად და მისად!“ (845)
„მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალთა გაამადლებ, მეფობისა მისცემ, სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა!“ (966).
„მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი“ (1314.1.)
„მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“ (1370.3,4.)

როგორც ერთი მხრივ ჩანს, სწორედ იმიტომ, რომ რუსთაველი წარმართია, ესე იგი, რელიგიის მხრივ ნეიტრალური, არც ქრისტიანი და არც მუსულმანი იყო და მეორე მხრივ ის, რომ რუსთაველი შირვანის მოსაზღვრე ქვეყნის ჰერეთის დიდგვაროვანი იყო და ფლობდა სპარსულს – სიძის ენას, დავით აღმაშენებელმა მას „ლომბების შაჰების“ მუსულმანურ ქვეყანაში შირვანში გათხოვილი უფროსი ქალიშვილის ქრისტიანი თამარისადმი (ნესტან-დარეჯანის პროტოტიპი) მიძღვნილი „ვეფხისტყაოსანი“ დაუკვეთა. ამიტომ ნესტან-დარეჯანის მიჯნური ლომის შაჰი მანუჩარის პროტოტიპი ტარიელი, პოემის მთავარი გმირია:

„ვის ჰშვენის – ლომსა, – ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
მეფისა მზის თამარისა, დაწვ-ბადახშ, თმა-გიშერისა,
მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა, შე-რისა,
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მიშერისა“ (3)
„თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული.
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული“ (4)
„ესე აშბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი თბოლი, ხელით-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საყოფმანები.
ჩემბან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმან ნები“ (8)

პროლოგის მეოთხე სტროფში მრავლობით რიცხვში ნათქვამი „ვაქებდეთ“ მიანიშნებს იმას, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესრულების დროს, „ვეფხისტყაოსანში“ „ლომად“ წოდებული, ტარიელის პროტოტიპი, თამარის მეუღლე სპარსეთის შირვანის („ლომების შაჰების“) ქვეყნის შაჰი მანუჩარი (მანუჩერი) უკვე გარდაცვლილი იყო (სისხლისა ცრემლდათხეული); ამასვე მიანიშნებს მერვე სტროფში სიტყვა „თბოლი“.



ამიტომ პროლოგის მერვე სტროფში ვკითხულობთ: **„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვპოვო და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები“.**

საჭოჭმანები – საკამათო გახდა „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულა არა დამკვეთების დავით აღმაშენებლის ან დემეტრე I-ის მხრიდან, არამედ ზოგადად ქართველთა მოშურნეებისათვის, რომლებიც არა მარტო XX საუკუნეში ამტკიცებდნენ, არამედ XXI საუკუნეშიც ამტკიცებენ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულიდან ან არაბულიდან ნათარგმნი პოემაა, ამიტომ მასში არ არის ქართული სული. ეს განმარტება არ ეხება ნიკო მარს²⁸, სწორუპოვარ ქართველ პატრიოტს, მიუხედავად იმისა, რომ მან განაცხადა: „ვეფხისტყაოსანი“ თარგმანია ლექსად სპარსული პროზაული მოთხრობისაო“. ამასთან ერთად ნიკო მარი წერდა: „ქართველების მიერ რუსთაველის სავსებით შეთვისება-შეგნება **რეალურად შეაერთებს მთელ ქართველობას**“, „შოთას ენა მსოფლიო ენაა“.²⁹ აქედან ჩვენი მეოთხე მონოგრაფიის სათაური: „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვათა წყობა **ქართველურ ენოვანი** ხალხებისათვის გამაერთიანებელი დაუშრეტელი წყაროა, მსგავსად ქართული მრავალხმიანი სიმღერისა და სუფრაზე ქართველურ ენოვანი ხალხების მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოებისა“.

მესამე განმარტება

(ჰონორარის გადახდის წინა პირობა)

თუ დავით აღმაშენებელმა შოთა რუსთაველს პოემა თავისი სამი შვილის დამოძღვრისათვის დაუკვეთა, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან ჩანს, შოთა რუსთაველისათვის დემეტრე I-ის მიერ ჰონორარის გადახდის წინა პირობა პირიქით, დემეტრე I-ის შვილებზე არაფერი უნდა ყოფილიყო ნათქვამი და პოემაში თამარისა და კატაის გარდა, არც ერთ სხვა მის და-ძმაზე, რაიმე სახით არ უნდა ყოფილიყო მოთხრობილი.

ამ მოთხოვნას საფუძველი გააჩნდა: როგორც ცნობილია დემეტრე I-ის უფროსმა შვილმა დავითმა იმის შიშით, რომ დემეტრე I-ს უმცროსი შვილი გიორგი არ გაემეფებინა, ორჯერ – 1130 და 1154 წლებში შეთქმულება მოუწყო მამას. პირველ შეთქმულებაში, რომელიც სასტიკად იქნა ჩახშობილი, როგორც მიჩნეულია მონაწილეობდა დემეტრე I-ის გერი ძმა – დედინაცვლის შვილი ვახტანგი (დავით აღმაშენებლისა და მისი მეორე ცოლის – გურანდუხტის ვაჟი). 1154 წლის შეთქმულების შედეგად, დავით მეხუთემ ბერად აღკვეცა და გარეჯის მონასტერში განაწესა მამა. ექვსი თვის მეფობის შემდეგ დავით V გარდაიცვალა, დემეტრე პირველმა დაიბრუნა ტახტი და თანამოსაყდრედ გიორგი III, მომავალში თამარ მეფის მამა დაისვა. მიჩნეულია, რომ ის 1155–1156 წლებში უნდა გარდაცვლილიყო.

დემეტრე I-ის შვილის დავითის და გერი ძმის ვახტანგის ამ უღირსმა საქციელმა **ასახვა ჰპოვა პოემაში იმით**, რომ „ვეფხისტყაოსნის“ არც ერთ გმირს, მათ შორის ხნოვან ფარსადანს და როსტევანს არ ჰყავს **მეორე ოჯახი**. უფრო მეტიც, „ვეფხისტყაოსანში“ არა მარტო დემეტრე პირველის პროტოტიპს – ფრიდონს, არამედ პოემის არც ერთ ორივე სქესის გმირებს, არა ჰყავთ **და-ძმა და შვილები**.

განყენებული პერსონაჟია შვიდი სამეფოს მპყრობელის **ინდოეთის მეფის ფარსადანის და დავარი**. მისი პროტოტიპი ქართულ სინამდვილეში დავით აღმაშენებლის, შვიდი სამეფოს მპყრობელის, მამიდა **მართაა**. დავარი, რუსთაველის რელიგიური მრწამსით დადებითი პიროვნებაა, ქრისტიანული მორალით კი – უარყოფითი (იგულისხმება დავარის თვითმკვლელობა).

ის, რომ შოთა რუსთაველს ჰონორარის გადახდა დაუგვიანეს (რაზეც ის წერს პროლოგის მე-9 სტროფში), დაკავშირებული უნდა იყოს დავით აღმაშენებლის გარდა-

²⁸ გაეცანით ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ექვთიმე თაყაიშვილისა და ნიკო მარის მიმოწერას, 1991 წელს გამოცემულ წიგნში „ნიკო მარის და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა“.

²⁹ შოთა ძიძიგური „ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები“ 1974 წ., გვ. 7.



ცვალების შემდეგ თითქმის ოცი წლის (1130-1154) განმავლობაში საქართველოში მიმდინარე ძალაუფლებისათვის ბრძოლებთან.

საქართველოში რომ ოცი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა პოლიტიკური დაპირისპირება, შოთა რუსთაველმა პლანეტების – მუშთარის (იუპიტერის) და ზუა-ლის (სატურნის) მზესთან 20 წელში ერთხელ დაახლოებას შეადარა.

1429-ე სტროფში ვკითხულობთ:

**„ეხვეოდეს ერთმანერთსა, აკოცეს და ცრემლნი თვარნეს;
ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს.
მზე რა ვარდთა შემოადგეს, დაშვენდეს და შუქნი არნეს,
აქანამდის ჭირ-ნახულთა ამას იქით გაიხარნეს“**

ეპილოგის 1660 და 1661 სტროფებში რუსთაველი წერს: მისი ბეღია, რომ მის მიერ გაწეული შრომა შესაფერისად არ იყო დაფასებული – **„ვილყებუ, უსარგებლოდ გავ-სარჯუ ჩემი ენა და კალამი“**.

რაც შეეხება შოთა რუსთაველის გენიას, მსოფლიოში არ დაწერილა არც ერთი ნა-წარმოები, **რომ მის შემქმნელს ის მატერიალური ანაზღაურების გარეშე დაეწერა.**

ურწმუნო არა ქართველთათვის ვიმეორებ: პოემა „ვეფხისტყაოსანი“ შოთა რუს-თაველს საქართველოს მეფემ დავით აღმაშენებელმა თავისი სამი შვილის: უფროსი თამარის (სპარსეთის – შირვანის – ლომისშაჰების ქვეყნის დედოფლის), კატაის (ბი-ზანტიის იმპერატორის რძლის) და ტახტის მემკვიდრის დემეტრეს (1125-1156 წლებ-ში საქართველოს მეფე) დამოძღვრისათვის დაუკვეთა. ამიტომ პოემის შინაარსს, არა მარტო იმდროინდელ სპარსულ და აღმოსავლურ ენოვან სამყაროში, არამედ მსო-ფლიო პოეზიაში ანალოგი არ მოეძებნება.

ქართველებისათვის აღვნიშნავ: სწორედ ამ სამ პიროვნებაზე რუსთაველი წერს: „სამ საქებარ გმირს თითქმის სახოტბო ლექსები უნდა მოუვლინო“.

შეგახსენებთ: როგორც იყო ნათქვამი **ჩვენი ყველა დასკვნა „ვეფხისტყაოსნის“** ახალ ქრონოლოგიასთან დაკავშირებით ეფუძვნება დავით აღმაშენებლის ბიოგრა-ფიას, მისი შვილის ტახტის მემკვიდრის დემეტრე I-ის, მისი ქალიშვილების თამარის, კატაის და მათი მეუღლეების ბიოგრაფიებს.

ის, რომ შოთა რუსთაველი დაიბადა 1095 წელს და 30 წლის ასაკში „ვისრამიანი“ უკვე თარგმნილი ჰქონდა, ჩათვალეთ, რომ ეს **ჰიპოთეზაა**, გამომდინარე ერთი მხრივ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგიდან და ეპილოგიდან, მეორე მხრივ დავით აღმაშენებ-ლის და მისი სიძეების ბიოგრაფიებიდან.

მეოთხე განმარტება

(შოთა რუსთაველი – სპარსულიდან „ვისრამიანის“ მთარგმნელი)

„ვისრამიანის“ თარგმანთან და შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობასთან დაკავშირებით, თუ რატომ ვითარდება პოემის მოქმედება ინდოეთში, 2015 წელს ჟურნალ „კვალში“ ჩვენ ვწერდით: „Апсары (санскр. apsaras IAST, „многочисленные“) — полубогини в индуистской мифологии, духи облаков или воды. Изображались в виде прекрасных женщин, одетых в богатые одежды и носящих драгоценности. В ведийской мифологии являлись жёнами и возлюбленными гандхарв (мужья или возлюбленные апсар). При переходе в индуистскую мифологию приобрели функции небесных танцовщиц и куртизанок. Схожий сюжет содержит текст персидского поэта Гургани „Вис и Рамин“ (1048), который в вольном прозаическом переводе „Висрамиани“ в 12 веке осуществил Саргис Тмогвели“.

როდესაც 2016 წელს ქართულად „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწავლა დავი-წყეთ და გავეცანით თამაზ ჭილაძის გამოკვლევას „ვარდის ფურცლობის ნიშანი“, ჩვენც ბატონ თამაზის მსგავსად გავიზიარეთ იმ მეცნიერთა აზრი, რომლებიც მიი-ჩნევენ, რომ შოთა რუსთაველმა ჯერ სპარსული პოეტის გორგანის „ვისრამიანი“ თა-რგმნა პროზაულად და მერე დაწერა „ვეფხისტყაოსანი“.



თამაზი ჭილაძე წერს: „მე პირადად, სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია, რომ „ვისრამიანი“ ქართულად შოთა რუსთაველის თარგმნილია. თუმცა ახალს არაფერს ვამბობ, რადგან ჩვენი მეცნიერების მიერ, არსებითად, ეს უკვე დამტკიცებული ფაქტია, ოღონდ ასე ხმამაღლა, მგონი, არც ერთ მათგანს არ აღუნიშნავს... ი. ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ პროზად დაწერილი ქართული „ვისრამიანი“ არაფრით ჩამოუვარდება „მშვენიერ ლექსად დაწერილ“ სპარსულ დედანს“. . . „ვისრამიანი“ გენიის სიჭაბუკის წიგნია, „ვეფხისტყაოსანი“ კი სიჭარმაგის დროინდელი, არსებითად, უკვე სხვა (ანდა ძალზე გარდაქმნილი!) პიროვნების მიერ დაწერილი, პიროვნებისა, რომელსაც არა მარტო ლიტერატურული პოზიცია აქვს სრულიად სხვა, არამედ ცხოვრებისეულიც“, დასკვნის სახით განმარტავს ბატონი თამაზი.

„ვისრამიანის“ თარგმანთან დაკავშირებით სპარსულ პოეზიაზე **ივანე ჯავახიშვილი** წერდა: „სპარსულ პოეზიას დიდი გავლენა ჰქონდა ქართველებზე და მისი საგმირო და სააშიკო სიტყვიერება ქართველობას უყვარდა და შეხაროდა იმგვარადვე, როგორც თვით სპარსელები შეხაროდნენ. . . პოეზია და კულტურა ქართველ-სპარსთა სულიერს ერთობასა ჰქმნიდა და მტრობის მაგიერ სიყვარულს თესავდა.“ (ქართული ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი 1948, გვ. 306). შეიძლება ითქვას, როგორც ივანე ჯავახიშვილის ეპოქაში, რუსულ ენას ფლობდნენ თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ინტელიგენციის წარმომადგენლები, ასევე დავით აღმაშენებლის ეპოქაში ქართველი ინტელექტუალები ფლობდნენ სპარსულ ენას. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ შოთა რუსთაველმა სპარსულიდან თარგმნა „ვისრამიანი.“

მართალია, ფილოსოფოსი მოსე გოგიბერიძე არ წერს, რომ რუსთაველმა „ვისრამიანი“ თარგმნა, ის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ანალიზის შედეგად მიდის დასკვნამდე, რომ რუსთაველისთვის ცნობილია **არაბული არისტოტელიზმი**. მოსე გოგიბერიძე რუსთაველზე წერს: „ჩინებულად იცნობდა იგი საშუალო საუკუნეთა ორსავე კერპს – არისტოტელესა და პლატონს (საკითხია მხოლოდ, არაბული თუ ქრისტიანული გონების თვალთქვეთით !), მაგრამ იგი არ ყოფილა არც ერთი ამ სკოლის მიმდევარი“ („რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი“ 4 ტ. 1978 წ. გვ. 10).

*

როგორც ცნობილია, რომსა და ბიზანტიის იმპერიაში, ორთოდოქსალურ-კლერკალური ქრისტიანობის ადეპტებმა VII–VIII საუკუნეებში, ფაქტობრივად, გაანადგურეს ბერძენი ფილოსოფოსების ნაწარმოებები. იმავე საუკუნეებში მუსულმანობის გავრცელებას მოჰყვა ეგრეთ წოდებული არაბული არისტოტელიზმი. სწორედ მუსულმანი არაბებისა და სპარსელების, აგრეთვე მუსულმანურ ესპანეთში (711 – 1492 წლებში) მცხოვრები არაბულ ენოვანი მეცნიერებისა და ესპანეთში მცხოვრები ებრაელების თარგმანების მეშვეობით გადარჩა მრავალი, მათ შორის პლატონისა და არისტოტელეს ნაწარმოები. საქმე იქამდე მივიდა, რომ შუა საუკუნეებში უმთავრესი ბერძენი ავტორები ევროპაში გაიცინეს სპარსული ან არაბული ენებიდან ლათინურად თარგმანების მეშვეობით. ასე რომ, სპარსულიდან „ვისრამიანის“ მთარგმნელი **რუსთაველი, სპარსული ენის მცოდნე, ბრძნულ ფილოსოფიას სპარსულ ენაზე ნათარგმნების მეშვეობით გაცნობოდა.**

ეგრეთ წოდებულ „არაბულ არისტოტელიზმს“ უნდა მივაწეროთ „ვეფხისტყაოსნის“ 797–ე სტროფის მე–3 და მე–4 სტრიქონი, რომელშიც რუსთაველი არისტოტელეს ნათქვამს პლატონს მიაწერს:

„მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა:
„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“ (797.3,4.)

რუსთაველის ღრმა ფილოსოფიურ განათლებაზე მეტყველებს 1500–ე სტროფი:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:
ღმერთი კეთილს მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,
ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს.



ამასთან ერთად რუსთაველი ამბობს:

„რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა,
მე რად გაწვირო მოყვარე, ძმა, უმტკიცესი ძმობისა?!

არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილასოფოსთა ბრძნობისა!

მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“ (798)

**სწორედ რუსთაველის ფილოსოფიური აზროვნებისა და ქართული სიტყვის შე-
რწყმა წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ ხიბლს.** პოემა რომელიც ყველა ქა-
რთველურ ენოვანი ხალხის ცივილიზებულობის დამადასტურებელი საბუთი–პასპორტია.

პროტოტიპები და როლების განაწილება „ვეფხისტყაოსანში“

(პოემის დამკვეთი – მეფე დავით აღმაშენებელი)

დავით აღმაშენებელი, შვიდი სამეფოს მპყრობელი, **ბაგრატ IV-ის** შვილიშვილი და **გიორგი II-ის** შვილი, დაიბადა 1073 წელს და გარდაიცვალა 1125 წელს ორმოც-დაცამეტი წლის ასაკში. დავითი 1089 წელს მამამისის, გიორგი II-ის სიცოცხლეში, 16 წლის ასაკში გახდა საქართველოს მეფე, როდესაც მისი მამა გიორგი II უკვე 1082 წელს, დავითის გამეფებამდე 6 წლით ადრე, შიომღვიმის წიგნში თავის თავს არა შვიდი სამეფოს მპყრობელს უწოდებს, არამედ „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასა-ვლეთისა თვითმპყრობელს“ (ი. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. XII, გვ.213).

16 წლის ასაკში გამეფებული დავით IV, 36 წლის განმავლობაში მართავდა ქვეყა-ნას. მაღლიერმა ქართველმა ერმა მას აღმაშენებელი უწოდა.

დავით აღმაშენებლის მეუღლე სომეხი დიდებულის შვილი იყო (ისტორიამ მისი სახელი არ შემოგვინახა). როგორც წერს ისტორიკოსი ბატონი ჯაბა სამუშია წიგნში „დავით აღმაშენებელი“, მისგან დავით მეფეს სამი შვილი შეეძინა: „დემეტრე მო-გვიანებით საქართველოს მეფე, და ორი ქალიშვილი – თამარი და კატაი. თამარი უფროსი იყო მეფის შვილებს შორის. 1105-1106 წლებში დავით აღმაშენებელმა თავისი ქალიშვილი თამარი ცოლად შერთო აფრიდუნ შირვანშაჰის ძე – მანუჩარს. ამ დინასტიურ ქორწინებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ნაბიჯი გამიზ-ნული იყო თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში შირვანის ჩასაბმელად“ („დავით აღმაშენებელი“ 2015 წ. გვ.40).

1123 წელს შირვანში საბრძოლველად (როგორც ჩანს, სიძის, თამარის მეუღლის დასახმარებლად) გამგზავრების წინ დავით აღმაშენებელმა შიომღვიმის მონასტერს დიდძალი შესაწირი გაუკეთა.

1124 წლის შემოდგომაზე დავით აღმაშენებელმა შირვანი – „ლომის შაჰების“ ქვეყანა საბოლოოდ შემოიმტკიცა, იქაური საქმეები განაგო და იმავე წელს შოთა რუს-თაველს პოემა დაუკვეთა. ასე, შირვანის შემოერთების შემდეგ დავით აღმაშენებელი შვიდი სამეფოს მპყრობელი – „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, სომეხ-თა, შარვანშა და შაჰანშა“ გახდა.

*

1. დავით აღმაშენებლის, შვიდი სამეფოს მპყრობელის პროტოტიპი „ვეფხისტ-ყაოსანში“, შვიდი სამეფოს მპყრობელი ინდოეთის მეფე ფარსადანია.

1.1. ფარსადანის შვიდი სამეფოდან ერთს, თავის დროზე ტარიელის მამა სარი-დანი განაგებდა. სარიდანმა თავისი ქვეყნის მართვა ფარსადანს ნებაყოფლობით გადასცა. ასე გახდა „ვეფხისტყაოსანში“ ფარსადანი შვიდი სამეფოს მპყრობელი, მსგავსად დავით აღმაშენებლისა.

1.2. დავით აღმაშენებლის შვილის, შირვანის ქართველი დედოფლის **თამარის** პროტოტიპი პოემაში, როგორც იყო ნათქვამი, ფარსადანის შვილი **ნესტან-დარეჯა-ნია.**



1.3. თავის მხრივ პოემაში ნესტან-დარეჯანის შეყვარებულის ტარიელის პროტოტიპი დავით აღმაშენებლის სიძე, თამარის მეუღლე შირვანის – ლომისშაჰების ქვეყნის „ლომისშაჰი“-მანუჩარია. „ვეფხისტყაოსანში“ დავით აღმაშენებლის შვილზე თამარზე და მის ქმარზე „ლომისშაჰ“- მანუჩარზე ნათქვამია:

„ვის ჰშვენის, – ლომსა, – ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
– მეფისა მზის – თამარისა, ღაწვ-ბადახმ, თმა-გიშერისა“ (3.1,2.)

ვისი წყალობით ინარჩუნებდა მეფობას, შირვანში ლომისშაჰის ქვეყანაში დავით აღმაშენებლის სიძე, თამარის მეუღლე „ლომისშაჰი“- მანუჩარი, პოემაში მაგრამ უკვე თინათინზე, ბიზანტიის იმპერატორის რძლის კატაიას პროტოტიპზეა ნათქვამი:

„თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია;
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.

ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ (40)

სადაც „ლეკვი“ კატაია, ხოლო „ლომი“ მამამისი დავით აღმაშენებელი.

ამიტომ, როგორც ვთქვით, პოემის სიუჟეტით ძნელი დასადგენია, რომელი: თინათინ-ავთანდილის (კატაის), თუ ნესტან-ტარიელის (თამარის) მიჯნურობის სიუჟეტური ხაზია მთავარი „ვეფხისტყაოსანში“. აქედან ქალის კულტი პოემაში.

*

2. ბიზანტიის იმპერატორის ალექსი I კომნენოსის პროტოტიპი პოემაში არაბეთის მეფე როსტევანია.

2.1 ბიზანტიის იმპერატორის რძალი, დავით აღმაშენებლის შვილის კატაის პროტოტიპი პოემაში თინათინია, ის როსტევანის ქალიშვილი და თანამესაყდრეა.

2.2. კატაის მეუღლის, ბიზანტიის იმპერატორის ალექსი I კომნენოსის ვაჟის ისააკი, პოემაში ავთანდილია, თინათინის მიჯნურია.

რუსთაველმა ბიზანტიის – ბერძნულენოვანი ქვეყნის იმპერატორის შვილის ისააკის პროტოტიპს ავთანდილს, ბერძნული ფილოსოფიის მამაზე პლატონზე ათქმევინა:

„მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა:
„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“ (797.3,4.)

*

3. დავით აღმაშენებლის შვილის დემეტრე პირველის პროტოტიპი პოემაში – ფრიდონია. ის პოემის სიუჟეტის მთავარი სამიჯნურო ხაზის გმირების ტარიელისა და ავთანდილის ძმადნაფიცია, მათი ბედნიერების ორგანიზატორია.

3.1 ნურადინ – ფრიდონი, როგორც საქართველოს მეფე დემეტრე პირველი, პატარა მაგრამ ლამაზი ქვეყნის, გამოგონილი ქალაქის მულღაზანზარის მეფეა. შვიძლება ითქვას, მულღაზანზარის ქვეშ რუსთაველი შავი ზღვიდან (ბიზანტიის საზღვრიდან) კასპიის ზღვამდე (სპარსეთის საზღვრამდე) გადაჭიმულ საქართველოს გულისხმობს.

3.2. თუ საქართველოში დაბადებულ, სპარსეთსა და ბიზანტიაში გათხოვილი დედოფლებისათვის, საქართველოში დარჩენილი ძმა, დემეტრე პირველი, მათ ქმრებთან ურთიერთობის გარანტია, ქალაქ მულღაზანზარიდან ფრიდონი (დემეტრე პირველის პროტოტიპი) იწყებს თავისი ძმადნაფიცებისათვის და მათი მიჯნურთათვის სასიყვარულო კვანძის გახსნას.

3.3. რუსთაველი პოემაში უცოლო ფრიდონს (დემეტრეს პროტოტიპს, როგორც ქართველს) შეფარვით ძმადნაფიცებიდან როგორც მამაკაცს განასხვავებს. როდესაც ტარიელი და ავთანდილი ტოვებენ ფრიდონს, რუსთაველი 1390-ე სტროფის მესამე სტრიქონში ამბობს, გეგონებოდათ შეყრილიყვნენ ორი მზე და ერთი მთვარე:

„ფრიდონ უთხრა: „რასა სდევით? მოგელოდი უწინარე,
მე მზა ვარო, სამსახური თქვენი რა-მცა დავიზარე!“



ჰგვანდა, თუმცა შეყრილ იყვნეს **ორნი მზენი, ერთი მთვარე**,
ერთმანერთი დააშვენეს, გაემართნეს, იქცეს გარე“.

როდესაც წარმართი ქართველებისათვის მზე ღვთაება დედაკაცად, ხოლო მთვა-
რე მამაკაცობის სიმბოლოად აღიქმებოდა.

*

4. დავით აღმაშენებლის, შვიდი სამეფოს მპყრობელის, **მამიდის – მართას (მა-
რიამის)** პროტოტიპი პოემაში შვიდი სამეფოს მპყრობელის, ინდოეთის მეფის ფარ-
სადანის და **დავარია**, ფრიად განათლებული ქვრივი ქალბატონი, რომელსაც ფარ-
სადანმა თავისი ერთადერთი ქალიშვილის **ნესტან-დარეჯანის** აღზრდა დაავალა.

4.1 დავით აღმაშენებლის მამიდა **მარიამი** ბიზანტიის ორი მოწვევის დედოფალი
იყო.

მარიამის პირველი მეუღლე მიხეილ VII დუკა 14 წლის განმავლობაში იყო ბიზან-
ტიის იმპერატორი (1065-1078 წ.წ.). 1078 წელს **მარიამმა** თავისი მეუღლე მიხეილ
VII დუკა **ბერად აღკვეცა** და ცოლად გაჰყვა იმპერატორად ნაკურთხ **ნიკიფორე III-ს**.
იმის გამო, რომ მარიამის პირველი მეუღლე ცოცხალი იყო, რომის პაპმა გრიგორი VII,
მარიამის მეორე მეუღლე ნიკიფორე III ანათემას გადასცა.

როგორც ისტორიკოსი ჯაბა სამუშია წერს: „1081 წელს ალექსი კომნენოსის მიერ
ნიკიფორე III-ის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ერთ-ერთ ორგანიზატორად
სწორედ მარიამ დედოფალი ჩანს“ („დავით აღმაშენებელი“ 2015 წ. გვ.11).

შოთა რუსთაველმა სწორედ ასეთი „ცხოვრებისეული გამოცდილების“ მქონე პი-
როვნება, ბიზანტიის თითქმის სამი მოწვევის დედოფალი, პოემის დამკვეთის დავით
აღმაშენებლის **მამიდა მარიამი**, „ვეფხის-ტყაოსანში“ ქაჯეთში გათხოვილი მეფის
ქვრივის **დავარის** პროტოტიპად შეარჩია.

4.2. „ვეფხის-ტყაოსანში“ დავარის ძმამ, ინდოეთის შვიდი სამეფოს მპყრობელმა
ფარსადანმა, როგორც ვთქვით, ერთადერთი ქალიშვილი ნესტან-დარეჯანი აღსა-
ზრდელად ჩააბარა თავის დას:

„დავარ იყო და მეფისა, ქვრივი, **ქაჯოს** გათხოვილი,
მას სიბრძნისა სასწავლელად თვით მეფემან მისცა შვილი“. (335.3,4.)

როდესაც ტარიელმა ნესტან-დარეჯანის დავალებით ინდოეთში ჩამოსული მისი
საქმრო, ხვარაზმშას შვილი მოკლა, ეს უღირსი საქციელი დავარმა თავის, როგორც
ნესტან-დარეჯანის ცუდად აღმზრდელისა და მასწავლებლის, დანაშაულად მიიჩნია
და თავი მოიკლა.

თავის მოკვლის წინ დავარმა ძმისშვილი იმდენჯერ სცემა, „სანამ არ გაძღა ცემი-
თა, მისით დაღურჯებითა“ და მერე **ქაჯეთში** განაწესა.

ამ საქციელის – **თვითლიკვიდაციის მორალური მხარე** რუსთაველის რელიგიურ
მრწამსში უნდა ვეძიოთ (ხომ იკლავდნენ თავს, მაგალითად იაპონიაში სამურაები).
რაც შეეხება დანაშაულისათვის გამზრდელის მიერ აღსაზრდელის ცემას, ეს მეთოდი
აღზრდის სწორ მეთოდად იყო მიჩნეული არა მარტო რუსთაველის ეპოქაში.

აგრეთვე რუსთაველის რელიგიურ მრწამსში უნდა ვეძიოთ ბედისწერის თემაც:

„ვა, სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა?
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა!
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა!“ (960)

4.3. როგორც ჩანს, რუსთაველის ეპოქაში საქართველოში წარმართი ღმერთების
მიმდევრებს არა მარტო ქართველი მუსულმანები **„ქაჯობად“** მოიხსენიებდნენ (ქაჯ –
სპარსულად **ყაღბი**), როგორც აბრაამისა და მოსეს რელიგიის მიმდევრები, მათ შო-
რის არა ეთნიკური ებრაელი, ყველა სხვა რელიგიის წარმომადგენლებს საქართვე-
ლოში **„გოიმად“** მოიხსენიებდნენ (**ივრიტზე „გოიმ“ ყაღბს ნიშნავს**).

შოთა რუსთაველის ეპოქაში ქართველი მუსულმანები ქაჯობად მოიხსენიებდნენ



ქალაქ არტანის³⁰ (ქალაქი ლაზეთის შავი ზღვის რეგიონში) მცხოვრებლებს. როგორც ჩანს, არტანში იმ დროს რუსთაველივით წარმართი ქართველები ცხოვრობდნენ.

სწორედ ამიტომ შოთა რუსთაველმა დამკვეთების **შეფარვით** ბევრი სათქმელი შენიღბა, მათ შორის ის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ წარმართ ქართველთა **წყლის** ღმერთს და „მზის“ ქალღმერთს „ჰერას“ მიუძღვნა:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, **უწყალო** ვითა ჯიქია;
მისი სახელი **შეფარვით** ქვემოთ მითქვამს, მიქია“ (19)
„ვთქვა მიჯნურობა – პირველი და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;
ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა“. (20)

მე-19 სტროფის მე-3 სტრიქონში „**უწყალო** ვითა ჯიქია“ ნიშნავს, რომ რუსთაველი შუმერულ-აქადური (ბაბილონური) – ასირიული მიწისქვეშა **მტკნარი წყლების** სამსახელიანი ერთი ღმერთის „აბზუ-აფსარ-ენგურის“ მიმდევარი, პოემაზე მუშაობის დროს „უწყალო“ მზის ქალღმერთ „ჰერას“ თავყანისმცემელი იყო.

მე-20 სტროფის მე-3 სტრიქონში „იგია საქმე **საზეო**, მომცემი აღმაფრენათა“, სიტყვა „**საზეო**“ ნიშნავს ზეცისკენ მიმართულ მზერას³¹, როდესაც „ვეფხისტყაოსანში“ მზე თითქმის 400-ჯერ არის ნახსენები, და ღმერთი „აბზუ-აფსარ-ენგური“ მეტაფორულად ორჯერ „იგია ჩემი სიცოცხლე, **უწყალო** ვითა ჯიქია“ და „წყლად ევფრატსა უხვად ერწყო ედემს რგული აღვა მჭევრი“. (როგორც ითქვა ერთდროულად სხვადასხვა ღმერთის, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში ერთი ღმერთის თაყვანისცემას გენოთეიზმი ეწოდება, არ შეგეშალოთ პოლითეიზმთან, რომელიც მრავალღმერთიანობას აღიარებს, ამასთან ერთად სამყარო შექმნილია ერთი აბსოლუტური ღმერთისაგან).

*

აქვე იბადება კითხვა, „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაი ქართლისაი“ რატომ არ აფიქსირებენ, რომ საქართველოში. ქართველურ ენოვან ხალხებს შორის გავრცელებული იყო წარმართი მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის რელიგია. ამ საკითხსაც, როგორც ზეციური ქალღმერთ „ჰერას“ საკითხს განვიხილავთ მეოთხე ინტერნეტ გზავნილში, როგორც მეოცე მიგნება-აღმოჩენას.

*

ჰონორარის საკითხი

(რასაცა გასცემ, შენია; რას არა, დაკარგულია)

წერილობითი წყაროებით დაფიქსირებულია, თუ რა დიდი ოდენობის ჰონორარებს უხდიდა დავით აღმაშენებლის სიძე, შირვანის შაჰი მანუჩარი და დავითის შვილიშვილი აღსართანი თავის კარის პოეტებს. მამა-შვილი ჰონორარის გარდა, მამულებითაც აჯილდოვდნენ გამორჩეულ მგოსნებს.

1160 წელს თამარის მეუღლის მანუჩარის გარდაცვალების შემდეგ **თამარის უფროსი შვილი აღსართან | შირვანის შაჰი გახდა**. თამარი საქართველოში დაბრუნდა და (ქართული წყაროებით) მის მიერ 1152 წელს აშენებულ თიღვის მონასტერში

³⁰ ლეონტი მროველის (XI ს.) ცნობით, ლეგენდარული მცხეთოსის ძემ, ჯავახოსმა, ააშენა არტანის ციხე-ქალაქი, რომელსაც მაშინ ქაჯთა ქალაქი რქმევია.

³¹ ნოდარ ნათაძე. 2011 წ. „ვეფხისტყაოსანი“ მესამე სასკოლო გამოცემა, გვ.19. ს ა ზ ე ო – ზეციური, ზეცისკენ მიმართული.



მონაზვნად აღიკვეცა: „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული“ (4.1.) როდესაც ნიზამი განჯელმა საქართველოს მონასტერში აღკვეცილ ქალს ლექსი „ლამაზ ქრისტიან ქალზე ვლოცულობ“ მიუძღვნა, მას თამარის შვილმა აღსართანმა დიდაქტიკურ-მორალური ხასიათის პოემა „ლეილი და მაჯნუნი“ დაუკვეთა და ჩვენი კონცეფციით ჰერეთის პირველი აფხაზეთის მოსაზღვრედ, როგორც წერს თვითონ ნიზამი, სოფელი ჰამდუნიანი აჩუქა.

ამასთან ერთად ცნობილია როგორ დარჩა უსახსროდ სიბერეში, შოთა რუსთაველის რანგის, XI საუკუნის სპარსულენოვანი პოეტი ფირდოუსი – „შაჰ-ნამე“ ავტორი, როდესაც სპარსული წარმომავლობის „სამიღების“ დინასტია ბუხარაში შეცვალა თურქული წარმომავლობის „ღაზნევიანების“ დინასტიამ. ახალი დინასტიის შაჰმა მაჰმუდ ღაზნევიამ, ფირდოუსს „შაჰ-ნამე“ („მეფეთა წიგნი“, ძველი ირანულ მეფეთა ქრონიკა) დაუწუნა, აიძულა ფირდოუსი, რომელიც „შაჰ-ნამეზე“ ოცდაათი წელი მუშაობდა, ბუხარა უსახსროდ დაეტოვებინა.

ის, რომ თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ფირდოუსს ჰონორარი არ გადაუხადეს, თვითონ წერს „შაჰ-ნამეში“:

„ჩემი სიცოცხლის ოთხმოც წელს ცოტადა რომ აკლდა,
ერთბამად ჩემი იმედი და ფიქრები გაქარწყლდა.
ამ ოცდაათი წელს ქვეყანაზე მწუხარე ბედით
რამდენი ტანჯვა ავიტანე განძის იმედით“.

ფირდოუსის მსგავსად, შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ მე-9 სტროფის 3,4 სტრიქონებში წერს, რომ ჰონორარის (**წამალის**) ცდაში „**დავუძღორდი**“ და ჰონორარი (**განკურნება**) სიბერეში **სამარის** პირას მისულს გადამინადეს:

„**დავუძღორდი**, მიჯნურთათვის კვლა **წამალი** არსით არი,
ანუ მომცეს **განკურნება**, ანუ მიწა მე **სამარი**“.

ნიშანდობლივია ის, რომ ფირდოუსს ჰონორარი არ გადაუხადეს, არაერთი სერიოზული და სატირული გამოკვლევაა დაწერილი. ერთ იუმორისტულ გამოკვლევა-პოემაში ირწმუნებიან, რომ ფირდოუსმა „მეფეთა წიგნი“ იმიტომ გაწელა 60000 ბეითამდე, რომ მას თითო ბეითში უნდა აეღო ერთი ოქროს მონეტა. მეორე „გამოკვლევაში“ შაჰმა მას ოქრო ვერცხლით შეუცვალა და გაბრაზებულმა ფირდოუსმა ჰონორარი ღარიბებს დაურიგა. საყურადღებოა, რომ ფირდოუსი „მეფეთა წიგნში“ დავით აღმაშენებლის სიძეს მანუჩარს „ლომად“ მოიხსენიებს და მის გამეფების ცერემონიას აღწერს, მაგრამ ეს სხვა თემაა.

ძნელი სათქმელია 1156 წელს, მეორედ მეფედ კურთხევის შემდეგ, ზუსტად როდის გადაუხადა დემეტრე პირველმა შოთა რუსთაველს დავით აღმაშენებლის მიერ დაპირებული ჰონორარი. ეპილოგის პირველ და მეორე სტროფში რუსთაველი წერს:

„გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა.
გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა!
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.
ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე **რუსთველისად** ამისა“ (1658).
„ქართველთა ღმრთისა **დავითის**, ვის მზე მსახურებს სარებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათად **სახუმარებლად**,
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად,
ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად“ (1659)

1658-ე სტროფით რუსთაველი ახსენებს პოემის დამკვეთებს, „ქართველთა ღმრთისა **დავითის**, ვის მზე მსახურებს სარებლად“, რომ მისი წინაპრები მესხეთს ფლობდნენ და წარმომავლობით და შეძლებით პოემის დამკვეთებს არ ჩამოუვარდებოდნენ, მაგრამ „სიმუხთლე ჟამისა!“ გამო ყველაფერი დაკარგეს: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“. ამასთან ერთად ეპილოგის მთავარი თემაა ბედისწერის თემა: „რასა ვინ ეძებთ, რას აქმნევთ? **ბედია მაყვივნებელი**“.

ცნობა იმის შესახებ, რომ რუსთაველის წინაპრები, მესხეთს ფლობდნენ და შე-



მდგომში დაკარგეს, შემოგვინახა ქართულმა ფოლკლორმა: „ასპინძა და ოთა, სად არის ჩვენი შოთა. ბოლოს თავი დააღწიე, რუსთაველო შოთა, ხელიდან წაგვივიდა ასპინძა და ოთა. გამარჯობა, შოთაო, სად არის ჩვენი რუსთავი და ოთაო“³²

ერთი რამ ცხადია, შოთა რუსთაველს, რომ გადაუხადეს ჰონორარი, ამაზე ის პირდაპირ წერს პროლოგის მე-9 სტროფში:

„მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი;
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი.
დავუძღურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი;
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი!“

სადაც მე-2 სტრიქონში, გამოთქმაში: „ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი“, პოეტი ჰონორარის გადამხდელს დემეტრე პირველს გულისხმობს.

ჰონორარის გადახდა რომ დაუგვიანეს რუსთაველს, მე-3 სტრიქონი ასე უნდა გავიგოთ: **შრომისაგან** დავუძღურდი მიჯნურთათვის, მაგრამ დაპირებული ჰონორარი – **„კვლა წამალი არსით არი“**, არ ჩანს.

ჰონორარი რომ გადაუხადეს **„მომცეს განკურნება“** სიბერეში – **„ანუ მიწა მე სამარი!“**, ამასაც არ მალავს, მე-4 სტრიქონში წერს:

„ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი!“

ამასთან ერთად, 1660-ე და 1661-ე სტროფებში, რუსთაველი აჯამებს პროლოგში და ეპილოგში ნათქვამს და წერს, რომ მისი **ბელია მაყივნებელი**, რომ „ქართველთა ღმერთისა დავითის“ (აღმაშენებლის) მიერ დაკვეთილი პოემა მისი შვილების **უცხოთა ხელმწიფეთანის – ქებანი მათ მეფეთანი** სათანადოდ – შესაფერისად არ იყო ანაზღაურებული – **ვილაცბე, უსარგებლოდ გავსარჯე ჩემი ენა და კალამი:**

„დავითის ქმნანი ვითა ვთქვან სიჩალხე-სიხაფეთანი!
ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი,
პირველ ზნენი და საქმენი, **ქებანი მათ მეფეთანი**,
ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა **ვილაცფეთანი**“ (1660).
„ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,
წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი!
რასა ვინ ეძებთ, რას აქმნევთ? **ბელია მაყივნებელი**,
ვის არ შეუცვლის, კარგია, ორისავ იყოს მხლებელი“ (1661).

1660-ე სტროფის მე-4 სტრიქონიდან სიტყვა „ვილაცფეთანს“ განმარტავს ცნობილი რუსთაველოლოგი ნოდარ ნათაძე. ბატონი ნოდარი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს რუსთაველის მიერ გამოყენებულ პოეტურ ხერხზე „ლიცენციაზე“ (ლათ. licentia – ნებართვა), როდესაც მგოსანი გამომსახველობის მიზნით არღვევს ლოგიკურ-აზრობრივ ნორმას. ნოდარ ნათაძე წერს: ვილაცფეთანი როგორც ჩანს ნიშნავს: ვილაცბე, უსარგებლოდ გავსარჯე ჩემი ენა და კალამი (ლიცენციაა).³³

რაც შეეხება 1660-ე სტროფის პირველ სტრიქონში ნახსენებ „დავითს“, ამ ეტაპზე აღვნიშნავ, რომ ეს „დავითი“ არ არის დავით აღმაშენებელი „ქართველთა ღმერთისა **დავითის**, ვის მზე მსახურებს სარებლად“, მით უმეტეს, ის არ არის არც თამარ მეფის მეუღლე დავით სოსლანი („მეორე დავითზე“, მეოთხე ინტერნეტ გზავნილში).

რუსთაველის რელიგიური მრწამსის განხილვის წინ ბოლო განმარტება

პრეცედენტი იმისა, რომ პოემაში როსტევანმა (ბიზანტიის იმპერატორის ალექსი I კომნენოსის პროტოტიპმა) თავისი ქალიშვილი თინათინი, თავის სიცოცხლეშივე გაამეფა, ბიზანტიის ისტორიაში სწორედ შოთა რუსთაველის ეპოქაში მოხდა.

³² И. Мегрелидзе, „Руставели и фольклор“. Тб., 1960, ст. 96

³³ ნ. ნათაძემ. „ვეფხისტყაოსნი“, სასკოლო გამოცემა 2011 წ. გვ. 464.



963 წლიდან ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე VIII-მ, რომელსაც მარტო ქალიშვილები ჰყავდა, თავის სიცოცხლეში უფროსი ევდოკია მონაზვნად განაწესა, მემკვიდრედ საშუალო ქალიშვილი ზოია გამოაცხადა და 1028 წელს მომავალ იმპერატორს რომან III-ს ცოლად გააყოლა.

„ვეფხისტყაოსნის“ ბოლო 1162-ე სტროფში, რუსთაველი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ტარიელზე (თამარის ქმარზე, დამკვეთების სიძეზე), მასზე უკეთესად ვერავინ ვერ დაწერდა:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია **ხოწელსა**,
აბდულ-მესია – **შავთელსა**, ლექსი მას უქეს რომელსა,
დიღარგეთ – სარგის **თმოგველსა**, მას ენა-დაუშრომელსა,
ტარიელ – მისსა **რუსთველსა**, მისთვის ცრემლ-მუეშრომელსა“ (1162)
რადგანაც : შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი. (12.1,2)

ის, რომ რუსთაველმა „ვისრამიანი“ თარგმნა, „ვეფხისტყაოსნის“ ბოლო სტროფში ნახსენები: ხოწელის, **შავთელის** და თმოგველის მოღვაწეობის თარიღები ჩვენ ახალ ქრონოლოგიას უნდა მიუსადაგონ ახალი თაობის ქართული ლიტერატურის მკვლევრებმა. შეგახსენებთ, დიდი ქართველი მეცნიერის ნიკო მარის თანახმად, იოანე შავთელი დავით აღმაშენებლის თანამედროვე და შემამკობელია.

P.S. ოპონენტებს ვთხოვ, დისკუსია დაიწყონ ორ შეკითხვაზე პასუხის გაცემით – პირველი: ვინ არიან ის პიროვნებები, ვინც შოთა რუსთაველს უბრძანა, დაეწერა პოემა: „მიბრძანეს მათ საქებრად ტკბილი ლექსის თქმა“(5.1.). ბაჩანა ბრეგვაძის ვერსიით: „მიბრძანეს მათ (თამარის) საქებრად ტკბილი ლექსის თქმა“.

მეორე შეკითხვა: დაასახელეთ ის სამი პიროვნება, რომელთა საქებრად შოთა რუსთაველს უნდა დაეწერა პოემა: „სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა“ (10.4.) ბაჩანა ბრეგვაძის ვერსიით: „სამ საქებარ გმირს თითქმის სახოტბო ლექსები უნდა მოუვლინონ“.

P.S. „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ქრონოლოგია პირველ რიგში განუთვნილია ქართული ენისა და ლიტერატურის ყველა დონის პედაგოგებისათვის საორიენტაციოდ, აგრეთვე კინოსა და თეატრის იმ დრამატურგებისა და რეჟისორებისათვის, რომლებიც აღიქვამენ ახალ ქრონოლოგიას და ახლა მაინც გაბედავენ შოთა რუსთაველთან მიახლოებას.

**პატივისცემით,
დავით ფირცხალავა.**



მონოგრაფია „ბიბლიიდან ვეფხის-ტყაოსნამდე“

მეოთხე ინტერნეტ გზავნილის ტექსტი

ქალბატონებო და ბატონებო!

ჟურნალ „ენა, მამული, ისტორიის“ მკითხველებო, შოთა რუსთაველის და აფხაზე-თის თემასთან დაკავშირებული კონფერენციის მონაწილეებო, გთავაზობთ გაეცნოთ ინტერნეტში განთავსებული ჩვენი მეოთხე გზავნილის ტექსტს. როდესაც **ჩვენი ყვე-ლა დასკვნა** „ვეფხის-ტყაოსნის“ ახალ ქრონოლოგიასთან დაკავშირებით ეფუძვნება დავით აღმაშენებლის ბიოგრაფიას, მისი შვილის ტახტის მემკვიდრის დემეტრე I-ს, მისი ქალიშვილების თამარის, კატაის და მათი მეუღლეების ბიოგრაფიებს.

როგორც იყო ნათქვამი ინტერნეტში განთავსებული ტექსტები შემადგენელი ნაწი-ლია დამთავრების პროცესში მყოფი მონოგრაფიისა „ბიბლიიდან ვეფხის-ტყაოსნა-მდე“.

თავის მხრივ მონოგრაფია „ბიბლიიდან ვეფხის-ტყაოსნამდე“ შედგება **ოთხი** და-მოუკიდებელი მონოგრაფიისაგან:

პირველი: „წარმართი ღმერთები **საქართველოს** ისტორიის შემადგენელი ნაწი-ლია“;

მეორე: „ჰერეთი“, როგორც სამშობლოს ცნება **ქართველურ ენოვანი** ხალხების ცნობიერებაში“;

მესამე: „ძველი და ახალი „აღთქმა“ **საქართველოს** ისტორიის წყაროა“;

მეოთხე: „ვეფხის-ტყაოსნის“ სიტყვათა წყობა **ქართველურ ენოვანი** ხალხები-სათვის გამაერთიანებელი დაუმრეტელი წყაროა, მსგავსად ქართული მრავალხმი-ანი სიმღერისა და სუფრაზე ქართველურ ენოვანი ხალხების მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოებისა“.

როგორც დასახელებებიდან ჩანს, მართალია ყველა მონოგრაფია დამოუკიდებე-ლია, მაგრამ ყველა მათგანი ურთიერთდაკავშირებულია **საქართველოს ისტორია-სთან**. აქედან სხვადასხვა ინტერნეტ გზავნილში ერთი და იმავე თემის **განმეორებით განხილვა** და სხვადასხვა კუთხით **განმეორებითი მტკიცებულება**.

ამასთან ერთად, როგორც იყო ნათქვამი, მეოთხე ინტერნეტ გზავნილში გა-ვცემთ პასუხს კითხვას: ქართული საისტორიო თხზულებათა კრებულები „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაი ქართლისაი“ რატომ არ აფიქსირებენ, რომ საქართველო-ში ქართველურ ენოვან ხალხებს შორის გავრცელებული იყო წარმართი მიწისქვე-შა მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი „აბზუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის რელიგია, და ორივე წყაროში რატომ არ ფიქსირდება, რომ ქართველურ ენოვანი ხალხებისთვის ძირძველი ზეციური ქალღმერთ „ჰერა“ ერთადერთი და მთავრი ღმე-რთი იყო.

*

როგორც წინა ინტერნეტ გზავნილებში ითქვა, დავით აღმაშენებელმა წარმართ შოთა რუსთაველს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, „გალობანი სინანულისა-ნის“ დაწერის შემდეგ **1124 წელს** თავისი სამი შვილის, თამარის, კატაის და დემეტ-რეს დამოძღვრისათვის პოემის დაწერა **დაუკვთა**. იმ დროისათვის 1095 წელს და-ბადებულ 30 წლის შოთა რუსთაველს **„ვისრამიანი“** უკვე თარგმნილი ჰქონდა. მას ჰონორარის გადაუხდელი ნაწილი, „ვეფხის-ტყაოსნის“ მე-9 სტროფის თანახმად, დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილმა, საქართველოს მეფემ დემეტრე პირველმა 1156 წელს, მეფედ მეორედ კურთხევის შემდეგ, როდესაც მას კვლავ დაემორჩილა ჯარი გადაუხადა:

„მე, რუსთველი, ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი;
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი,
დავუძღურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი;



ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი!“ (9)

შოთა რუსთაველის მიერ „ვისრამიანის“ თარგმნასთან დაკავშირებით, მწერალი, პოეტი და დრამატურგი ბატონი თამაზ ჭილაძე 1984 წელს გამოცემულ წიგნში „ვარდის ფურცლების ნიშანი“ წერდა: „ვისრამიანი“ გენიის სიჭაბუკის წიგნია, „ვეფხისტყაოსანი“ კი სიჭარმაგის დროინდელი, არსებითად, უკვე სხვა (ანდა ძალზე გარდაქმნილი!) პიროვნების მიერ დაწერილი, პიროვნებისა, რომელსაც არა მარტო ლიტერატურული პოზიცია აქვს სრულიად სხვა, არამედ ცხოვრებისეულიც“ (გვ.113)

„ვფიქრობ, უმჯობესია, ერთხელ და სამუდამოდ შევურიგდეთ იმ აზრს, რაც უნდა ძნელი იყოს, რომ რუსთაველი პროფესიონალი პოეტია და არა პოეტური ნიჭით დაჯილდოებული კარისკაცი“ (გვ. 20).

„ღიახ, რუსთაველი პროფესიონალი პოეტია, „სპეციალური პოეტური გილდიის“ წევრია“. (გვ.20)

„პოეზია საქართველოშიც უსათუოდ ხელობად ითვლებოდა. „მე, რუსთაველი, ხელობითა ვიქმ საქმესა„! – მე, რუსთაველი, ვაკეთებ იმ საქმეს, რომელიც ჩემი ხელობააო. „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს“-ო, ესეც მის სიტყვებია“ (გვ.21).

„შეიძლება თამამად ითქვას, რუსთაველის პოემა თამარის კი არა, დავით აღმაშენებლის ეპოქის გენიალური ფინალური აკორდია, რომელიც აპოთეოზური დიდებულებით გადმოგვცემს მომავლის რწმენასაც, მომავლისაკენ დაუოკებელ ლტოლვასაც, ანუ უფრო ზუსტად – უკვდავების განცდას!“ (გვ.58).

იმაზე, რომ პროფესიონალი პოეტი რუსთაველი უკმაყოფილო დარჩა პოემის დამკვეთის დავით აღმაშენებლის შვილის დემეტრე I-ის მიერ დაგვიანებით გადახდილი ანაზღაურებით, რუსთაველი პროლოგის მე-9 სტროფის მე-3 და მე-4 სტრიქონებში და ეპილოგის 1660-ე სტროფში წერს:

„დავუძღურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი;
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი!“ (9–3,4)

პოემის დასასრულის 1660-ე სტროფს განვიხილავთ მოგვიანებით.

*

„ვეფხის-ტყაოსანი“ სამი ნაწილისაგან შედგება: პროლოგი, საკუთრივ პოემა და ეპილოგი. ჩვენთვის სამივე ნაწილის ავტორი უპირობოდ შოთა რუსთაველია. უფრო მეტიც, დავესესხები ბატონ თამაზ ჭილაძეს სიტყვათაწყობას და დავაზუსტებ პოემის დაწერის პერიოდინაციას: „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტი, გენიის სიჭაბუკის წიგნია, პროლოგი და ეპილოგი, სიბერის ზღვარზე მდგომი, არსებითად, უკვე სხვა (ანდა ძალზე გარდაქმნილი!) პიროვნების, რომელსაც არა მარტო ლიტერატურული პოზიცია აქვს სრულიად სხვა, არამედ ცხოვრებისეულიც“.

პროლოგის მე-9 სტროფის მე-3 და მე-4 სტრიქონებში ვკითხულობთ:

„დავუძღურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი;
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი!“

*

IV მონოგრაფიის „ვეფხის-ტყაოსნის“ სიტყვათა წყობა ქართველურ ენოვანი ხალხებისათვის გამაერთიანებელი დაუშრეტელი წყაროა, მსგავსად ქართული მრავალხმიანი სიმღერისა და სუფრაზე ქართველურ ენოვანი ხალხების მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოებისა“, საწყისი ალგორითმი–თემა პოემის დასაწყისის მე-14 სტროფშია ნათქვამი: „რა ვეღარ მიჰხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა!“.

პოემაში რუსთაველი 5-ჯერ ახსენებს „ქართუ“ ფუძიან სიტყვას:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელით-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები,
ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმან ნები“ (8)



„მაშინდა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,
რა ველარ მიჰხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა!
არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,
 ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა“ (14)
 „ყმა ტკბილი და **ტკბილ-ქართული**, სიკეთისა ხელის მხდელი,
 მზესა ასრე ეუბნების, ვით გაზრდილსა ამო მზრდელი;
 ქალმან მისცნა მარგალიტნი, სრულ-ქმნა მისი საწადელი,
 ღმერთმან ქმნას და გაუსრულდეს ლხინი ესე აწინდელი!“ (715)
 „ქართველთა ღმრთისა, დავითის ვის მზე ჰმსახურებს სარებლად,
 ესე ამბავი გავლექსე მე მათად მოსახმარებლად.
 ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად,
 ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად“ (1659)

პირველ სამ სტროფში, XI საუკუნეში შოთა რუსთაველმა ქართულ პოეზიაში, შეიძლება ითქვას, ქართულ ცივილიზებულ სამყაროში, პირველად დააფიქსირა ქართველურ ენოვანი ხალხების გამაერთიანებელი სიტყვის ფუძე „**ქართუ**“. აქედან IV მონოგრაფია: „ვეფხის-ტყაოსნის“ სიტყვათა წყობა **ქართველურ ენოვანი** ხალხებისათვის გამაერთიანებელი დაუშრეტელი წყაროა, მსგავსად ქართული მრავალხმიანი სიმღერისა და სუფრაზე ქართველურ ენოვანი ხალხების მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოებისა“.

სიტყვა „საქართველოს“ წარმომავლობის საკითხი განხილული იქნება „ბიბლიიდან ვეფხის-ტყაოსნამდე“ კრებულის ოთხივე მონოგრაფიაში.

რაც შეეხება ეპილოგის 1659-ე სტროფის პირველ სტრიქონში ნახსენებ „ქართველთა ღმრთისა, დავითის ვის მზე ჰმსახურებს სარებლად“ განმარტებას, რატომ აიყვანა წარმართმა რუსთაველმა, საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი „ღმერთის“ რანგში განვმარტავთ მას შემდეგ, როდესაც განვიხილავთ თუ რაში გამოიხატება თვით შოთა რუსთაველის წარმართობა.

*

ჩვენ იშვიათ შემთხვევაში გამოვთქვამთ ჰიპოთეზას. ერთ-ერთი ჰიპოთეზის თანახმად წარმათი შოთა რუსთაველი დაიბადა 1095 წელს. პოემაში ნათქვამი „ვეწერ ვინმე მესხი მელექსე მე **რუსთველისად** ამისა“, ჩვენი აზრით მიანიშნებს იმაზე, რომ შოთა რუსთაველი ჰერეთის – მესხეთის ყოფილი დიდებულის, **აბაზასძეს** გვარის წარმომადგენელია. ეს საკითხი განხილული იქნება **მეხუთე** ინტერნეტ გზავნილში.

*

ქართველურ ენოვანი ხალხების **მიმართებით** ჩავთალოდ **ჰიპოთეზად** ჩვენი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ყველა ქართველურ ენოვანი ხალხისათვის „ქართლის ცხოვრების“ ჩაწერამდე სიტყვა „ჰერეთი“ და „ჰერი“ ერთიანი საქართველოს ტერიტორიის და ამ ტერიტორიაზე მცხოვრები არა სემიტი, არა ინდო-ევროპელი ქართველურ ენოვანი ხალხების აღმნიშვნელი სიტყვა იყო.

სიტყვა „ჰერი“-დან წარმოდგება „ჰერეთში“ მცხოვრები ქართველურ ენოვანი ხალხების ძირძველი წარმართი ღმერთის – მზის ქალღმერთის სახელი „ჰერა“. შეიძლება ითქვას ზეციური ქალღმერთი „ჰერა“, ქართველურ ენოვანი ხალხების მთავარი ღმერთი იყო. მათი წარმოდგენით ქალი „მზე“ მამაკაც „მთვარეზე“ მაღლა იდგა. ქალღმერთი „ჰერას“ სათაყვანებელი სიმბოლო, როგორც ძველი ცივილიზაციის უმთავრეს ხალხების მითში, წმინდა ხარი იყო.

რაც შეეხება მიზეზს, თუ რატომ მისცეს დავიწყებას ქართველურ ენოვანმა ხალხებმა, თავიანთი ძირძველი წარმართი ქალღმერთის „ჰერას“ სახელი, რომელსაც არ აფიქსირებს „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაი ქართლისაი“, ეს პირდაპირ კავშირშია ქართველურ ენოვანი ხალხების რელიგიურ მრწამსთან, რომელიც ჩვენი კონცეფციით, კრძალავდა ღმერთის სახელის ხსენებას.



უფრო სწორი იქნებოდა ითქვას, ღმერთის სახელი მარტო ერთმა პიროვნებამ იცოდა, ანალოგიურად იმისა როგორც აბრაამისა და მოსეს რელიგიის რიგითმა მიმდევარებმა არ იცოდნენ და არ იციან თავიანთი ღმერთის სახელი³⁴, რომელიც **მარტო ერთმა პიროვნებამ**, მოსეს უფროსი ძმის აარონის შთამომავლებმა უმაღლესმა მღელმთავარმა (Первосвященник) იცოდა, და ყოვლად დასაშვებია, რომ იცის დღეს.

იმიტომ წერდა პოემის დასაწყისში რწმენით გენოთეისტი შოთა რუსთაველი: „ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!“ – „მისი სახელი **შეფარვით ქვემოთ მითქვამს, მიქია**“.

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მე-19 სტროფში ვკითხულობთ:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;

ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!

იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;

მისი სახელი შეფარვით ქვემოთ მითქვამს, მიქია“

*

ქართველების წარმართობაზე ბატონი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „წარმართობის შესახებ საქართველოში ძველს ქართულსა და მეზობელ ერთა მწერლობაში სხვადასხვა ცნობები მოიპოვება. ამასთანავე მრავალი წარმართობისდროინდელი ზნე-ჩვეულებანი და თქმულებებიც არის ხალხში დარჩენილი, რომელთა შესწავლას შეუძლია ძვირფასი მასალა მოგვცეს ძველ ქართველთა წარმართ ღვთაებათა საფუძველის წარმოსადგენად. მაგრამ თვით საგანი მეტად რთულია და დიდი სიფრთხილე და კრიტიკული წინდახედულებაა საჭირო, **რომ უცხო ქართულად არ ვიცნათ**, ახალი ძველად არ გვეჩვენოს. ამიტომ ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ, როგორც შემდეგს, ისტორიულად კარგად ცნობილს, დროში, ისევე წინათაც, **უძველეს ხანაშიაც**, ქართველებს სხვადასხვა უცხო ერთან, მაგ. **ასურელებთან**, სპარსელებთან, ბერძნებთან, სომხებთან და მრავალ სხვასთან მეგობრული ან მტრული მეზობლობა ჰქონდათ და რომ, მამასადამე, ქართულ წარმართობას, ზნე-ჩვეულებას და თქმულებებს ამ **მეზობლობის კვალი უნდა ემჩნეოდეს**. ჩვენს ხალხს ეს წაბაძულობის კანონი ცხოველებზეც კი აქვს შემჩნეული და თვით მოვლენაც მშვენივრად აქვს დახასიათებული: „ცხენი ცხენთან დააბი, ან ფერს იცვლის ან ზნესაო“. ადამიანთა ერთა სულიერი თვისებაც იმგვარია, რომ ყველაფერს ერთი ერთმანეთისაგან ითვისებენ. ამიტომ თავდაპირველად ცნობებისა და მასალების მკაცრი კრიტიკული განხილვაა საჭირო. ამ მხრივ საგანი ცოტა არ იყოს შესწავლილი და **კვლევის ნიადაგი მოსუფთავებულია**.

კარგა ხანია, რაც პროფ. მაქსიმე კოვალევსკიმ თავის საყურადღებო გამოკვლევაში „Закон и обычай на Кавказе“ ჩვენი ხალხის მრავალი ზნე-ჩვეულებანი და სარწმუნოებრივი თქმულებები განიხილა და სპარსული მაზდეიანობის, ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობის მოძღვრების ნიშნად აღიარა.

1901 წელს პროფ. ნიკო მარნა თავის გამოკვლევაში „Боги языческой Грузии по древнегрузинским источникам“ გამოარკვია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ კერპთაყვანისმცემლობისა და წარმართობის შესახებ შენახული ცნობები: არმაზისა, ნადენისა, გა-გაცისა, აინინისა და ითრუჯანის შესახებ, რომელნიც წინათ ქართველი ხალხის ღვთაებებად ითვლებოდნენ, ეროვნული კერპთაყვანისმცემლობის გამომხატველი კი არ არიან, **არამედ არაბების ბატონობის დროინდელ რომელიღაც ქართველი სასულიერო მწერლის მიერ შეთხზული უნდა იყოს**. დასასრულ, ბ. კ. ინოსტრანცევიმა დაამტკიცა, რომ ახალწლის დღესასწაულის ზოგიერთი თანამედროვე ჩვეულება იმავე მაზდეიანობის სარწმუნოებრივი მოძღვრების გავლენის ნაშთს წარმოადგენს.

³⁴ „მე ვარ, რომელიც ვარ“, მე ვარ, რომელიც იყო, არის და იქნება“ „მე ვარ და მე ვიქნები შენთან“ და მგავსი გამოთქმები.



ამგვარად, კოვალევსკისა, მარისა და ინოსტრანცევის გამოკვლევამ ძველი წარმოდგენა ქართველი ხალხის წარმართობისა და კერპთაყვანისმცემლობის შესახებ ძირიანად შეარყია და კვლევის ასპარეზი მოსუფთავდა; მაგრამ ამასთანავე ძირითადი საკითხი ქართველი ხალხის წარმართობის შესახებ გამოურკვეველი დარჩა. ის, რაც წინათ გვწამდა, დარღვეულია და ახლა თვით წარმართობის ნამდვილი ვითარების შესწავლაა საჭირო.

როგორც ზემოთაც აღნიშნული იყო, ქართველთა წარმართობის შესახებ ცნობები შენახულია, ერთი მხრით, უცხო ერთა ისტორიულსა და გეოგრაფიულს თხზულებებში, მეორე მხრით, ქართულს საისტორიო ნაწარმოებებში; ძვირფასი მასალებია გაფანტული აგრეთვე სახალხო თქმულებებში, ზნე-ჩვეულებებში და რწმენაში...

ქართული წარმართობის გამოსარკვევად ზემოაღნიშნული მასალები და წყაროები ჯერ კიდევ მეცნიერულად საკმაოდ შესწავლილი არ არის და წარმართობის სრული სურათის წარმოდგენა ჯერჯერობით შეუძლებელია³⁵.

როგორც წერდა დიდი ქართველი მეცნიერი სიმონ ყაუხჩიშვილი: „ქართლის ცხოვრების“ კრებული თანდათან დგებოდა. აკად. ივ. ჯავახიშვილს გამორკვეული აქვს, რომ პირველად ეს კრებული შეადგინეს XII საუკუნეში და იქ შეიტანეს ის თხზულებები, რომლებიც მოგვითხრობენ ქართველი ერის ისტორიას უძველესი დროიდან VIII საუკუნემდე; შემდეგ საუკუნეებში ამ კრებულს დაუმატეს VIII–XII საუკუნეთა ისტორიის შემცველი თხზულებები, ხოლო უფრო გვიან შეავსეს XII–XIV საუკუნეთა ისტორიით. ამით დასრულდა „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ საისტორიო თხზულებათა პირველი ციკლი, რომელიც ცნობილი და გავრცელებული ყოფილა ჩვენში ვახტანგ VI-ის დრომდე“³⁶.

ჟურნალ „ენა, მამული, ისტორიის“ მკითხველთა და აფხაზეთის ისტორიის მკვლევარებისათვის გავიმეორებ: ივანე ჯავახიშვილის ნათქვამს: „ქართლის ცხოვრებაში კერპთაყვანისმცემლობისა და წარმართობის შესახებ შენახული ცნობები: **არმაზისა, ნადუნისა, გა-გაცისა, აინინისა და ითრუჯანის შესახებ**, რომელნიც **წ ი ნ ა თ** ქართული ხალხის ღვთაებებად ითვლებოდნენ, ეროვნული კერპთაყვანისმცემლობის გამომხატველი კი არ არიან, **არამედ არაბების ბატონობის დროინდელ რომელიღაც ქართველი სასულიერო მწერლის მიერ შეთხზული უნდა იყოს**“.

*

პირველი, რაც მეფის რუსეთის და შემდგომში საბჭოთა კავშირის აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა ნიკო მარმა და საბჭოთა კავშირის აკადემიის წევრმა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა არ იცოდნენ, იყო ის, რომ ასურებმა – ასირიელებმა საქართველოში გაავრცელეს მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი „აბუ-აბსარ-ენგურის“ ღმერთის რელიგია.

მეორე, **ცნობილია** იმავე ასურების – ასირიელების ძალიხმევით, ისრაელის 11 ტომი ქანაანიდან ძვ. წ. VIII საუკუნეში გასახლებული იქნა ასირიის ჩრდილოეთ საზღვრისპირა ტერიტორიაზე, მათ შორის სამხრეთ კავკასიაში. მაგრამ XX საუკუნის ბოლო მეათედამდე, **უცნობი** იყო ის, რომ ასირიის მეფემ სარგონ II-მ იქორწინა უკვე ქანაანიდან გასახლებული ბენიამინის ტომის წარმომადგენლის, ისრაელის ბოლო მეფის იოსიას ქალიშვილზე ატალიაზე. როგორც ჩანს, ისრაელის ბოლო მეფის ქალიშვილის ატალიას ძალისხმევით, ბენიამინის ტომის წარმომადგენლები დასახლებული იქნენ მსოფლიოში ჰავის მიხედვით ერთ-ერთ საუკეთესო მხარეში **ჰერეთის ახმეტაში**.

ასე ძვ.წ. 727 წლის შემდეგ, ქართველურ ენოვანი ხალხებით დასახლებულ ჰერეთში დასახლდნენ ისრაელის ბენიამინის ტომის, ტომის სიმბოლო მგელის წარმომადგენლები.

³⁵ ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. თბილისი 1979. ტომი I, გვ.78,79.

³⁶ „ქართლის ცხოვრება“. თბილისი 1955. ტომი I, გვ.08.



ძნელი სათმელია, ვინ ვისგან გადაიღო ღმერთის სახელის არ ხსენება, ქართველურ ენოვანმა ხალხებმა თუ ისრაელის ეგრეთ წოდებულმა 11 დაკარგული ტომის წევრებმა, რომლებიც ძვ.წ. 727 წლის შემდეგ, ცხოვრობდნენ ქართველურ ენოვანი ხალხებით დასახლებულ სამხრეთ კავკასიაში. ფაქტია, რომ ქართველურ ენოვანმა ხალხებმა ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც წერილობით არ დააფიქსირეს არც ერთი თავისი წარმართი ღმერთის სახელი. არც „მზის“ ღმერთ „ჰერა“ და მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი ღმერთის „აბზუ-აფსარ-ენგურის“ სახელი. როდესაც დღესაც ერთი ღმერთის მორწმუნე ებრაელებმა არ იციან თავისი ღმერთის სახელი, განსხვავებით ერთი ღმერთის მორწმუნე ქრისტიანებისა.

აქედან **მეოცე** მიგნება-აღმოჩენა: „ძველი ქართული საისტორიო თხზულებათა კრებულებში „ქართლის ცხოვრებასა“ და „მოქცევაი ქართლისაიში“ იმიტომ არ ფიქსირდება წარმართი ღმერთების სახელები, რომ ქართველურ ენოვანი ხალხებს შორის ქრიტიანული რელიგიის გავრცელებამდე ღმერთის სახელის ხსენება ტაბუ დადებული იყო“.

იმედია 21-ე საუკუნეში დაბადებული ქართველი მეცნიერები დაადგენენ, ებრაელებმა ქართველებისაგან თუ ქართველებმა ებრაელებისაგან გააცნობიერეს თავიანთი ღმერთების სახელების არ ხსენება.

ბიბლიის თანახმად, თუ ვინმეს შეეძლო ღმერთის სახელის ცოდნა, ეს მოსეს უფროსი ძმა აარონი იყო, რომელიც ლევიტების ტომის დამაარსებელი იყო და რომლის შთამომავლები იყვნენ მღვდელმთავრები.

ერთი რამ ცალსახაა, „ვეფხის-ტყაოსანში“ რუსთაველი არც ერთი ღმერთის სახელს არ ახსენებს.

აქვე ახალგაზრდა მეცნიერთა საყურადღებოდ მინდა აღვნიშნო, სწორედ ჰერეთის ძვ.წ. 720 წლიდან მცხოვრებ ისრაელის ბენიამინის ტომიდან ახმეტაში დასახლებული ისრაელის ბენიამინის ტომის დამწერლობის ბაზაზე შეიქმნა ქართული ასომთავრულ დამწერლობა, ჩვენი კონცეფციით ძვ. წ. III საუკუნეში.

*

„ვეფხის-ტყაოსნის“ პერსონაჟების და შოთა რუსთაველის რელიგიურ მრწამს, პროლოგისა და ეპილოგის ტექსტების განხილვისას, მეოთხე ინტერნეტ გზავნილში არაერთხელ დავუბრუნდებით.

რაც შეეხება „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტს, ის სრულ ფორმატში განხილული იქნება მონოგრაფიაში: „ვეფხის-ტყაოსნის“ სიტყვათა წყობა **ქართველურ ენოვანი** ხალხებისათვის გამაერთიანებელი დაუშრეტელი წყაროა, მსგავსად ქართული მრავალბინიანი სიმღერისა და სუფრაზე ქართველურ ენოვანი ხალხების მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოებისა“, რომელიც „ვეფხის-ტყაოსნის“ თემასთან დაკავშირებული ჩვენი ყველა ინტერნეტ გზავნილის შემაჯამებელი პუბლიკაცია იქნება.

რაც შეეხება იმას, რა მიზეზით დევნიდნენ რუსთაველს მისი „კეთილის“ მსურველები, მათ შორის ქართული მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია, განვიხილავთ მეხუთე ინტერნეტ გზავნილში.

მესამე ინტერნეტ გზავნილიდანაა განმარტება იმისა, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ სიუჟეტის მიხედვით **ქართულ სინამდვილეში**, პოემის **ხუთი** მთავარი გმირიდან **სამის** : ნესტან-დარეჯანის **პროტოტიპი** პოემაში, დავით აღმაშენებლის უფროსი ქალიშვილი, სპარსეთის – **შირვანის – ლომისშაჰების** ქვეყნის დედოფალი **თამარია**; თინათინის პროტოტიპი – დავითის შვილი, ბიზანტიის იმპერატორის რძალი **კატაია**; ფრიდონის პროტოტიპი, ტახტის მემკვიდრე, 1125-1156 წლებში საქართველოს მეფე **დემეტრე პირველია**; შესაბამისად დარჩენილი **2** მთავარი გმირის ტარიელის და ავთანდილის პროტოტიპები, დავით აღმაშენებლის **სიძეები**, შირვანის შაჰი მანუჩარი და ბიზანტიის იმპერატორის ალექსი I კომნენოსის უმცროსი ვაჟი **ისააკია**.



მერწმუნეთ, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სტატიის „შირვანი“ და „შირვანშაჰი“ ავტორებს და ქართველ ისტორიკოსებს, შესაბამისად რუსთველოლოგებს, რომ სცოდნოდათ ტოპონიმი **შირვანი** წარმოდგება შაჰის **წოდებიდან „შირვანშაჰი“** (Хамза ал-Исфাহани прямо связывает происхождение топонима Ширван от титула „ширваншах“ (перс. شاهان‌شاه), означающего „львиный шах“, или „шах львов“)³⁷, შესაბამისად ეცოდინებოდათ, რატომ წერდა შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
 ვით მარგალიტი ობოლი, ხელით-ხელ საგოგმანები,
 ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საქოჭმანები“ (8,1.2.3.)
 „ვის ჰშვენის, **ლომსა**, ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
 მეფისა შუის **თამარისა**, დაწვ-ბადახშ, თმა-გიშერისა“ (3,1.2.),

სადაც „**ლომი**“ დავით აღმაშენებლის სიძე, **ლომისშაჰის** ქვეყნის შაჰი მანუჩარია და **თამარი** მანუჩარის მეუღლე, დავითის შვილი თამარია, შესაბამისად საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში წოდება **„შირვანშაჰი“ ნიშნავდა „ლომების ქვეყნის“ – „ლომის შაჰს“**.

პროლოგის მე-4 სტროფში შოთა რუსთაველი წერს:

„**თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,**
 ვთქვენი ქებანი ვისნი მე არავად გამორჩეული.
 მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,
 ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული“.

პროლოგის მეოთხე სტროფში მრავლობით რიცხვში ნათქვამი „ვაქებდეთ“ მიანიშნებს იმას, რომ პროლოგისა და ეპილოგის ტექსტზე მუშაობის დროს, „ვეფხისტყაოსანში“ „ლომად“ წოდებული, ტარიელის პროტოტიპი, **თამარის მეუღლე** სპარსეთის შირვანის („ლომებისშაჰების“) ქვეყნის შაჰი **მანუჩარი (მანუჩერი)** უკვე გარდაცვლილი იყო (სისხლისა ცრემლ-დათხეული); ამასვე მიანიშნებს მერვე სტროფში სიტყვა „ობოლი“.

შალვა ნუცუბიძე განიხილავდა რა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს, რუსთაველის პიროვნებასთან დაკავშირებით „ქართული ფილოსოფიის ისტორიაში“ წერდა: „რუსთაველი არ არსებობს საქართველოს ისტორიაში ოფიციალური წყაროების თვალსაზრისით და ხალხს რომ მისი რამდენიმე ხელნაწერი არ შეენახა, ბნელი ძალების მიზანი მიღწეული იქნებოდა. ისტორიაში დევნილი ადამიანები ყოველთვის გამოჩენილი და უნიჭიერესი ადამიანები იყვნენ“ (1956 წ. გვ. 202).

გამომდინარე ბატონი შალვა ნუცუბიძის მიერ დაფიქსირებული მოსაზრებიდან, როგორც იყო ნათქვამი, **ჩვენი ყველა დასკვნა „ვეფხისტყაოსნის“ ახალ ქრონოლოგიასთან და რუსთაველის რელიგიური მრწამსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ეფუძნება მართლ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს, დავით აღმაშენებლის, დემეტრე პირველის და მათი სიძეების ბიოგრაფიებს.**

დავით აღმაშენებელზე პოემის დასასრულში რუსთაველი წერს: „ქართველთა ღმრთისა, დავითის ვის მზე ჰმსახურებს სარებლად“ (1659,1), ხოლო პოემაში მეორედ ნახსენებ ბაბუას მოსახელე დავითზე, დავით აღმაშენებლის შვილიშვილზე დავით V-ზე, რომელმაც სულ 6 თვე იმეფა და ბერად აღკვეცილმა მამამ დემეტრე I-მა მოაკვლევინა, რითაც მამამ შვილს – ბაგრატიუნისების მოდგმაში „**ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი**“, არ ჩადენილი „**სიჩალხე-სინაფეთანი!**“ საქმე ჩაიდინა.

შოთა რუსთაველი ეპილოგში წერს:

„დავითის ქმნანი ვითა ვთქვენ **სიჩალხე-სინაფეთანი!**
ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი,
 პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი,
 ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი“. (1660)

³⁷ Аликберов А. К. „Сасанидская титлатура правителей Кавказа по арабо-мусульманским источникам“. <https://ru.wikipedia.org/wiki/Ширваншах>



*

იმედია, პუბლიკაციის პირველ ინტერნეტ გზავნილში. გაეცანით ტერმინ გენოთე-
იზმის რუსულ ენაზე დაწერილ განმარტებებს, როდესაც ერთი ღმერთის თაყვანის-
მცემელი რუსთაველი ერთდროულად სხვადასხვა ღმერთის თაყვანისმცემელია, მათ
შორის ქართველურ ენოვანი ხალხების ძირძველი **მზის** ღმერთის „ჰერასი“ და სა-
ქართველოში ასირიელების – ასურების³⁸ მიერ გავრცელებული მიწისქვეშა მტკნარი
წყლების ოკეანის, სამსახელიანი ერთი ღმერთის „აბზუ-აფსარ-ენგურის“:

„ვის ჰშვენის, – ლომსა, ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა
მეფისა **მზის** თამარისა, ღაწვ-ბადახშ, თმა-გიშერისა,
მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა, შე – რისა.
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მი-შერისა“ (3)
მზე უკადრი ტახტსა ზედა ზის მორჭმული, არ-ნადევრი,
წყლად ევფრატსა უხვად ერწყო **ელემს რგული** ალვა მჭევრი
ბროლ-ბადახშსა აშვენებდა თმა გიშერი, წარბი ტევრი,
მე ვინ ვაქებ? ათენს ბრძენთა, ხამს, აქებდეს ენა ბევრი!“ (699)

იმის გამო, რომ შოთა რუსთაველი რწმენით გენოთეისტია, ანუ **„ათენელ ელინ
ბრძენთა“ მსგავსად მრავალი ღმერთის მიმღევარია**, ის წერს **„ჩვენ, კაცთა, მოგვცა
ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“**. სწორედ ამიტომ **„ვეფხისტყაოსნის“** ტექსტის
რელიგიური კუთხით მკვლევარები პოემის ტექსტში პოულობენ სხვადასხვა რელიგი-
ის: ქრისტიანობის, მაჰმადიანობის, მანიქეიზმის და სხვა რწმენის კვალს.

ამავე დროს რუსთაველისთვის სხვადასხვა სახელმწიფოში **„მისგან არს ყოვლი
ხელმწიფე სახითა მისმიერითა“** და ამ სახელმწიფოებში სხვადასხვა რელიგიის ღმე-
რთი, მისთვის ერთი და იგივე ღმერთია, **„ჰე, ღმერთო ერთო, მენ შეჰქმენ სახე ყო-
ვლისა ტანისა“**.

პოემის დასაწყისის პირველ ორ სტროფში რუსთაველი აფიქსირებს თავის რელი-
გიურ მრწამს:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა, ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მისმიერითა (1)
ჰე, ღმერთო ერთო, მენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად **მე სატანისა!**
მომეც მიჯნურთა სურვილი **სიკვდილმდე** გასატანისა,
ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა! (2)

*

ის, რომ ფაქტობრივად ყველა თაობის ქართული ლიტერატურის და ისტორიის
მკვლევარისთვის უცნობია ტერმინ გენოთეიზმის მნიშვნელობა, შესაბამისად მათ-
თვის უცნობია, თუ რატომ წარმართი სხვადასხვა სარწმუნოების მიმღევარი ქართვე-
ლურ ენოვანი ხალხები ქრისტიანობის გავრცელებამდე, ფაქტობრივად, „ქართლის
ცხოვრების“ ჩაწერამდე, როგორც ითქვა მსგავსად **ებრაელებისა**, თავიანთი **ღმე-
რთების სახელებს არ ახსენებდნენ**. ეს საკითხი განხილული იქნება ინტერნეტ გზავ-
ნილებში ეტაპობრივად. ამჟამად კი აღვნიშნავ, მრავალი რელიგიის ადეპტი რუსთა-
ველი, თავის საქებარ ღმერთებს, მათ შორის **მტკნარი წყლის „უწყალო ვითა ჯიქია“**
– „აბზუ-აფსარ-ენგურის“ ღმერთს, პოემის პროლოგის მე-19 სტროფში **„შეფარვით“**
აფიქსირებს:

³⁸ კრებულში „ბიბლიიდან ვეფხისტყაოსნამდე“ ტოპონიმი ასირია და ეთნონიმი ასირიელე-
ბი, ასირიელი, ეკვივალენტურია შესაბამისად ტოპონიმ ასური ეთნონიმი ასურელი, ასუ-
რელები.



„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!

იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“ (19)

„**მზე** უკადრი ტახტსა ზედა ზის მორჭმული, არ-ნადევრი,
წყლად ევფრატსა უხვად ერწყო **ედემს რგული** ალვა მჭევრი
ბროლ-ბადახშსა აშვენებდა თმა გიშერი, წარბი ტევრი,

მე ვინ ვაქებ? ათენს ბრძენთა, ხამს, აქებდეს ენა ბევრი!“ (699)

*

შუმერული-აქადური (ბაბილონური) – ასირიული მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი ღმერთის „აბუ-აფსარ-ენგურის“ რელიგია სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ქართველურ ენოვან ხალხებს შორის, როგორც ჩანს ძვ. წ. მე-10 საუკუნის შემდეგ გაავრცელეს ასირიელებმა – ასურებმა. ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით, რომ ძვ. წ. 1280 –1260 წლებში ასირიის მეფის სალმანასარ I-ის მეფობის პერიოდში, თანამედროვე ერაყის დედაქალაქ ბაღდადიდან მიახლოებით 300 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ტიგროსის მარცხენა სანაპიროზე, აშენდა ქალაქი „კალხუ“, რომელიც შემდგომში მიახლოებით ძვ.წ. მე-10 საუკუნის შემდეგ ასირიის ახალი დედაქალაქი გახდა.

მანძილი ასირიის დედაქალაქ „კალხუ“-დან ბათუმამდე მიახლოებით 2000 კილომეტრია. მიუხედავად ამისა, ასირიის დედაქალაქის სახელიდან „კალხადან“ წარმოდგება ტოპონიმი „კოლხეთი“ და ეთნონიმი „კოლხი“.

ყველა თაობის ქართული ისტორიის მკვლევარისთვის უცნობია ის, რომ როდესაც ქართველურ ენოვანი ხალხებით დასახლებულ კოლხეთის ტერიტორიას მოიხსენიებდნენ „ეგრისის“ სახელით ეს ნიშნავდა, რომ კოლხეთში მოსახლეობის უმრავლესობა მტკნარი წყლის ღმერთის „ენგურის“ მიმდევარი იყო, შესაბამისად „აფხა-ზეთად“ აქ მაშინ მოსახლეობის უმრავლესობა „აბუ-აფსარ“ ღმერთის რელიგიის მიმდევარი იყო.

როდესაც გონიოს ციხეს ჰქვია „აფსაროსი“ და კოლხთა მეფის აიეტის შვილს მედეას ძმას „აფსირტე,“ ეს ერთ-ერთი დასტურია იმისა, რომ ქართველურ ენოვანი ხალხებით დასახლებულ კოლხეთში, არგონავტების მოსვლამდე გავრცელებული იყო სამსახელიანი ერთი მტკნარი წყლის ოკეანის „აბუ-აფსარ-ენგურის“ ღმერთის რელიგია. ის რომ, საქართველოს შავიზღვისპირეთს ჰქვია ასირიის დედაქალაქის სახელი, ეს პირდაპირი მტკიცებულებაა იმისა, რომ აღნიშნული ღმერთის რელიგია ასირიელების მიერ იყო ქართველურ ენოვან ხალხებს შორის გავრცელებული, ბევრად უფრო ადრე, ვიდრე კოლხეთში მოვიდოდნენ ელინები, ქართველურენოვან ხალხებთან შედარებით ახალგაზრდა ერის წარმომადგენლები. ეს საკითხი განხილული იქნა **მეორე** ინტერნეტ გზავნილში.

რაც შეეხება ეპილოგის 1659-ე სტროფის პირველ სტრიქონში ნახსენებ „ქართველთა ღმრთისა, დავითის ვის მზე ჰმსახურებს სარებლად“, თუ რატომ აიყვანა წარმართმა რუსთაველმა საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი „ღმერთის“ რანგში, გავნარტავთ მაშინ, როდესაც წარმოვადგენთ მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებლის და შოთა რუსთაველის ეპოქაში, ქართველურ ენოვანი ხალხებით დასახლებულ ტერიტორიაზე აფხაზეთის სახელით ფიქსირდება ორი ტერიტორია. პირველი, აღმოსავლეთი აფხაზეთი, ლოკალიზდება ჰერეთში, ხოლო მეორე, დასავლეთი აფხაზეთი – კოლხეთში. ჩვენი კონცეფციის თანახმად, ორივე აფხაზეთის მცხოვრებნი წარმართული ღმერთის „აბუ-აფსარ-ენგურის“ მიმდევრები იყვნენ და ტერმინი აფხაზი აღნიშნავდა არა ეთნიკურ, არამედ რელიგიურ მრწამსს. ესე იგი, წარმართული ღმერთის „აბუ-აფსარ-ენგურის“ მიმდევრები სხვადასხვა ქართველურ ენოვანი ხალხების წარმომადგენლები იყვნენ. ამასთან განსხვავება აბაზინებს, აფხაზებსა და ეგრისელებს შორის ისეთივე იყო, როგორიც სომეხ



ქრისტიან მონოფიზიტებს, ქრისტიან ქართველ დიოფიზიტ-მართლმადიდებლებსა და ქართველ და სომეხ კათოლიკეებს შორის არის.

ცნობილია, რომ VI საუკუნეში ეგრისის (ლაზიკის) მეფეს ერქვა ოფსირტე. ეს ერთი მხრივ ნიშნავს, რომ ეგრისის მოსახლეობის უმრავლესობა სანამ ტოპონიმი ეგრისი ლაზიკით არ შეიცვლებოდა, მტკნარი წყლის ღმერთის „ენგურის“ მიმდევარი იყო, ხოლო მეფის სახელი ოფსირტე, რომელიც მიწისქვეშა მტკნარი წყლების ერთ-ერთი სახელია, იმის დასტური უნდა იყოს, რომ მითიური კოლხეთის მოსახლეობა მიწის-ქვეშა მტკნარი წყლის ენგურის მიმდევარი იყო. აქედან მტკნარი წყლის მყინვარის (2730 მ.) და მდინარის (213 კმ.) სახელი „ენგური“.

მითოლოგიურ ლექსიკონში ვკითხულობთ: **Абзý** (აკკად. **Апсý**) или шум. **Энгурра** — в шумеро-аккадской мифологии мировой океан подземных пресных вод, окружающий землю (ab — вода, zu — далеко). ... Из „далёких вод“ **Абзу** пришёл один из главных шумерских богов — Энки, поэтому посвящённый ему храм в городе Эриду называется **Абзу** или „дом **Энгурры**“.

საქართველოში „აბზუ-აფსარ-ენგური“ რელიგიის გავრცელების საკითხი და ტოპონიმ „კოლხეთის“ წარმომავლობის საკითხი განხილული იქნა მეორე ინტერნეტ გზავნილში. ამ ეტაპზე აღვნიშნავ იმის გამო, რომ კავკასიაში მცხოვრები ისტორიკოსებისათვის უცნობი იყო ტოპონიმ „კოლხეთის“ და კოლხეთის ტერიტორიის შემადგენელი ნაწილების ტოპონიმების „ეგრისის“ და „აფხაზეთის“, შესაბამისად ეთნონიმების „ეგრისელის“ და „აფხაზის“ წარმომავლობის საკითხი, ფაქტობრივად თავიდან დასაწერია კავკასიაში მცხოვრებ უმეტეს ხალხთა ისტორია.

* * *

მესმის ყველა თაობის ქართველებისათვის ძნელი წარმოსადგენია, რომ ქართველთა მეორე ბიბლიად აღიარებული „ვეფხისტყაოსანი“ შოთა რუსთაველმა მიუძღვნა არა „წმინდან კეთილმსახურ თამარ მეფეს“, არამედ უკლებლივ მსოფლიოში ყველა მგოსნის მსგავსად მეფე **დავით აღმაშენებლისაგან** ფულადი საზღაურის, **ჰონორარის გადახდის** წინა პირობის შემდეგ, ის **მუუდგა** „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე **მუშაობას**.

დავით ბაგრატიუნიანი³⁹ ანდერძში თავის მემკვიდრეს, მომავალ მეფეს დემეტრე I-ს ავალებს მისი ნახევარძმის, ყივჩაყი გურანდუხტის შვილის მცირეწლოვანი ვახტანგის – ცვატას აღზრდას, მოვლა-პატრონობას და პოეტური ნაწარმოების „გალობანი სინანულისანის“ დაწერის შემდეგ, თავისი პირველი სომეხი მეუღლისგან შეძენილი **სამი შვილის დამოძღვრისათვის უკვეთავს შოთა რუსთაველს ჰომის დაწერას**.

როგორც ითქვა, სამი შვილიდან უფროსი შირვანში – სპარსულად **ლომისშაჰის ქვეყანაში** გათხოვილი ქალიშვილი თამარია [აქედან „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“], მეორე ქალიშვილი, საბერძნეთის იმპერატორის შვილზე გათხოვილი **კატაია** [აქედან „ლეკვი **ლომისა სწორია**, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“], მესამე კი ტახტის მემკვიდრე **დემეტრეა** [აქედან „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი ღარგი“].

დავით აღმაშენებელსა და მის სამ შვილზე პროლოგში ნათქვამია:

„მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“ (5, 1).

„სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა“ (10, 4).

სამთაგან პირველზე, **ლომის შაჰის** ქვეყანის შირვანის დედოფალ თამარზე (პოემაში ნესტან-დარეჯანი) ნათქვამია:

„ვის ჰშვენის, – ლომსა, – ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა
მეფისა **მზის** თამარისა, ღაწვ-ბადახმ, თმა-გიშერისა,

³⁹.სოლ. ყუბანეიშვილი „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“: „გალობანი სინანულისანი. თქმულნი თვითმპყრობელისა მეფისა დავით ბაგრატიუნიანისანი“. რედაქტორი კ. კეკელიძე. ტ. I. 1946 წ. გვ. 374.



მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა, შე – რისა.
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მი–შერისა“ (3)

მეორე საქებელი პიროვნება, ბიზანტიის იმპერატორის ალექსი I კომნენოსის რძალი **კატაია** (პოემაში თინათინი), რომლისთვის მაგალითი უნდა ყოფილიყო შირვანის დედოფალი თამარი. მასზე რუსთაველი წერს:

„თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია;
არ გათნევთ, იცის მეფობა, **უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;**
შუეთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.(40)

სადაც „ლეკვი“ **კატაიაა**, ხოლო „ლომი“ მამამისი დავით აღმაშენებელია.

მესამე საქებარი პიროვნება (პოემაში ფრიდონი, შუამავალი ტარიელსა და ავთანდილს შორის), 1125 წლიდან მეფე დემეტრე I (შუამავალი **ორ** დასა და მათ ქმრებს შორის), რომელსაც რუსთაველი პოემის დასაწყისის ხუთ სტროფში მოძღვრავს:

„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი.
კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი;
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“ (12)

„მოშაირე არა ჰქვიან. თუ ვინმე თქვას **ერთი, ორი;**
თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი;
განადა თქვას **ერთი, ორი**, უმსგავსო და შორი-შორი,
მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს ვითა ჯორი (15)

მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა,
ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა:
დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა. (16)

მესამე ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამღერელად,
სააშიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად;
ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად.
მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად. (17)
ხამს, მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს,
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს“.(18)

*

1125 წლიდან მეფე დემეტრე I, რომელსაც რუსთაველი დავით აღმაშენებლის დავალებით „ვეფხისტყაოსანში“ მოძღვრავდა, ისტორიკოსი ჯემალ სტეფნაძე წიგნში „დემეტრე პირველი“ წერდა: „დემეტრეს ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ძალზე მცირე ცნობებია შემორჩენილი. აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა, მისი ცხოვრება და თავგადასავალი საიდუმლოებით არის მოცული, ხოლო მოღვაწეობის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით, ამიტომ ხეირიანად არც კი ჩანს რაზე იყო დამყარებული ამ მეფის დიდი სახელი.“

მართალია თავის დროზე ფილოსოფოს იოანე ჭიმჭიმელის საგანგებო თხზულება არსებულა, რომელშიც დემეტრე მეფის ცხოვრება-მოღვაწეობა ყოფილა გაშუქებული, მაგრამ ეს ნაწარმოები შემონახული არ არის. დღემდე შემორჩენილი ფრაგმენტული ხასიათის სხვა ქართული ცნობები კი დემეტრეს ცხოვრება-მოღვაწეობის მხოლოდ ცალკეული საკითხების გაშუქების შესაძლებლობას იძლევა⁴⁰.

დემეტრე I-ის მოღვაწეობის შესახებ ქართულ წყაროებში მართლ ფრაგმენტული

⁴⁰ სტეფნაძე ჯემალ „დემეტრე პირველი“ ცხოვრება და მოღვაწეობა 1990 წ. გვ. 3.



ცნობები არის შემონახული. კერძოდ, შემონახულია დავით აღმაშენებლის ანდერძი. ის თავის მემკვიდრეს, მეფე დემეტრეს – დემეტრე I-ს ავალებს მისი ნახევარძმის, ყივჩაყი გურნდუხტის შვილის მცირეწლოვანი ვახტანგის – ცვატას აღზრდას და სთხოვს დემეტრეს, როდესაც ვახტანგი სრულწლოვანი გახდება, დემეტრემ ის გაამეფოს: „და მოვიდნენ შვილნი და დედოფალნიცა, შუამდგომელობითა ღმერთისაითა, რათა ძმაი მისი გაზარდოს. და თუ ინებოს ღმერთმა და ვარ–იყოს ცვატა, შემდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულისა ზედა, და დათა მისთა პატივი–სცეს, ვითარ შვილთა ჩემთა საყუარელთა“.

ამასთან ერთად ქართული წყაროების თანახმად მეფე დემეტრე ღმერთისმშობელისადმი მიძღვნილი საგალობელის „შენ ხარ ვენახის“ ავტორია.

არაქართული ისტორიული წყაროები, რომლებიც **დემეტრეს** ოცდაათწლიანი მეფობის პერიოდს განიხილავენ, ძირითადად სომეხი ისტორიკოსების მიერ არის დაფიქსირებული. მაგალითად, ვარდან დიდი აფიქსირებს, რომ დემეტრე I-მა იმის ნაცვლად, რომ აღეზარდა თავისი ნახევარძმა ვახტანგი, 12 წლის ასაკში მყოფს დასდო ბრალი დალატში და თვალები დაათხრევინა, რის შემდეგ გაათავისუფლა.

სომეხი ისტორიკოსების მიერ დემეტრე I-ზე დაფიქსირებული დადებითი თუ უარყოფითი ინფორმაციის შინაარსი, დამოკიდებული იყო იმ შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებაზე, რომელიც მიმდინარეობდა უმეფოდ დარჩენილ, დიდგვაროვან ფეოდალთა და ეკლესიის მიერ მართულ სომხეთში. თუ სომეხ ისტორიკოსს დემეტრე I-ის სომეხი დედის ოჯახთან პოლიტიკური, შესაბამისად, მატერიალური კავშირი აკავშირებდა, ინფორმაცია დადებითი იყო, თუ არა – უარყოფითი.

დემეტრე I-ის მეფობის პერიოდში, მისმა შვილმა დავით V-მ ორჯერ სცადა მამის ტახტიდან გადაყენება. მეორე ცდაზე დავითმა მამა გადააყენა და ის დავით გარეჯის მონასტერში ბერად განამწყესა, მაგრამ გამეფებიდან 6 თვის შემდეგ ის მოულოდნელად გარდაიცვალა და დემეტრე I 1156 წელს მეორედ გამეფდა, რაც ნიშნავდა იმას, რომ მას კვლავ დაემორჩილა ჯარი და მიახლოებით იმავე პერიოდში, 1090 წელს **დაბადებულ** სიბერის ზღვარზე მისულ, 67 წელს მიღწეულ შოთა რუსთაველს, მამასთან, დავით აღმაშენებელთან შეთანხმებული თანხა გადაუხადა.

ის, რომ რუსთაველი უკმაყოფილო დარჩა დემეტრე I-ის მიერ დაგვიანებით გადახდილი თანხით, მან პროლოგის მე-9 სტროფში და ეპილოგის 1660-ე სტროფში დააფიქსირა.

პოემის დასაწყისში ვკითხულობთ:

„მე, რუსთველი, ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი;
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი,
დავუძღურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი;
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი!“ (9)

თუ პირველი და მეორე სტრიქონი ეხება მეორედ ბერად იძულებით აღკვეცის შემდეგ გამეფებულ დემეტრე I-ს, რომელსაც კვლავ ჯარი დაემორჩილა, მესამე და მეოთხე სტრიქონი ეხება დროს, რომელიც გავიდა პოემის დაკვეთიდან ჰონორარის ანაზღაურებამდე: **„დავუძღურდი, მიჯნურთათვის“** – დამოძღვრის ტექსტზე მუშაობის პერიოდში დავუძღურდი; დაპირებული ჰონორარი – **„წამალი“** არსად არის **„კვლავ წამალი არსით არი“**; ჰონორარი, **„ანუ განკურნება“** – სიბერეში, **„სამარის“** პირას მისულს **„მომცეს“**.

ცნობილია, როგორ დარჩა უსახსროდ სიბერეში, შოთა რუსთაველის რანგის, XI საუკუნის სპარსულენოვანი პოეტი ფირდოუსი – „შაჰ-ნამეს“ ავტორი, როდესაც სპარსული წარმომავლობის „სამიდების“ დინასტია ბუხარაში შეცვალა თურქული წარმომავლობის „ღაზნვიანების“ დინასტიამ. ახალი დინასტიის შაჰმა მაჰმუდ ღაზნვიმ, ფირდოუსს „შაჰ-ნამე“ („მეფეთა წიგნი“, ძველი ირანელი მეფეთა ქრონიკა) დაუწუნა, აიძულა ფირდოუსი, რომელიც „შაჰ-ნამეზე“ **ოცდაათი** წელი მუშაობდა, ბუხარა უსახსროდ დაეტოვებინა.



ის, რომ ფირდოუსს, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ჰონორარი (განძი) არ გადაუხადეს, თვითონ წერს „შაჰ-ნამეში“:

ჩემი სიცოცხლის ოთხმოც წელს ცოტალა რომ აკლდა,
ერთბაშად ჩემი იმედი და ფიქრები გაქარწყლდა.
ამ ოცდაათი წელს ქვეყანაზე მწუხარე ბედით
რამდენი ტანჯვა ავიტანე განძის იმედით“.

დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ ჰონორარის (განძის) გადახდის ვალდებულება, მემკვიდრეობით გადავიდა მის შვილზე მეფე დემეტრე I-ზე.

ის, რომ რუსთაველი საერთო ჯამში უკმაყოფილო დარჩა გადახდილი განძის რაოდენობით, მან პროლოგის 1660-ე სტროფში დააფიქსირა, დემეტრე I-ის უფროსი შვილის დავითის პირით:

„დავითის ქმნანი ვითა ვთქვნე სიჩალხე-სინაფეთანი!
ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი,
პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი,
ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი“.

1660-ე სტროფის მეოთხე სტრიქონს, როგორც იყო ნათქვამი განმარტავს ცნობილი რუსთველოლოგი ნოდარ ნათაძე: „ვპოვენ – ვიპოვე, ვნახე. გარდავთქვენ – გადავთქვი, გავაწყე. ვილაყფეთანი, როგორც ჩანს, ნიშნავს ვილაყბე, უსარგებლოდ გავსარჯე ჩემი ენა და კალამი“⁴¹. ბატონ ნოდარ ნათაძის განმარტებაში „ვილაყბე, უსარგებლოდ“ დასტურია იმისა, რომ სიბერის პირას მისული შოთა რუსთაველი უკმაყოფილო დარჩა დემეტრე I-ის მიერ გადახდილი განძით.

*

ჩვენი კონცეფციით მეფე დემეტრე I-ით განაწყენებულმა შოთა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის 5 სტროფიდან 4 სტროფი, შეიძლება ითქვას, პოემის დასასრული, მთლიანად მიუძღვნა იმ უღირს საქციელს, რომელიც ჩაიდინა დავით IV აღმაშენებლის, „ქართველთა ღმრთისა, დავითის ვის მზე ჰმსახურებს სარებლად“ (1659.1) შვილმა დემეტრე I-მა და მისმა ორმა შვილმა: უფროსმა დავითმა (დავით V) და უმცროსმა გიორგიმ (გიორგიმ III).

სწორედ პროლოგისა და ეპილოგის ტექსტების შეჯერებით პოემის ტექსტთან, ჩვენ გავიზიარეთ ბატონი თამაზ ჭილაძის მოსაზრება, რომ: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, გენიის სიჭაბუკის წიგნია, პროლოგი და ეპილოგი, სიბერის ზღვარზე მდგომი, არსებითად, უკვე სხვა (ანდა ძალზე გარდაქმნილი!) პიროვნების, რომელსაც არა მარტო ლიტერატურული პოზიციც აქვს სრულიად სხვა, არამედ ცხოვრებისეულიც“.

პოემის ეპილოგში რუსთაველი დავით V-ზე წერს: „დავითის ქმნანი ვითა ვთქვნე სიჩალხე-სინაფეთანი!“ (1660.1). საქართველოს სინამდვილეში „სიჩალხე-სინაფეთანი“ საქმე, რომელიც ჩაიდინა დემეტრე I-ის შვილმა დავით V-მ, „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენებმა მეორე დავითმა, გამოიხატა იმაში, რომ დავით V-მ მეორე ცდაში მოახერხა ტახტიდან გადაეყენებინა მამა და მონასტერში ბერად გაემწყვდებინა.

შვილის მიერ ბერად აღკვეცილმა დემეტრე პირველმა – დემეტრე – დემნა ბერმა, დავით გარეჯის მონასტერში 6 თვის ყოფნის პერიოდში, უკვე ჩადენილი და დაგეგმილი ბოროტების შესანდობლად საგალობელი „შენ ხარ ვენახი“ დაწერა და შვილი, მეფე დავით V მოაკვლევინა. მეორედ გამეფების შემდეგ, როდესაც მას კვლავ დაემორჩილა ჯარი, დემეტრე I-მა თავის მემკვიდრედ არა უფროსი შვილის, დავით V-ის შვილი დემნა უფლისწული, არამედ დავით V-ის უმცროსი ძმა – გიორგი III, თამარ მეფის მამა გამოაცხადა.

როდესაც სომხეთში, უცხო ქვეყანაში მცხოვრებმა დავით V-ის შვილმა დემნა უფლისწულმა და მისმა სიმამრმა, დიდგვაროვანმა ივანე ორბელმა თამარ მეფის

⁴¹ ნ. ნათაძემ. „ვეფხისტყაოსნი“, სასკოლო გამოცემა 2011 წ. გვ. 464



მამის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყეს, გიორგი III-მ ორივე შეიპყრო და თვალეები დასთხარა და დაბრმავებულ უფლისწულს შვილები რომ არ გაეჩინა, ის დაასაჭურისა. მემამულე გიორგი III-ზე წერს: „შემსგავსებული საქმეთა მათთა მიაგო მისაგებელი“.

ორმაგი თვალ დათხარის მომსწრე რუსთაველი წერს:

„ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,
წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი!
რასა ვინ ეძებთ, რას აქმნევთ? ბედია მაყივნებელი,
ის არ შეუცვლის, კარგია, **ორისავ იყოს მხლებელი**“ (1661)

ამ ამბების მომსწრე შოთა რუსთაველი პოემის დასარულის 5 სტროფიდან 4 სტროფში წერს:

„გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა.
გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა!
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.
ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დამისა. (1658)
ქართველთა ღმრთისა, დავითის ვის მზე ჰმსახურებს სარებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათად მოსახმარებლად.
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად,
რგულთა მათთა დამწველად, **ერთგულთა გამახარებლად.** (1659)
დავითის ქმნანი ვითა ვთქვენე სიჩალხე-სინაფეთანი!
ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი,
პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი,
და ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი. (1660)
ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,
წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი!
რასა ვინ ეძებთ, რას აქმნევთ? ბედია მაყივნებელი,
ვის არ შეუცვლის, კარგია, **ორისავ იყოს მხლებელი.** (1661)

*

პოემის დასასრული, ისევე, როგორც დასაწყისი, დაწერილია მამინ, როდესაც ბე-ბიის სამშობლოში – სომხეთში მცხოვრებმა „**ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი**“, დავით V-მ შვილის, დემნა უფლისწულის სახელით მისმა სიმამრმა ივანე ორბელიმა გიორგი III-ის წინააღმდეგ მოაწყო აჯანყება, რის გამოც, როგორც ითქვა გიორგი III-მ ორივე შეიპყრო და თვალეები დასთხარა და დაბრმავებულ უფლისწულს შვილები რომ არ გაეჩინა, დაასაჭურისა.

მოყვრებს შორის ამ უმსგავსო საქციელზე პროლოგის ბოლო 32-ე სტროფში ვკითხულობთ:

„თუ მოყვარე მოყვრისათვის **ტირს, ტირილსა ემართლებს;**
სიარული, მარტობა ჰშვენის, გაჭრად **დაეთვლების;**
იგონებდეს, **მისგან კიდე ნურად ოდეს** მოეცლების,
არ **დააჩნდეს** მიჯნურობა, სჯობს, თუ **კაცთა ეახლების**“ (32)

ეპილოგის 1660-ე სტროფში ვკითხულობთ:

„დავითის ქმნანი ვითა ვთქვენე სიჩალხე-სინაფეთანი!
ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი,
პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი,
და ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი“ (1660)

ამ უცხო ქვეყნის და უცხო ხელმწიფეთა ვინაობის გაგების გასაღები დევს პოემის დასაწყისის 29-ე სტროფში. პროლოგში ვკითხულობთ:

„ხამს, თავისსა ხვაშიადასა არვისთანა ამჟღავნებდეს,
არ ბედიდად „ჰაის“ ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს,



არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,
მისთვის ჭირი ღხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიღებდეს“.(29)

თუ ეპილოგის 1600-ე სტროფს შევაჯერებთ პროლოგის 29-ე სტროფთან, რომელშიც მეორე სტრიქონში სიტყვა „**ჰაის**“ სომხურად **სომხეთს ნიშნავს**, გასაგები ხდება რომელ უცხო სახელმწიფოზეა ლაპარაკი 1660-ე სტროფის მეორე სტრიქონში: „ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი“, რომელშიც ცხოვრობდა დემნა უფლისწული და რომელსაც როგორც ჩანს დავიწყებული ჰქონდა ქართული.

ქართულის დავიწყებასთან დაკავშირებით პროლოგის მე-14 სტროფში ვკითხულობთ:

„მაშინდა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,
რა ვედარ მიჰხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა!
არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,
ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა“.

შოთა რუსთაველმა, როგორც დავით აღმაშენებლის ეპოქაში მოღვაწემ, კარგად იცოდა, როგორი ნათესაური კავშირი, **გულისნადები – „ხვამიადი“** აერთიანებდა „**უშმაგო**“ – გონზე მყოფ უახლოეს წარსულში ქართველთა და სომეხთა ბაგრატიუნების სამეფო ოჯახების წევრებს. ამიტომ რუსთაველი პროლოგში წერს:

„**ხამს, თავისსა ხვამიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს**
მისთვის ჭირი ღხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიღებდეს“ .

„მას **უშმაგო ვით** მიენდოს, **ვინ** მოყვარე **გაამჩივნოს?**

ამის მეტი რამცა ირგო: მას ავნოს და თვითცა ივნოს?

რათამელა **ასახელოს**, რა სიტყვითა **მოაყივნოს?**

რა ჰგავა, თუ **მოყვარესა** კაცმან გული არ ატკივნოს! (30)

მიკვირს, კაცი რად იფერებს საყვარლისა სიყვარულსა:

ვინცა უყვარს, რად აყივნებს მისთვის მკვდარი მისთვის წყლულსა?

თუ არ უყვარს, რად არა სძულს? რად აყივნებს, რაც არ სძულსა?!

ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“ . (31)

დემეტრე პირველის – ბაგრატიუნის და მისი შთამომავლების ერთმანეთის მიმართ უღირსმა საქციელმა (თვალების დათხრა, დასაჭურისება) **ასახვა ჰპოვა პოემამი იმით**, რომ „ვეფხისტყაოსნის“ არც ერთ გმირს, მათ შორის ხნოვან ფარსადანს და როსტევანს არ ჰყავს **მეორე ოჯახი**. უფრო მეტიც, „ვეფხისტყაოსანში“ არა მარტო დემეტრე პირველის პროტოტიპს – ფრიდონს, არამედ პოემის არც ერთ ორივე სქესის გმირებს, არა ჰყავთ **და-ძმა და შვილები** .

განყენებული პერსონაჟია შვიდი სამეფოს მპყრობელის **ინდოეთის მეფის ფარსადანის და დავარი**. მისი პროტოტიპი ქართულ სინამდვილეში დავით აღმაშენებლის, შვიდი სამეფოს მპყრობელის, მამიდა **მართაა**. დავარი, რუსთაველის რელიგიური მრწამსით დადებითი პიროვნებაა, ქრისტიანული მორალით კი უარყოფითი (იგულისხმება დავარის თვითმკვლელობა).

ამ საქციელის – **თვითლიკვიდაციის მორალური მხარე** რუსთაველის რელიგიურ მრწამსში უნდა ვეძიოთ (ხომ იკლავდნენ თავს, მაგალითად იაპონიაში სამურაები).

ერთი რამ ცალსახაა, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი წაკითხული ჰქონდა დემეტრე I-ს, რომელმაც მეორედ გამეფების შედეგ რუსთაველს ჰონორარი გადაუხადა. ხოლო პროლოგი და ეპილოგი დაწერილია მაშინ, როდესაც თამარ მეფის ბაბუა, გიორგი III-ის მამა დემეტრე I გარდაცვლილი იყო.

* * *

დიდი ივანე ჯავახიშვილის ეპოქაში მოღვაწე **ქართველი ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, პუბლიცისტი**, ბატონი პავლე ინგოროყვა წიგნში „რუსთველიანა“ წერდა: „წინამდებარე წიგნის საგანს შეადგენს განხილვა სამი საკითხისა: ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია; პოემის თარიღი; შოთა რუსთაველის ვინაობა“. სწორედ ამ თანმიმდევრობით ვინილავთ ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვათა წყობა



ქართველურ ენოვანი ხალხებისათვის გამაერთიანებელი დაუშრეტელი წყაროა, მსგავსად ქართული მრავალხმიანი სიმღერისა და სუფრაზე ქართველურ ენოვანი ხალხების მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოებისა“.

პავლე ინგოროყვასთან მიმართებით მინდა აღვნიშნო: მართალია ბატონ პავლეს მტკიცებულებებს იმის შესახებ, რომ ქრისტიანი რუსთაველის გვარი ბაგრატიონია და რომ ის სამეფო გვარის გვერდითი შტოს წარმომადგენელია არ ვიზიარებთ, მაგრამ მისი წიგნი „რუსთველიანა“, როგორც ივანე ჯავახიშვილის 12-ტომეული, ჩვენთვის, როგორც „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტისა და ისტორიის მკვლევრისათვის სახელმძღვანელო წიგნებია.

პავლე ინგოროყვას „რუსთველიანა“-ში ვკითხულობთ: „ამოცნობა ვეფხის-ტყაოსნის ისტორიული შიფრისა – ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ჰომერის სხვა საკითხთა შორის. ვიდრე ჩვენ არა გვაქვს სწორი ინტერპრეტაცია ვეფხის-ტყაოსნის ისტორიული ელემენტისა, ვიდრე არაა ამოცნობილი „ვეფხის-ტყაოსნის“ ისტორიული ქარგა, მანამდე საძნელო ხდება სწორი გადაჭრა „ვეფხის-ტყაოსნის“ მთელი რიგი სხვა ძირითადი კითხვისა“ (თხზულებათა კრებული ტომი I. 1963 წ. გვ. 201).

თუ „ვეფხის-ტყაოსნის“ მე-19 სტროფი განსაზღვრავს წარმართი რუსთაველის რელიგიურ მრწამს:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;

ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!

იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;

მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“

სწორედ მე-19 სტროფის მე-2 სტრიქონში **„ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!“** დევს ის ისტორიული შიფრი, რომელსაც რუსთაველის პიროვნებასთან, „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორის ფსევდონიმის **რუსთაველის** წარმომავლობასთან მივყავართ.

სწორედ პავლე ინგოროყვას გამოკვლევები, რომელიც რუსთაველს ქრისტიანად და ჰერეთის ბაგრატიონების გვარის წარმომადგენლად მიიჩნევდა, დაედო საფუძვლად ჩვენ მტკიცებულებას, რომ რუსთაველი რწმენით გენოთეისტია და ქართლის დიდი ფეოდალური გვარის აბაზას ძეს წარმომადგენელია. შოთა რუსთაველის შთამომავლებზე აბაზასძეებზე, რომლებმაც დიდი წინაპარის საფლავს, სოფელ აძიკვის **წ ა რ მ ა რ თ თ ა** სასფლაოზე ეკვდერი დაადგეს, განხილული იქნება მონოგრაფიაში: „ვეფხის-ტყაოსნის“ სიტყვათა წყობა **ქართველურ ენოვანი** ხალხებისათვის გამაერთიანებელი დაუშრეტელი წყაროა, მსგავსად ქართული მრავალხმიანი სიმღერისა და სუფრაზე ქართველურ ენოვანი ხალხების მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოებისა“, **რომელიც ჩვენი ყველა ინტერნეტ გზავნილის შემაჯამებელი პუბლიკაცია იქნება.**

„ვეფხის-ტყაოსნის“ დეფისით წერა ბატონი პავლეს მიზანძვის შედეგია. შოთა აბაზას ძეს ფსევდონიმის **რუსთაველის** წარმომავლობას განვიხილავთ ქვემოთ.

*

ჩვენი ჰიპოთეზით რუსთაველი დაიბადა 1090 წელს. ის მომსწრეა თამარ მეფის მამის გიორგი III-ის შურისძიებისა. ამ დროს ქართველთა მეორე ბიბლიის ავტორი აბაზას ძეს გვარის წარმომადგენელი ჩვენი კონცეფციით 88 ან 82 წლისა უნდა ყოფილიყო, მიახლოებით ფირდოუსის ასაკისა. ასე წლოვანი წარმართი (არა ქრისტიანი, არა მუსულმანი) პოეტის ბედი გადაეჯაჭვა დავით IV-ის, დემეტრე I-ის და გიორგი III-ის ბაგრატიონიანების ბედ-იღბალს, რომლებიც ცდილობდნენ ქართულ სინამდვილეში ქართველურ ენოვანი ხალხებით დასახლებულ ტერიტორიაზე ქრისტიანული იდეოლოგია და ესთეტიკური მრწამსი დაემკვიდრებინათ, რომ ქართველურ ენოვანი ხალხები **გაერთიანებინათ.**

როგორც ითქვა „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტი წაკითხული ჰქონდა დემეტრე პირველს, ხოლო პროლოგი და ეპილოგი დაწერილია მამინ, როდესაც თამარ მეფის ბაბუა, გიორგი III-ის მამა, დემეტრე I გარდაცვლილი იყო.



*

ძნელი სათქმელია „ვეფხისტყაოსანი“ თამარ მეფეს, **თამარ ბაგრატიონიანს** წაკითხული ჰქონდა თუ არა. როგორც ცნობილია ქართველ მეფეთა დიდი ოთხეულის, ბაგრატიონების: დავით IV-ის, დემეტრე I-ის, გიორგი III-ისა და თამარ მეფის დაბადების, გამეფების, მეფობის და გარდაცვალების ზუსტი თარიღები დაუდგენელია. მკვლევართა შორის განსხვავება სამიდან ხუთი წელია. სწორედ ამიტომ ვწერდით ჩვენ, რომ შოთა რუსთაველის დაბადების თარიღი – 1090 წელი – ჰიპოთეზაა და აღვნიშნავთ, რომ რუსთაველი მიახლოებით 88 ან 82 წლის ასაკში გარდაიცვალა.

რუსთაველის ასაკის დადგენისას ორიენტირი უნდა იყოს პოემის ეპილოგში ნახსენები **„ქართველთა ღმრთისა დავითის“**, დავით აღმაშენებლის დაბადების წელი და ის, რომ რუსთაველი გიორგი III-ის, თამარ მეფის მამის **„სიჩალხე-სინაფეთანი“** საქმიანობის მომსწრეა.

*

მივუბრუნდეთ ბატონ პავლე ინგოროყვას. იმის შესახებ, რომ შოთა რუსთაველი დაკრძალულია სოფელ აძიკვის სასაფლაოს ტერიტორიაზე განლაგებულ ეკლესიაში, პავლე ინგოროყვამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა წიგნში „რუსთველიანა“. მაგრამ ის, რომ აძიკვის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, დანგრეულია და სავალალო მდგომარეობაშია, მიაჩნებოდა იმას, რომ პავლე ინგოროყვას მტკიცებულება ჩემ გარდა არავინ გაიზიარა.

2022 წელს კონფერენციის დამთავრების შემდეგ, როგორც იყო ნათქვამი ვაპირებ შოთა რუსთაველისა და აფხაზეთის თემასთან დაკავშირებულ კონფერენციის მუშაობის პერიოდში, ამ კონფერენციის მოწვევის ინიციატორის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბატონ გიორგი ვოლსკის წინაშე დავაყენო საკითხი, რომ მთავრობამ აღადგინოს აძიკვის ეკლესია და აღდგენილ ეკლესიაში ყოველწლიურად აღინიშნოს მისი დაბადების სიმბოლური დღე, რომელსაც იმედი მაქვს დაადგენენ კონფერენციის მუშაობის პერიოდში მისი მონაწილეები, რომ ყოველს წელს ამ სიმბოლურ დღეს, მაჰმადიანმა, კათოლიკე, მართლმადიდებელმა თუ ათეისტმა ქართველმა, აძიკვის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში შეკრებულებმა აღიქვან თავიანთი ერთობა, რომელიც ჩვენი აზრით პირდაპირ კავშირშია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის სიტყვათა წყობასთან.

*

დავით აღმაშენებლის შვილ თამართან დაკავშირებით, ყოველგვარი ყალბი მოკრძალების გარეშე აღვნიშნავ, სანამ საწინააღმდეგოს არ დაამტკიცებს რომელიმე მეცნიერი, ძალაში დარჩება ბატონ თამაზ წივწივაძის მიერ გაცხადებული: „დავით ფირცხალავა, ბოლო ორსაუკუნე-ნახევარი, შოთა რუსთაველის შემოქმედების ერთადერთი მკვლევარია, **რომელიც ბოლომდე ჩასწვდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შინაარსს**“. ვიმეორებ დაამტკიცებს და არა განაცხადებს, მაგალითად მსგავსად პოეტისა და მთარგმნელის თამარ ერისთავისა, ქალბატონისა, რომელმაც ყოველგვარი დასაბუთებული მტკიცებულების გარეშე გამოთქვა მოსაზრება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა თამარ მეფის ბიძაშვილმა დემნა უფლისწულმა ბაგრატიონმა, რომელსაც თამარი უყვარდა, მაგრამ ამის გამომჟღავნება შეუძლებელი იყო, რადგან ისინი სისხლით ნათესავები იყვნენ. **ამ მტკიცებულებას ქალბატონმა** თამარ ერისთავმა გრძელსათაურიანი წიგნი „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ ანუ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის მეორე განზომილება“ მიუძღვნა.

მსგავსად თამარ ერისთავისა, **ალექსანდრე ელდერაშვილმა**, პოემის მარტო ერთი 1429-ე სტროფის შინაარსის საფუძველზე:

„ეხვეოდეს ერთმანერთსა, აკოცეს და ცრემლნი ღვარნეს;
ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს.



მზე რა ვარდთა შემოადგეს, დაშვენდეს და შუენი არნეს,
აქანამდის ჭირ-ნახულთა ამას იქით გაიხარნეს“.

სოციალურ ქსელში გაავრცელა ინფორმაცია, რომ შოთა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანი“,, თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ დაწერა. ესე იგი, რუსთაველი თამარ მეფის, ან შემდგომი ეპოქის პოეტია.

*

ბატონმა თამაზ წივწივაძემ, გარდაცვალებამდე ოთხი თვით ადრე, შეაჯამა რა ჩემი 14 პუბლიკაცია გამოქვეყნებული გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, 2018 წლის 16 თებერვალს „უკვე წერილის სათაურში დააფიქსირა პუბლიკაციის მთავარი არსი: „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევრებო, რა ტყუილა გაჭმვდით, თურმე აქამდე პურს!..“.

წერილში ბატონი თამაზი წერს: „ოღონდ ახლა მინდა გულწრფელი საყვედური გამოვთქვა ქართველი მკვლევრების მიმართ – **თქვე დალოცვილებო, თუ ეს კაცი სიმართლეს ამბობს, აბა, თქვენ რაღას იკვლევდით ამ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში?!**

ერთი სიტყვით, ძვირფასო მკვლევრებო, ან ის დაამტკიცეთ, **რომ ეს კაცი გიჟია**, ან, ყველა სხვა შემთხვევაში, თვითონ მოგიწევთ უარის თქმა თქვენს სამეცნიერო ტიტულებზე და რეგალიებზე, რაც ამ პოემის წყალობით მიგიღიათ!..

არა მგონია, ძველ ქართულ ლიტერატურაშიც ყველაფერი მარტო ჩემი გასარკვევი იყოს!

ეპოლეტებს არავინ აგყრით, თუ ამ კაცთან კამათში ჩაებმებით და სიმართლეს გაარკვევთ!

მოკლედ, ან ეს ადამიანი გამოაცხადეთ გიჟად, ან კიდევ თქვენი შრომები შეუკეთეთ აგუზგუზებულ ბუხარს!..“

პატივისცემით თამაზ წივწივაძე

დავესესხები ბატონ თამაზ წივწივაძეს და ყველა თაობის ქართული ლიტერატურის მკვლევრისა და ისტორიკოსის საყურადღებოდ ვაფიქსირებ: ბატონო ლიტერატურის მკვლევრებო და ისტორიკოსებო, **არა მგონია, ქართულ ლიტერატურის ისტორიაში ყველაფერი მარტო ჩემი, საწყისი პროფესიით ინჟინერ-ჩარხმშენებელის, შემდგომში ბიბლიის ტექსტის მკვლევრის გასარკვევი იყოს!** ეპოლეტებს არავინ აგყრით, თუ ჩემთან კამათში ჩაებმებით, რათა ერთობლივად დავადგინოთ ოთხი მონოგრაფიიდან შემდგომ კრებულში „ბიბლიიდან ვეფხის–ტყაოსნამდე“ გადმოცემულ ისტორიათა ჭეშმარიტება !.

დავუბრუნდეთ შოთა რუსთაველს, რომელიც ჩვენი კონცეფციით **აბაზას ძე** ივანეს (ქართლის ერისთავი) გვარის წარმომადგენელია. მისი ფსევდონიმის **რუსთაველის** წარმომავლობას, პირდაპირი კავშირი აქვს მტკნარი წყლის „აბზუ-აფსარ-ენგურის“ ღმერთის რელიგიასთან. ამასთან ერთად, სულ არ არის გამორიცხული, რომ შოთა რუსთაველი ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა და აღიზარდა. უკვე შემდგომში რწმენით, ესე იგი მსოფლმხედველობით გენოთესტი გახდა.

აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის თანახმად, „რუსთაველი არ არსებობს საქართველოს ისტორიაში ოფიციალური წყაროების თვალსაზრისით და, ხალხს რომ მისი რამდენიმე ხელნაწერი არ შეენახა, ბნელი ძალების მიზანი მიღწეული იქნებოდა. ისტორიაში დევნილი ადამიანები ყოველთვის გამოჩენილი და უნიჭიერესი ადამიანები იყვნენ“ .

სწორედ ამ რამდენიმე ხელნაწერის მეშვეობით დაადგინეს ქართველმა მეცნიერებმა „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტი, მე კი ამ ტექსტის შალვა ნუცუბიძის რუსული თარგმანის მეშვეობით დავადგინე, რომ შოთა რუსთაველი ერთდროულად



მრავალი რელიგიის მიმდევარი ყოფილა, მაგრამ ყოველთვის ერთის: „ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“. ამასთან ერთად რწმენით გენოთეისტი რუსთაველისთვის ყველა რელიგიის ღმერთი, სამყაროს შემქმნელი ერთი ღმერთია: „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“.

პოემის 1662-სტროფიანი ტექსტით თუ ვიმსჯელებთ, რომელშიც „მზე“ თითქმის ყოველი 6 სტროფის შემდეგ არის ნახსენები, პროლოგისა და ეპილოგის გარდა, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე მუშაობის დროს რუსთაველისთვის ქართველთა „მზის ქალღმერთი“ მთავარი, შეიძლება ითქვას ერთადერთი ღმერთი იყო.

პროლოგში შოთა რუსთაველი წერს, რომ პოემაში ის **შეფარვით** ყველა ღმერთს მოიხსენიებს:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“. (19)

შოთა რუსთაველი იმაზე, რომ ის **ათენელ**, ესე იგი ძველი ბერძნებით მრავალ ღმერთს აღიარებს, მათ შორის **მტკნარი ევფრატის** წყლის ღმერთს, წერს:

„მზე უკადრი ტახტსა ზედა ზის მორჭმული, არ ნალევრი,
წყლად ევფრატსა უხვად ერწყო ედემს რგული ალვა მჭევრი;
ბროლ-ბადახშსა აშვენებდა თმა გიშერი, წარბი ტევრი,
მე ვინ ვაქებ? ათენს ბრძენთა, ხამს, აქებდეს ენა ბევრი!“. (699)

ხოლო პოემის დასაწყისის (32 სტროფი) და დასასრულის (5 სტროფი) შინაარსით თუ ვიმსჯელებთ, პროლოგსა და ეპილოგზე მუშაობის დროს შოთა რუსთაველისთვის მიწისქვეშა **მტკნარი წყლების** სამსახელიანი ერთი ღმერთი „აბზუ-აფსარ-ენგური“ თავარი ღმერთი ყოფილა: „წყლად ევფრატსა უხვად ერწყო ედემს რგული ალვა მჭევრი“. აქედან შოთას, „ვწერ ვინმე მესხი მეღეუქსე მე რუსთველისად ამისა“ – **ფსევლონიმი** „რუს-თაველი“, მტკნარი წყლის „რუს“ სათავე: „ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!“

*

ძნელი სათქმელია, „ვეფხისტყაოსნის“ რომელმა მკითხველმა მიაქცია პირველმა ყურადღება იმას, რომ შოთა **რუსთაველის** გვარში, წყლის „**რუს**“ სათავე იკითხება.

ერთი რამ ცალსახაა, ყველა თაობის ქართული ისტორიის მკვლევრებისთვის უცნობია ის, რომ, როდესაც ქართველურ ენოვანი ხალხებით დასახლებულ კოლხეთის ტერიტორიას მოიხსენიებდნენ „ეგრისის“ სახელით ეს ნიშნავდა, რომ კოლხეთში მოსახლეობის უმრავლესობა მტკნარი წყლის ღმერთის „ენგურის“ მიმდევარი იყო, როდესაც „აფსაზეთად“, მაშინ მოსახლეობის უმრავლესობა მტკნარი წყლის „აბზუ-აფსარ“ ღმერთის რელიგიის მიმდევარი იყო.

შესაბამისად შოთა რუსთაველისთვის, რწმენით გენოთეისტისათვის, **პროლოგსა და ეპილოგზე** მუშაობის დროს, „შუმერულ-აქადური (ბაბილონური) – ასირიული მიწისქვეშა მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი ღმერთის „აბზუ-აფსარ-ენგურის“ ღმერთი“, შეიძლება ითქვას, მთავარი და ერთადერთი ღმერთი იყო, ხოლო პოემის ტექსტზე მუშაობის დროს მზის ქალღმერთ „ჰერასი“.

*

დარწმუნებული ვარ, ბატონ თამაზ ჭილაძეს რომ სცოდნოდა, დავით აღმაშენებლის ქალიშვილი თამარი სპარსეთის შირვანის „**ლომების შაჰების**“ ქვეყნის დელოფალი იყო, შესაბამისად ეცოდინებოდა, რატომ წერდა შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელით-ხელ საგოგმანები,



ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები“
„ვის ჰშვენი, **ლომსა**, ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
მეფისა მზის **თამარისა**, დაწვ-ბადახშ, თმა-გიშერისა“.

მაგრამ მწერალმა, პოეტმა, დრამატურგმა და არა რუსთველოლოგმა ბატონმა თამაზ ჭელიძემ დააფიქსირა, რომ რუსთაველი პროფესიონალი პოეტია: „ვფიქრობ, უმჯობესია, ერთხელ და სამუდამოდ შევურიგდეთ იმ აზრს, რაც უნდა ძნელი იყოს, რომ რუსთაველი პროფესიონალი პოეტია და არა პოეტური ნიჭით დაჯილდოებული კარისკაცი, დიახ, რუსთაველი პროფესიონალი პოეტია, „სპეციალური პოეტური გილდიის“ წევრია“, და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ : „შეიძლება თამამად ითქვას, რუსთაველის პოემა თამარის კი არა, დავით აღმაშენებლის ეპოქის გენიალური ფინალური აკორდია, რომელიც აპოთეოზური დიდებულებით გადმოგვცემს მომავლის რწმენასაც, მომავლისაკენ დაუოკებელ ლტოლვასაც, ანუ უფრო ზუსტად – **უკვდავების განცდას!**“

ამასთან ერთად ფაქტად რჩება ის, რომ **გენოთეიზმის** კუთხით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი არ განუხილავს არც ერთ რუსთველოლოგს, ამიტომ უკლებლივ ყველა მათი გამოკვლევა, რომელიც ეხება რუსთაველის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყაროს დადგენას, სრული ტავტოლოგიაა და მეცნიერული თვალსაზრისით მათი ფასი ნულის ტოლია.

სწორედ „რუსთველოლოგთა“ ასეთ გამოკვლევებზე განაცხადა ცხონებულმა თამაზ წივწივაძემ „თქვენი შრომები შეუკეთეთ აგუზგუზებულ ბუხარს!“

**პატივისცემით,
დავით ფირცხალავა.**



მონოგრაფია „ბიბლიიდან ვეფხის-ტყაოსნამდე“.

მეხუთე ინტერნეტ გზავნილის ტექსტი

ქალბატონებო და ბატონებო !

ჟურნალ „ენა, მამული, ისტორიის“ მკითხველებო, შოთა რუსთაველისა და აფხაზეთის თემასთან დაკავშირებული კონფერენციის მონაწილეებო, გთავაზობთ გაეცნოთ ინტერნეტში განთავსებულ ჩვენი მეხუთე გზავნილის ტექსტს, რომელის ტექსტი შემადგენელი ნაწილია დასრულების პროცესში მყოფი მონოგრაფიისა „ბიბლიიდან ვეფხის-ტყაოსნამდე“, რომელიც თავის მხრივ შედგება **ოთხი** დამოუკიდებელი მონოგრაფიისაგან:

პირველი: „წარმართი ღმერთები საქართველოს ისტორიის შემადგენელი ნაწილია“;

მეორე: „ჰერეთი“, როგორც სამშობლოს ცნება ქართველურ ენოვანი ხალხების ცნობიერებაში“;

მესამე: „ძველი და ახალი „აღთქმა“ საქართველოს ისტორიის წყაროა“;

მეოთხე: „ვეფხის-ტყაოსნის“ სიტყვათა წყობა ქართველურ ენოვანი ხალხებისათვის გამაერთიანებელი დაუშრეტელი წყაროა, მსგავსად ქართული მრავალმნიშვნილიანი სიმღერისა და სუფრაზე ქართველურ ენოვანი ხალხების მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოებისა“.

როგორც დასახელებებიდან ჩანს, მართალია ყველა მონოგრაფია დამოუკიდებელია, მაგრამ ყველა მათგანი ურთიერთ დაკავშირებულია საქართველოს ისტორიასთან. აქედან სხვადასხვა ინტერნეტ გზავნილში ერთი და იგივე თემის განმეორებითი განხილვა და სხვადასხვა კუთხით განმეორებითი მტკიცებულება.

როდესაც შოთა რუსთაველი არა მე-12 საუკუნის, თამარ მეფის ეპოქის, არამედ მე-11 საუკუნის, დავით აღმაშენებლის ეპოქის მგოსანია. აქედან გამომდინარე ჩვენი ყველა დასკვნა „ვეფხის-ტყაოსნის“ ახალ ქრონოლოგიასთან დაკავშირებით ეფუძნება დავით აღმაშენებლის ბიოგრაფიას, მისი შვილის ტახტის მემკვიდრის დემეტრე I-ის, მისი ქალიშვილების – თამარის, კატაის და მათი მეუღლეების ბიოგრაფიებს.

ამასთან ერთად, როგორც იყო პირველ და მეორე ინტერნეტ გზავნილებში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი, ყველა თაობის არა მარტო ქართველი და რუსი ისტორიის მკვლევრებისათვის უცნობი იყო ის, რომ ასურებმა – ასირიელებმა ბევრად ადრე, ვიდრე კოლხეთში მოვიდოდნენ ელინები, ქართველურ ენოვან ხალხებს შორის გაავრცელეს მტკნარი წყლების ოკეანის სამსახელიანი ერთი ღმერთის „აბსუ-აფსარ-ენგურის“ რელიგია. შესაბამისად მათთვის უცნობი იყო ის რომ, თუ ისტორიულ წარსულში, ქართველურ ენოვანი ხალხებით დასახლებულ ტერიტორიას ეწოდებოდა „ენგურის“, ეს ნიშნავდა იმას, რომ მოსახლეობის უმრავლესობა წარმართი ღმერთის „ენგურის“ მიმღევარი იყო, ხოლო თუ „აფხაზეთი“, მაშინ მოსახლეობის უმრავლესობა წარმართი ღმერთის „აფსუს“ მიმღევარი იყო.

მესამე ინტერნეტ გზავნილის შემაჯამებელ ნაწილში ჩვენ ვწერდით: ის, რომ რუსთაველმა „ვისრამიანი“ თარგმნა, „ვეფხის-ტყაოსნის“ ბოლო 1162-ე სტროფში ნახსენები: ხონელის, შავთელის და თმოგველის მოღვაწეობის თარიღები ჩვენ ახალ ქრონოლოგიას უნდა მიუსადაგონ ახალი თაობის ქართული ლიტერატურის მკვლევრებმა. შეგახსენებთ, დიდი ქართველი მეცნიერის ნიკო მარის თანახმად, იოანე შავთელი დავით აღმაშენებლის თანამედროვე და შემამკობელია.

*

მეხუთე ინტერნეტ გზავნილის ტექსტი ეხება აგრეთვე „ვეფხის-ტყაოსნის“ ბოლო 1662-ე სტროფის განხილვას, რომელსაც ბატონი კორნელი კეკელიძე ფსევდო-რუს-



თველურ სტროფად მიიჩნევდა.⁴² როგორც ჩანს ამ მიზეზის გამო, ჩემთვის მისაწვდომ ლიტერატურაში, ცალკე 1662-ე სტროფის შინაარსის განხილვას მიძღვნილი გამოკვლევა არ შემხვედრია.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება: პროლოგი, საკუთრივ პოემა და ეპილოგი, ჩვენთვის სამივე ნაწილის ავტორი, **1662-ე სტროფის ჩათვლით**, შოთა რუსთაველია.

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია **ხოწელსა**,
აბდულ-მესია – **შავთელსა**, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ – სარგის **თმოგველსა**, მას ენა-დაუშრომელსა,
ტარიელ – მისსა **რუსთველსა**, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა“ (1662)

სწორედ 1662-ე სტროფის მეშვეობით („ტარიელ – მისსა **რუსთველსა**, მისთვის ცრემლშეუშრომელსა“) ჩვენ მივვლით დასკვნამდე, რომ რწმენით გენოთეისტი შოთა რუსთაველი ყოფილი შეძლებული მესხეთის დიდებულების **აბაზაძეების** შთამომავალია, ხოლო პროლოგის 29-ე სტროფში ნათქვამი **„არ ბედიტად „ჰაის“ ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს“** ეხება დავით აღმაშენებლის სომეხი მეუღლის სამშობლოს სომხეთს.

*

როგორც მესამე და მეოთხე ინტერნეტ გზავნილებში ვწერდით: პროფესიონალ პოეტს შოთა რუსთაველს, რომელიც მიახლოებით 1095 წელს დაიბადა, დავით ბაგრატიანიანმა „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა“-მ, რომელიც მიახლოებით 1125 წელს გარდაიცვალა, თავისი სომეხი მეუღლისაგან შეძენილი სამი შვილის თამარის, კატისა და დემეტრეს დამოძღვრისათვის, გარკვეული საზღაურის გადახდის (ჰონორარის) წინა პირობით, 30 წლის შოთა რუსთაველს ლექსად თქმული პოემის დაწერა დაუკვეთა.

სწორედ მეფე დავით ბაგრატიანიანმა, დავით IV-მ პირველად ქართველურ ენოვანი ხალხების ისტორიაში XII საუკუნეში ყველა ქართველურ ენოვანი ხალხით დასახლებული ტერიტორია გააერთიანა, მათ შორის კავკასიის ისტორიული ცენტრი **„ტბილისი“**. ამ ტერიტორიების გაერთიანების დროს, ყველა ნაციონალიზმის და სარწმუნოების მაცხოვრებელის წინააღმდეგ ჩადენილი სამართლიანი თუ უსამართლო **სისასტიკის შესანდობლად**, მეფე დავით IV-მ „გალობანი სინანულისა“ დაწერა და რუსთაველს თავისი სამი შვილის **დამოძღვრისათვის** ლექსად თქმული პოემის დაწერა დაუკვეთა.

*

ჩვენი გაგებით, რიგის მიხედვით **მესამე** ქართველის **ილია ჭავჭავაძის** მიერ დაარსებულმა გაზეთმა „ივერიამ“, რიგით **მეორე ქართველის სოსელიოს – იოსებ ჯუღაშვილის** ლექსები 1895 წელს გამოაქვეყნა. ცნობილია, რომ ეს ლექსები იაკობ გოგებაშვილმა „დედა ენაში“ შეიტანა. თავის მხრივ სოსელიომ, **იოსებ სტალინის** სახელით „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი **მსოფლიოში პოეზიაში მუდარებელ ავტორად გამოაცხადა**. რუსთაველმა რიგით **პირველმა** ქართველმა თავისი **ლექსად თქმული** პოემით, XX საუკუნის მეორე ნახევარში შეძლო ის, რომ ყველა ქართველურ ენოვანი ხალხი **შეგნებით საბოლოოდ ქართველები გა ვ ხ დ ი თ**.

აქედან მონოგრაფია: „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვათა წყობა **ქართველურ ენოვანი ხალხებისათვის** გამაერთიანებელი დაუშრეტელი წყაროა, მსგავსად ქართული მრავალხმიანი სიმღერისა და სუფრაზე ქართველურ ენოვანი ხალხების მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოებისა“.

⁴² კორნელი კეკელიძე, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“. 1981 წელი. ტომი II, 281 გვ.



*

რაც შეეხება რუსთაველის რელიგიურ მრწამსს, „ერთღმერთიანობას“ გენოთეიზმს, როდესაც მრავალი ღმერთის თაყვანისმცემელი კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, პოემის ძირითად ტექსტზე მუშაობის დროს, მისთვის ქართველურ ენოვანი ხალხების ძირძველი „მზის“ ღმერთი „ჰერა“ ერთადერთი, მთავარი ღმერთი იყო. „მზეს“ სხვადასხვა კონტექსტში რუსთაველი პოემაში თითქმის ყოველი მეექვსე სტროფის შემდეგ ახსენებს.

პროლოგისა და ეპილოგის ტექსტის წერის დროს, რუსთაველისთვის მიწისქვეშა მტკნარი **წყლების ოკეანის** სამსახელიანი ერთი ღმერთი „აბზუ-აფსარ-ენგურის“ ღმერთი ერთადერთი მთავარი ღმერთი იყო:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, **უწყალო ვითა ჯიქია;**
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“.(19)
ხოლო ძირითად ტექსტზე მუშაობის დროს, როგორც აღვნიშნეთ მისთვის ერთადერთი მთავარი ღმერთი „მზის“ ღმერთი იყო.
ამიტომ ყოველთვის **ერთი ღმერთის** მორწმუნე რუსთაველი წერს:
„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმოთ არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა (1)
ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდილმდე გასატანისა,
ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა“ (2)

გამომდინარე გენოთეიზმის არსიდან, ჩვენ ვწერდით: „ფაქტად რჩება ის, რომ **გენოთეიზმის** კუთხით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი არ განუხილავს არც ერთ ქართული ლიტერატურის მკვლევარს, ამიტომ უკლებლივ ყველა მათი გამოკვლევა, რომელიც ეხება რუსთაველის **იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყაროს დადგენას**, სრული ტავტოლოგიაა და მეცნიერული თვალსაზრისით მათი ფასი ნულის ტოლია.

როგორც ჩანს თამარ მეფის მამას გიორგი III-ეს წაკითხული ჰქონდა რუსთაველის პოემა, ამიტომ პირველად ქრისტიანულ სამყაროში მემკვიდრედ ქალიშვილი თამარი გამოაცხადა.

*

ქალბატონებო და ბატონებო, შოთა რუსთაველის და აფხაზეთის თემასთან დაკავშირებული კონფერენციის მონაწილეებო, მონოგრაფიაში „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვათა წყობა **ქართველურ ენოვანი** ხალხებისათვის გამაერთიანებელი დაუშრეტელი წყაროა, მსგავსად ქართული მრავალხმიანი სიმღერისა და სუფრაზე ქართველურ ენოვანი ხალხების მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოებისა“, ჩვენი მთავარი სახელმძღვანელო დებულება, არის ის **განმარტება**, რომელიც რუსთაველზე 1984 წელს მონოგრაფიის სახით დაწერილ წიგნში „ვარდის ფურცლების ნიშანი“ **დააფიქსირა** გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა, პოეტმა, დრამატურგმა, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, ბატონმა თამაზ ჭილაძემ : „ვფიქრობ, უმჯობესია, ერთხელ და სამუდამოდ შევურიგდეთ იმ აზრს, რაც არ უნდა ძნელი იყოს ეს, რომ რუსთაველი პროფესიონალი პოეტი და არა პოეტური ნიჭით დაჯილდოებული კარისკაცი. დიას, რუსთაველი პროფესიონალი პოეტი, „სპეციალური პოეტური გილდიის“ წევრი“.⁴³

ის, რომ პოემის დამკვეთის დავით აღმაშენებლის გარდაცვალების მიხსლოებით

⁴³ თამაზ ჭილაძე „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ 1984 წ. გვ. 20.



20 წლის შემდეგ ჰონორარის – „**წამალის**“ გადაუხდელი ნაწილი „**სამარის** პირას მი-სულ“ რუსთაველს მეფე დემეტრე I-მა **მეორედ** მეფედ კურთხევის შემდეგ **გადაუხდა**, როდესაც მას **კვლავ ჯარი დაემორჩილა**, პოეტური გილდიის წევრმა რუსთაველმა პოემის დასაწყისის მე-9 სტროფში დააფიქსირა:

„მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი:
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი;
დავუძღურდი, მიჯნურთათვის კვლა **წამალი** არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი“ (9)

როგორც წესი, მე-9 სტროფს მიახლოებით ამ სახით განიხილავენ „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტის მკვლევარები: „1. ხელობითა – გახელებით შეპყრობილი; ამა დარი – ამნაირი, ასეთნაირი; იგულისხმება: ასეთი განწყობის კარნახით, ამიტომ ვწერ ჩემს ნაწარმოებს. 2. ჯარი სპათა – მეომართა სიმრავლე; 3. არსით – არსაიდან“ (თამაზ).⁴⁴

ნიშანდობლივია, რომ გამომცებლობა „დიოგენემ“ ბატონ თამაზ ვასაძის წიგნი 2014 და 2020 წელსაც გამოსცა და გარეკანის მეორე გვერდზე რეკლამის სახით ასეთი ტექსტი განათავსა: „წიგნში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს ერთვის ნაწარმოების ანალიზი; დეტალურად არის განხილული პოემის ეპიზოდები, პერსონაჟთა სახეები, ამ პერსონაჟთა ურთიერთობა, სიტუაციები, რომლებშიც ისინი არიან მოქცეული; განხილულია ნაწარმოებში გამოკვეთილი პრობლემები და კონფლიქტები, პოემის იდეური საყრდენები და ლეიტმოტივები; წარმოჩენილია მხატვრულ-მსოფლმხედველობრივი კონცეფცია, რომელზეც პოემაა აგებული.“

ტექსტის კომენტარები და ნაწარმოების ანალიზი დაეხმარება მკითხველებს, ლიტერატურის მოყვარულებს, განსაკუთრებით უფროსკლასელებს, აბიტურიენტებს, სტუდენტებს „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სამყაროსთან მიახლოებაში“. იმედია, ბატონი თამაზ ვასაძე და გამომცებლობა „დიოგენეს“ წარმომდგენელი დაესწრებიან შოთა რუსთაველისა და აფხაზეთის თემასთან დაკავშირებულ კონფერენციას.

ჩვენ მიერ სტერეოტიპული მოსაზრების რღვევის მაგალითი ამ შემთხვევაში არის ის, რომ მე-9 სტროფის შინაარსი ჰონორარის გადახდის კუთხით არ განუხილავს არც ერთი თაობის ქართული ლიტერატურის მკვლევარს.

*

განვადგინო სტერეოტიპული მოსაზრებების რღვევას ქართულ ბიბლიად აღიარებული „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტიდან: როდესაც „სასწაულის წყურვილით შეპყრობილი მორწმუნე“, ბიბლიის სხვადასვა თავიდან ამოღებული სხვადასხვა სტროფების შეჯერებით პოულობს მისთვის მისაღებ ერთადერთ ჭეშმარიტებას, ჩვენ „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტიდან მისი სხვადასხვა თავიდან ამოღებული სხვადასხვა სტროფების შეჯერებით, შოთა რუსთაველის ეპოქის **საქართველოს ისტორიულ სინამდვილესთან**, მივედით იმ დასკვნამდე, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ ეპილოგში წარმოდგენილი ორი დავითიდან პირველი, „ქართველთა ღმრთისა, დავითის, ვის მზე მსახურებს სარებლად“ (1659.1) ეს მეფე დავით IV აღმაშენებელია, ხოლო მეორე დავითი „დავითის ქმნანი ვითა ვთქვნე სიჩალხე-სიხაფეთანი!“ (1660.1) ეს დავით აღმაშენებლისა და მისი სომეხი მეუღლის შვილის, მეფე დემეტრე I-ის უფროსი შვილი მეფე დავით V არის.

ისტორიული წყაროებიდან უცნობია დავით აღმაშენებლის სომეხი მეუღლის სახელი და რომელი სომხური დიდგვაროვანი ოჯახის წარმომადგენელი ბრძანდებოდა „ქართველთა რძალი“?

ყოვლად დასაშვებია, რომ „ქართველთა რძალი“ სომხეთის ბოლო მეფის, 1045 წელს ბიზანტიაში გარდაცვლილი, გაგიკ II-ის ბაგრატიონიანის ოჯახის წევრი ყოფილიყო. ერთი რამ ცალსახაა, „ქართველთა რძალი“ როგორც ქრისტიანი სომეხი, მო-

⁴⁴ ვეფხისტყაოსანი. ტექსტი და კომენტარები. კომენტარების და ანალიტიკური გზამკვლევის ავტორი თამაზ ვასაძე. გამომცებლობა „დიოგენე“ 2011 წ.)



ნოფიზიტური ეკლესიის მრევლის წევრი იყო, რომელიც დოგმატიკურად დაპირისპირებული იყო და არის ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ამასთან ერთად ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელი ესწრებოდა სომხურ-ქართული რელიგიების შესახებ გამართულ დებატებს და გორში მუსლიმების მიერ დევნილი მეუღლის თანატომელი სომხები დაასახლა. სწორედ ამიტომ დავიწყეთ სომხურ-ქართული რელიგიური დაპირისპირების კვალის მოძიება „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტში, რადგანაც შოთა რუსთაველი დავით აღმაშენებლის და მისი შვილების ეპოქის პოეტიკა და პოემის დაწერა მას დავით აღმაშენებელმა დაუკვეთა.

უკვე „ვეფხის-ტყაოსნის“ შესავალის შესწავლის დროს აღმოვაჩინე, რომ პროლოგის 29-ე სტროფში ნახსენებია დავით აღმაშენებლის მეუღლის სამშობლოს სახელი **„ჰაიასტანი“ – სომხეთი:**

„ხამს, თავისსა ხვაშიაღსა არვისთანა ამჟღავნებდეს,
არ ბეღითად **„ჰაის“** ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს,
არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,
მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიღებდეს“. (29)

*

ქალბატონებო და ბატონებო, კონფერენციაზე მოწვეულო მეცნიერებო, ხუთი სტროფისაგან შემდგარი „ვეფხის-ტყაოსნის“ ეპილოგის ბოლო 1662-ე სტროფში შოთა რუსთაველი **გამოთქვამს მოსაზრებას**, რომ ტარიელზე, პოემის დამკვეთის დავით აღმაშენებლის სიძის პროტოტიპზე, სპარსეთის **ლომისმაჰი** ქვეყნის (შირვანის), **ლომისმაჰ** მანუჩარზე, მის შვილზე, ეპილოგისა და პროლოგის ტექსტზე მუშაობის დროს, უკვე გარდაცვლილ მანუჩარზე **„ცრემლ-მეუშრომელ“** თამარზე, პოემაში ნესტან-დარეჯანის პროტოტიპზე, **მასზე უკეთესად ვერ დაწერდნენ**, მოსე ხონელი, შავთელი და სარგის თმოგველი:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ-მესია – შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა,
ტარიელ – მისსა რუსთველსა, მისთვის **ცრემლ-მეუშრომელსა“** (1662)

რადგანაც:

შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი. (12.1,2)

1662-ე სტროფის განხილვა, სხვა საკითხებთან ერთად, მოგვცემს საშუალებას დავადგინოთ „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორის შოთა რუსთაველის დაბადების სიმბოლური დღე: რაც საშუალებას მისცემს საქართველოში და საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენ თანამემამულეებს, რწმენით მაჰმადიანებს, კათოლიკეებს, მართლმადიდებლებს, გენოთეისტებს და ათეისტებს, ამ დღეს აღიქვან საერთო ქართული ერთობა. ხომ გააერთიანა „ვეფხის-ტყაოსნის“ სიტყვათა წყობამ, რწმენით გენოთეისტმა შოთა რუსთაველმა ყველა ქართველურ ენოვანი ხალხი.

*

პროფესიონალი პოეტი, „სპეციალური პოეტური გილდიის“ წევრი შოთა რუსთაველი, ძვ. წ. XII საუკუნის ბერძენ პოეტ ჰომეროსიდან დაწყებული მთელ მსოფლიოში უკლებლივ ყველა პოეტისა და მწერლის მსგავსად, როგორც იყო ნათქვამი, დავით აღმაშენებლისაგან გარკვეული საზღაურის გადახდის წინა პირობით, მისი სომეხი მეუღლისაგან შეძენილი სამი შვილის, შირვანში ლომისმაჰის ქვეყანაში გათხოვილი უფროსი შვილის თამარის, ბიზანტიის იმპერატორის რძალის კატაის და ტახტის მემკვიდრის დემეტრეს (მამის მიერ გვირგვინით შემკობილი მეფე დემეტრე I) დამოდვრისათვის **შეკვეთილი** პოემის სიუჟეტზე მუშაობას შეუდგა.

იმის შესახებ, რომ შოთა რუსთაველის წინაპრებს აბაზაძეებს და დავით აღმაშენებელს



ნების წინაპარს ბაგრატ IV-ს ერთმანეთის მიმართ დაძაბული დამოკიდებულება ჰქონდათ, ივანე ჯავახიშვილი წერდა: „საზოგადოდ ბაგრატ IV-ს დიდებულ აზნაურთა წინააღმდეგობისა და ღალატისაგან ილაჯი ჰქონდა გაწყვეტილი. ბრძოლა იმდენად გამწვავდა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების ავტორის სიტყვით, რომ „აბაზაძენი ... კაცი ძლიერნი და სიმდიდრესა ზედა მკლავისა თვისისაი მოქუდულნი და სიმრავლესა ზედა ერისა აღზავებულნი“ მეფეს მოსვენებას არ აძლევდნენ და წარმოიდგინეთ, ისტორიკოსი ამბობს, „ყოველთა უწყით ჭეშმარიტებით, ვითარმედ შეწყნარებია მეფისა ეგულვებოდათ“-ო. აბაზაძეებმა ლაღად მეფის შეპყრობაც კი განიზრახეს განა მეტიდა შეძლებოდა?“⁴⁵

ნათქვამიდან გამომდინარე, რუსთაველი პოემის პროლოგში, თავის წინაპრების წარმომავლობას პოემის დამკვეთის დავით აღმაშენებლის წარმომავლობას ადარებს და წერს:

„ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,
წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი!
 რასა ვინ ეძებთ, რას აქმნევთ? ბედია მაყივნებელი,
 ის არ შეუცვლის, კარგია, ორისავე იყოს მხლებელი“ (1661)
 „გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა.
 გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა!
 ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.
 ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ღამისა. (1658)
ქართველთა ღმრთისა, დავითის ვის მზე მსახურებს სარებლად,
 ესე ამბავი გავლექსე მე მათად მოსახმარებლად.
 ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად,
 რგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად“. (1659)

მოყვანილ სტროფებში რუსთაველი ატყობინებს მკითხველს, რომ მისი წინაპრები მესხეთს ფლობდნენ „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ღამისა“ და წარმომავლობით და შეძლებით ბაგრატიონიანებს არ ჩამოუვარდებოდნენ „რუსთველისად ღამისა“. დანარჩენი „რასა ვინ ეძებთ, რას აქმნევთ? ბედია მაყივნებელი“, დღეს ვასრულებ „ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახურებს სარებლად“ განკარგულებას და „სიმუხთლე ჟამისა! – გამო წყაროს მაძიებელმა (ჰონორარი) „ესე ამბავი გავლექსე მე მათად სახუმარებლად“.

აღნიშნულ კონტექსტში მოყვანილი სტროფები არ განუხილავს, არც ერთი თაობის ქართული ლიტერატურის მკვლევარს.

*

დავუბრუნდეთ მონოგრაფიის სახით დაწერილ „ვარდის ფურცლების ნიშანის“ ავტორს: ჩვენ ვეთანხმებით ბატონ თამაზ ჭილაძის „სპეციალური პოეტური გილდიის წევრის“ შოთა რუსთაველის მიმართ გაკეთებულ თითქმის ყველა დასკვნას, მათ შორის იმას, რომ პროფესიონალმა პოეტმა შოთა რუსთაველმა, ჯერ სპარსელი პოეტის გორგანის ლექსად დაწერილი „ვისრამიანი“ პროზაულად სპარსულიდან ქართულად თარგმნა, შემდეგ კი „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა.

ის რომ შოთა რუსთაველმა გაიცნობიერა „ვისრამიანის“ მთავარი თემა „ვინცა მიჯნური არაა, არცა კაციაო“: ამ ცნებამ ასახვა ჰპოვა, ვაჭრის სახელით გულან მაროში მყოფი, ნესტანზე უგონოდ შეყვარებული ავთანდილის, ფატმანთან სიძვის გარეშე ხორციელმა სიყვარულმა; რაზეც მეტყველებს პოემის 1089-ე სტროფში ნახსენები ვისიზე უგონოდ შეყვარებული რამინის მოხსენიება:

⁴⁵ ივანე ჯავახიშვილი. საქართველოს მეფე და მისი უფლებების ისტორია. გადმობეჭდილი „ცნობის ფურცლიდან“ ტფილისი 1905. წიგნი 1993 წელს გამოიცა თბილისში, რედაქტორ-გამომცემელი ბუბა კულავა



„ყმა ვაჭრულად იმოსების, არ ჩაიცვამს არას მისსა.
 ზოგჯერ უხმის ფატმან მისსა, ზოგჯერ იყვის ფატმანისსა;
 ერთგან სხდიან, უბნობდიან საუბნარსა არა-მქისსა;
 ფატმანს ჰკლვიდა უმისობა, **რამინისი ვითა ვისსა.**“ (1080)

პოემის დამკვეთის, დავით აღმაშენებლის სომეხი მეუღლისგან შექმნილი სამი შვილის – თამარის, კატაის და დემეტრეს **დამოდღვრა**, შოთა რუსთაველის მხრიდან მათთვის **სიყვარულის არსის ახსნასაც გულისხმობდა:**

„რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:
 მუშა მიწყვი მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;
 კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
 არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვასა უწუნობდეს.“ (11)

„მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა,
 მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა;
 ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა,
 კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კვკლუცთა ზედა ფრფენითა“. (22)

„ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუმი,
 რა მოჰმორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,
 გული ერთსა დააჯეროს, კუმტი მიჰხვდეს, თუნდა ქუში;
 მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლამა-მტლუში“ (25)

„მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
 მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
 იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
 ნუვინ გაჰრევთ ერთმანერთსა, გესმას ჩემი ნაუბარი!“ (24)

სომეხი დედის სამი შვილის კონტექსტში, მოყვანილი სტროფები არ განუხილავს არც ერთი თაობის ქართული ლიტერატურის მკვლევარს.

*

როგორც მესამე და მეოთხე ინტერნეტ გზავნილებში ვწერდით, პროფესიონალ პოეტს შოთა რუსთაველს, **შვილი** სამეფოს მპყრობელმა დავით აღმაშენებელმა (პოემაში **შვილი** სამეფოს მპყრობელი ინდოეთის მეფე ფარსადანის პროტოტიპმა) **თავისი სომეხი მეუღლიდან შექმნილი სამი შვილის**, სპარსეთის ლომისშაჰის ქვეყანაში გათხოვილი თამარის, ბიზანტიის იპერატორის რძლის კატაის და საქართველოს გვირგვინ დადგმული მეფის დემეტრე I-ის დამოდღვრისათვის, პროფესიონალ პოეტს რუსთაველს (რომელსაც სპარსელი პოეტის გორგანის „**ვისრამიანი**“ პროზაულად ნათარგმნი ჰქონდა), მათ „საქებრად ტკბილი ლექსის თქმა“ დაუკვეთა:

„**სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა**“. (10.4.)

„**მიბრძანეს** მათ საქებრად ტკბილი ლექსის თქმა“. (5.1.)

„ვეფხის-ტყაოსანში“ დავით აღმაშენებლის სიძის სპარსეთის **ლომისშაჰის** ქვეყნის (კავკასიაში მდებარე შირვანის), **ლომის შაჰის** მანუჩარის პროტოტიპი პოემაში ტარიელია. მანუჩარის მეუღლის თამარის პროტოტიპი პოემაში ნესტან-დარეჯანია.

სპარსეთის შირვანის ლომის შაჰზე და მის მეუღლეზე თამარზე პოემის პროლოგში ვკითხულობთ:

„**ვის ჰშვენის, – ლომსა, – ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,**
 მეფისა შუის -თამარისა, ღაწვ-ბადახშ, თმა-გიშერისა,
 მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა, შე – რისა,
 მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მიმართ, შერისა“ (3)

„**ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,**
 ვით მარგალიტი ობოლი, ხელით-ხელ საგოგმანები,
 ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები,
 ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმან ნები“ (9).



თუ, პოემის მესამე და მეცხრე სტროფებს განვიხილავთ საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის შვილის თამარისა და თამარის მეუღლის სპარსეთის ლომის-შაჰის ქვეყნის, ლომის შაჰის მანუჩარის კონტექსტში, „ვეფხის-ტყაოსანი“ არა სპარსულიდან ნათარგმნი ლექსად თქმული ნაწარმოებია, არამედ საქართველოს რეალურ ისტორიაზე დაფუძნებული პოემაა.

*

„ვეფხის-ტყაოსანში“ დავით აღმაშენებლის მეორე ქალიშვილის კატაის პროტოტიპი თინათინია. კატაის მამამთილის, ბიზანტიის იმპერატორ ალექსი I კომნენოსის პროტოტიპი არაბეთის მეფე როსტევანია. კატაის მეუღლის, იმპერატორის უფროსი შვილის ისააკის პროტოტიპი პოემაში ავთანდილია. კატაის ძმის დემეტრეს, მომავალი საქართველოს მეფის, დემეტრე I-ის პროტოტიპი პოემაში ფრიდონია. დავით აღმაშენებლის დაკვეთით დაწერილ პოემაში, მის სამ შვილზე რუსთაველი წერს:

„თვალთა, მისგან უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა;
აჰა, გული გამიჯნურდა, მიჰხვდომია ველთა რბენა!
მიაჯეთ ვინ, ხორცთა დაწვა კმარის, მისცეს სულთა ლხენა.

სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა“ (10).

თუ მეათე სტროფს განვიხილავთ უკვე განხილულ მესამე და მეცხრე სტროფების კონტექსტში და გავითვალისწინებთ შვიდი სამეფოს მპყრობელის დავით აღმაშენებლის სურვილის, კარგი ურთიერთობა ჰქონოდა სპარსეთთან და ბიზანტიასთან, ქვეყნებთან სადაც მან თავისი ქალიშვილები თამარი და კატაი გაათხოვა, პოემის შინაარსს არა მარტო იმდროინდელ სპარსულ, არამედ მსოფლიო პოეზიაშიც ანალოგი არ მოეძებნება. გავიმეორებ, პოემის სიუჟეტი საქართველოს რეალურ ისტორიაზე დაფუძნებული პოემაა.

*

ქალბატონებო და ბატონებო, კონფერენციაზე მოწვეულო მეცნიერებო, „ვეფხის-ტყაოსანის“ ახალი ქრონოლოგია ეფუძნება არა მარტო ძირითადი ტექსტის მიხედვით, ზემოთ, შეზღუდულ ფორმატში ნათქვამს, ის ეფუძნება აგრეთვე შოთა რუსთაველის სიცოცხლეში, როგორც ითქმის, მის თვალწინ დემეტრე I-ის ეპოქაში საქართველოში და სომხეთში, ერთი ქრისტიანული რელიგიის, მაგრამ ორად გაყოფილი ქალკედონური და მონოფიზიტური რელიგიების მიმდევრების დაპირისპირებას, რომელიც რუსთაველმა პოემის პროლოგში და ეპილოგში ასახა და პროლოგის 29-ე სტროფში ამ კონფლიქტის დამწყებ მხარედ დავით აღმაშენებლის მეუღლის სამშობლოზე მიუთითა:

„ხამს, თავისსა ხვამიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს,
არ ბედითად „ჰაის“ ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს,
არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,
მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიღებდეს“.(29)

*

მეფე დემეტრე I-ზე, რომელსაც, როგორც იყო ნათქვამი, რუსთაველი დავით აღმაშენებლის დავალებით „ვეფხის-ტყაოსანში“ მოძღვრავდა, ისტორიკოსი ჯემალ სტეფანაძე წიგნში „დემეტრე პირველი“ წერდა: „დემეტრეს ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ძალზე მცირე ცნობებია შემორჩენილი. აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ მისი ცხოვრება და თავგადასავალი საიდუმლოებით არის მოცული, ხოლო მოღვაწეობის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით, ამიტომ ხეირიანად არც კი ჩანს რაზე იყო დამყარებული ამ მეფის დიდი სახელი.

მართალია თავის დროზე ფილოსოფოს იოანე ჭიმჭიმელის საგანგებო თხზულება არსებულია, რომელშიც დემეტრე მეფის ცხოვრება-მოღვაწეობა ყოფილა გაშუქებული, მაგრამ ეს ნაწარმოები შემონახული არ არის. დღემდე შემორჩენილი ფრაგ-



მენტული ხასიათის სხვა ქართული ცნობები კი დემეტრეს ცხოვრება – მოღვაწეობის მხოლოდ ცალკეული საკითხების გაშუქების შესაძლებლობას იძლევა“.⁴⁶

დემეტრე I-ზე და მის შთამომავლებზე ცნობები შემოგვინახა „ვეფხისტყაოსანში“ შოთა რუსთაველმა. პოემის ეპილოგში რუსთაველი დემეტრე I-ის უფროს შვილზე დავითზე, დავით V-ზე წერს: „დავითის ქმნანი ვითა ვთქვენე **სიჩალხე-სინაფეთანი!**“ (1660.1). საქართველოს სინამდვილეში „სიჩალხე-სინაფეთანი“ საქმე, რომელიც ჩაილინა დემეტრე I-ის შვილმა დავით V-მ, „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენებმა მეორე დავითმა, მდგომარეობდა იმაში, რომ მამის წინააღმდეგ მიმართული პირველი უმედეგო აჯანყების შემდეგ, მეორე აჯანყებით, მამა ტახტიდან გადააყენა და მონასტერში ბერად განამწყესა.

შვილის მიერ ბერად აღკვეცილმა დემეტრე I-მა, დემეტრე – დემნა ბერმა, დავით გარეჯის მონასტერში 6 თვის ყოფნის პერიოდში, უკვე ჩადენილი, ნახევარ ძმის ვახტანგის – ცვატას თვალის დათხრის, დასაჭურისების და დაგეგმილი ბოროტების შესაძლებლობად, ქართული სასულიერო პოეზიის შედევრი, საგალობელი „შენ ხარ ვენახი“ დაწერა და შვილი მეფე დავით V მოაკვლევინა. მეორედ გამეფების შემდეგ, როდესაც მას კვლავ ჯარი დაემორჩილა, დემეტრე I-მა თავის მემკვიდრედ არა მისი ბრძანებით მოკლული უფროსი შვილის დავით V-ის შვილი დემნა უფლისწული გამოაცხადა, არამედ დავით V-ის უმცროსი ძმა გიორგი – გიორგი III მომავალი თამარ მეფის მამა.

რაც შეეხება მცირეწლოვან დემნა უფლისწულს, ის მამის სომეხი ბებუის ნათესავებმა საქართველოს განარიდეს და სომხეთში წაიყვანეს, სადაც ის სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა.

როდესაც სომხეთში, უცხო ქვეყანაში მცხოვრები დემნა უფლისწულის სახელით (რომელსაც როგორც ჩანს ქართული ენა დავიწყებული ჰქონდა) საქართველოში მცხოვრებმა მისმა სიმამრმა, დიდგვაროვანმა **ივანე ორბელმა** თამარ მეფის მამის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო, რათა დემნა უფლისწული – კანონიერი ტახტის მემკვიდრე გამეფებინა, გიორგი III-მ ორივე შეიპყრო და ორივეს თვალები დასთხარა და დაბრმავებულ უფლისწულს შვილები რომ არ გაეჩინა, დაასაჭურისებინა. მემამულე გიორგი III-ზე, თამარ მეფის მამაზე წერს: „შემსგავსებული საქმეთა მათთა მიაგო მისაგებელი“.

*

გავეცნოთ რას წერს დემნა უფლისწულის სიმამრზე, ივანე ორბელზე ქართული საბჭოთა ენციკლოპედია: „**ორბელთა** აჯანყება 1177–1178, ქართველ დიდებულ ფეოდალთა აჯანყება მეფე გიორგი III-ის წინააღმდეგ ივანე ორბელის ხელმძღვანელობით. აჯანყების მიზანი იყო გიორგი III-ის ძმისშვილის და ივანე ორბელის სიძის დემნა (დემეტრე) უფლისწულის გამეფება. მიზეზი – მეფის მკაცრი ცენტრალისტური პოლიტიკა, საბაბი – დემნა უფლისწულის **ლეგიტიმური უფლების დაცვა...**

აჯანყება დამარცხდა. დემნა უფლისწული ალყაშემორტყმული ციხიდან საბლით გადმოეშვა და პატიების სათხოვნელად მეფე-ბიძასთან გამოცხადდა. მას თვალები დასთხარეს და დაასაჭურისეს. ივანე ორბელს თვალები დასთხარეს, სიკვდილით დასაჯეს“.⁴⁷

თუ ეპილოგის 1600-ე სტროფს, რომელშიც „ვეფხისტყაოსანში“ მეორე დავითია ნახსენები:

„დავითის ქმნანი ვითა ვთქვენე სიჩალხე-სინაფეთანი!
ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი,
პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი **მათ მეფეთანი,**
და ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი“. (1660)
შევაჯერებთ პროლოგის 29-ე სტროფთან:

⁴⁶ სტეფანაძე ჯემალ „დემეტრე პირველი“ ცხოვრება და მოღვაწეობა 1990 წ. გვ. 3.

⁴⁷ ქ.ს.ე. 1984 წ. ტ. 7, გვ. 554. „ორბელთა აჯანყება“; .სტატიის ავტორი მ. ლორთქიფანიძე.



„ხამს, თავისსა ხვაშიადასა არვისთანა ამჟღავნებდეს,
არ ბედითად „ჰაის“ ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს,
არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,
მისთვის ჭირი ღხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიღებდეს“.(29)

და ამ ორ სტროფს გიორგი III-ის ეპოქაში მცხოვრები ქათველურ ენოვანი ჩვენი თანამემამულეების გასაგები ენიდან თანამედროვე ქართულით განვმარტავთ, 29-ე სტროფის მეორე სტრიქონში ნახსენები სიტყვა „**ჰაის**“ **სომხეთს ნიშნავს**, მაშინ გასაგები გახდება რომელ უცხო სახელმწიფოზეა ლაპარაკი 1660-ე სტროფის მეორე სტრიქონში: „ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი“.

ამავე სტროფის პირველ სტრიქონში „ხამს, თავისსა ხვაშიადასა არვისთანა ამჟღავნებდეს“, სიტყვები „თავისსა ხვაშიადასა არვისთანა ამჟღავნებდეს“, ნიშნავდა, რომ პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე არავინ ამჟღავნებდა ის ქალკედონური თუ მონოფიზიტიური რელიგიის მიმდევარი იყო, რაც პირველ შემთხვევაში ნიშნავდა იმას, რომ ის ქართველია, მეორე შემთხვევაში კი, რომ ის სომეხია, მიუხედავად **ნაციონალური წარმომავლობისა**. 29-ე სტროფში რუსთაველი გულისხმობდა ივანე ორბელს დემნა ულისწულის სიმამრს, როდესაც ორბელთა წარმომავლობა დღესაც ქართველ და სომეხ მეცნიერთა დავის საგანია.

29-ე სტროფის მეორე სტრიქონში „არ ბედითად „ჰაის“ ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს“ რუსთაველი მიუთითებს, რომ ქართველებსა და სომხებს შორის რელიგიური განხეთქილების მოთავე მხარე „ჰაის“ – ქვეყანა სომხეთია და 1660-ე სტროფის მეორე სტრიქონში ნახსენები „ქებანი მათ მეფეთანი“ მიანიშნებს, რომ საქართველოსა და სომხეთის რელიგიური დაპირისპირების მოთავე მხარე, სომხეთის სამღვდელთა უმაღლესი იერარქები არიან, რომლებიც უმეფო სომხეთში თავს მეფეებად მიიჩნევენ.

29-ე სტროფის ორ ბოლო სტრიქონში:

„არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,
მისთვის ჭირი ღხინად უჩნდეს, **მისთვის ცეცხლსა მოიღებდეს**“.

შოთა რუსთაველი წერს, რომ მიუხედავად ქართველებს და სომხებს შორის რელიგიური დაპირისპირებისა, მიჯნურობისთვის – შეყვარებულებისათვის „მისთვის ცეცხლსა მოიღებდეს“, რელიგიური განსხვავება წინააღმდეგ არ წარმოადგენს, მხედველობაში ჰყავდა დავით აღმაშენებლის და მისი სომეხი მეუღლის ჯვრისწერა და მათი შთამომავლების ქართულ ქალკედონურ ეკლესიაში მონათვლა.

ჩვენ მიერ სტერეოტიპული მოსაზრების რღვევის მაგალითი, ამ შემთხვევაში არის ის, რომ ქართველების გულის საუნჯეში „ვეფხის-ტყაოსანში“ ქვეყანა სომხეთი არის ნახსენები.

ის, რომ „ვეფხის-ტყაოსანის“ პროლოგის ოცდამეცხრე სტროფში **სომხეთი** არის ნახსენები, არ დაუფიქსირებია არც ერთი ეპოქის, თაობისა და ნაციონალობის რუსთაველის შემოქმედების მკვლევარს.

სწორედ ამგვარ ჩვენს მიკვლევებზე ბატონი თამაზ წივწივაძე წერდა:

ერთი სიტყვით, ძვირფასო მკვლევრებო, ან ის დაამტკიცეთ, რომ **ეს კაცი გიჟია**, ან, ყველა სხვა შემთხვევაში, თვითონ მოგიწევთ უარის თქმა თქვენს სამეცნიერო ტიტულებზე და რეგალიებზე, რაც ამ პოემის წყალობით მიგიღიათ!..

არა მგონია, ძველ ქართულ ლიტერატურაშიც ყველაფერი მარტო ჩემი გასარკვევი იყოს!

ეპოლეტებს არავინ აგყრით, თუ ამ კაცთან კამათში ჩაებმებით და სიმართლეს გაარკვევთ!

მოკლედ, ან ეს ადამიანი გამოაცხადეთ გიჟად, ან კიდევ თქვენი შრომები შეუკეთეთ აგუზგუზებელ ბუხარს!..

პატივისცემით თამაზ წივწივაძე.⁴⁸

⁴⁸ „ლიტერატურული საქართველო“ 16 თებერვალი 2018 წ. №6 (3881) გამოცემის 87-ე წელი.



*

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო, ჟურნალ „ენა, მამული, ისტორიის“ მკითხველებო, შოთა რუსთაველისა და აფხაზეთის თემასთან დაკავშირებული კონფერენციის მონაწილეებო, **თუ თქვენთვის მიუღებელია** ჩვენ მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპული მოსაზრებების რღვევა, გთხოვთ წერილობით დაგვისაბუთოთ თქვენი არგუმენტები, რომელთაც ჩვენ, თუ იქნება თქვენი სურვილი, ჟურნალ „ენა, მამული, ისტორიის“ მეორე ნომერში გამოვაქვეყნებთ.

ჟურნალს მეორე ნომერში განვაგრძობთ სტერეოტიპული მოსაზრებების რღვევას. განხილული იქნება, რატომ დაახატვინა სამეგრელოს დიდებულმა ლევან II დადიანმა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, იატაკიდან მეტრ-ნახევრის სიმაღლეზე, შოთა რუსთაველის პორტრეტი და რა მიზეზით დევნიდა კათალიკოსი ანტონ I შოთა რუსთაველს.

შეგახსენებთ ბატონ თამაზ ჭილაძის გამონათქვამს: „შეიძლება თამამად ითქვას, რუსთაველის პოემა თამარის კი არა, დავით აღმაშენებლის ეპოქის გენიალური ფინალური აკორდია, რომელიც აპოთეოზური დიდებულებით გადმოგვცემს მომავლის რწმენასაც, მომავლისაკენ დაუოკებელ ლტოლვასაც, ანუ უფრო ზუსტად – უკვდავების განცდას!“

P. S.

მეექვსე ინტერნეტ გზავნილში განხილული იქნება მხოლოდ **ერთი საკითხი**, თუ **რა სახით** შოთა რუსთაველისა და აფხაზეთის თემასთან დაკავშირებულ კონფერენციაზე განხილული საკითხები, უნდა მივანდობოთ რუსეთის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებულ აფხაზეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს, როდესაც მსოფლიოში გავრცელებული წარმართი „აბუ-აფსარ-ენგური“ დმერთის რელიგიის არსებობა უცნობი იყო ყველა თაობის და ეროვნების მეცნიერთათვის, რომლებიც საქართველოს და ზოგადად კავკასიაში მცხოვრები ხალხების ისტორიას შეისწავლიდნენ და შეისწავლიან.

**პატივისცემით,
დავით ფირცხალავა.**



მონოგრაფია „ბიბლიიდან ვეფხის-ტყაოსნამდე“ მეექვსე ინტერნეტ გზავნილის ტექსტი

ქალბატონებო და ბატონებო!

ჟურნალ „ენა, მამული, ისტორიის“ მკითხველებო, შოთა რუსთაველისა და აფხაზეთის თემასთან დაკავშირებულ კონფერენციაზე მოწვეული მეცნიერებო და პოლიტიკოსებო, მოგესალმებით 2016 წელს ჟურნალის დამაარსებელი და პირველი ნომრის ავტორი დავით ფირცხალავა.

*

შოთა რუსთაველისა და აფხაზეთის თემასთან დაკავშირებული კონფერენცია ტარდება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბატონ გიორგი ვოლსკის 2021 წლის განკარგულებით, რამაც განაპირობა ჟურნალ „ენა, მამული, ისტორიის“ პირველი ნომრის 2022 წელში გამოცემა.

ამ ნომერში განთავსებული ტექსტები შემადგენელი ნაწილია დასრულების პროცესში მყოფი მონოგრაფიისა „ბიბლიიდან ვეფხის-ტყაოსნამდე“, რომლის შინაარსი, მათ შორის ასახავს ჩემ მიერ 2015 წელს ჟურნალ „კვალის“ №1-2-ში გამოქვეყნებულ რუსულ ენოვანი ტექსტისა და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ 2016-2019 წლებში დაბეჭდილი 17 პუბლიკაციის შინაარსს.

როგორც იყო ნათქვამი, ჟურნალის პირველ ნომერში ქვეყნდება ინტერნეტში დავით ფირცხალავას ვებ. გვერდზე david – pirtskhalava. jimdosite .com განთავსებული ექვსე პუბლიკაციის ტექსტი, რომელთაგან ხუთი გზავნილის ტექსტის ბოლო რედაქცია მოხდა 2022 წლის დასაწყისში, ხოლო მეექვსე გზავნილის ტექსტზე მუშაობა ფაქტობრივად მიმდინარეობდა ჟურნალის პირველი ნომრის გამოცემამდე.

*

მეხუთე ინტერნეტ გზავნილში გაცხადებული იყო, რომ მეექვსე ინტერნეტ გზავნილში განხილული იქნება მხოლოდ ერთი საკითხი, თუ რა სახით შოთა რუსთაველისა და აფხაზეთის თემასთან დაკავშირებულ კონფერენციაზე განხილული საკითხები უნდა მივაწოდოთ რუსეთის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებულ აფხაზეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს, როდესაც მსოფლიოში, პირენეს ნახევარკუნძულიდან ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების, ინდოეთისა და ჩინეთის ტერიტორიებზე გავრცელებული წარმართი „აბუ-აფსარ-ენგური“ ღმერთის რელიგიის არსებობა უცნობი იყო ყველა თაობისა და ეროვნების მეცნიერთათვის, რომლებიც საქართველოს, ზოგადად კავკასიაში მცხოვრები ხალხების ისტორიას შეისწავლიდნენ და შეისწავლიან.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ სოციალურ ქსელში არ გაგვივრცელებია ინფორმაცია აფხაზების წარმომავლობის შესახებ, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ჯერ უნდა ჩატარდეს ბატონ გიორგი ვოლსკის განკარგულებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბატონ ზურაბ ხონელიძის თავმჯდომარეობით შექმნილი შოთა რუსთაველისა და აფხაზეთის თემასთან დაკავშირებული კონფერენცია.

*

აფხაზეთის თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ბატონ გიორგი ვოლსკისთან მუუთანხმებლად, მივმართავ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს თხოვნით, საქართველოს მთავრობასთან შეიქმნას საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტების ხელმძღვანელთა კომისია, რომელიც თა-



ვის მხრივ ისტორიის ფაკულტეტებზე მომუშავე მეცნიერებს დაავალეს განიხილონ ჟურნალ „ენა, მამული, ისტორიაში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია.

ანალოგიური თხოვნით მივმართავ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, საქართველოს კულტურისა, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს, სამინისტროში შეიქმნას ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო, რომელიც განიხილავს ჟურნალ „ენა, მამული, ისტორიაში“ გამოქვეყნებული ინფორმაციის იმ ნაწილს, რომელიც ეხება მეცნიერი პოეტის შოთა რუსთაველის შემოქმედებას.

უკვე ამ საბჭოებში მომუშავე მეცნიერთა ბაზაზე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ბატონი ზურაბ ხონელიძე დააკოპლექტებს ბატონ გიორგი ვოლსკის 2021 წლის განკარგულებით შექმნილ კომისიას.

*

რაც შეეხება საკითხს თუ **რა სახით უნდა მივაწოდოთ** შოთა რუსთაველისა და აფხაზეთის თემასთან დაკავშირებულ კონფერენციაზე განხილული საკითხები, რუსეთის მიერ დამოუკიდებულ სახელმწიფოდ აღიარებულ აფხაზეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს, ერთი რამ ცალსახაა, არ შეიძლება ქართველ მეცნიერთა მოსაზრებები აფხაზეთა წარმომავლობის შესახებ, რუსულად ან აფხაზურად თარგმნილი, ინტერნეტის მეშვეობით გავრცელდეს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

სავარაუდოდ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ინგლისურად თარგმნილ კონფერენციის მასალებს გადაუგზავნის თავის კოლეგებს საზღვარგარეთის ქვეყნებში, ხოლო რუსულად თარგმნილს, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თაოსნობით და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, თბილისში, შემდგომში კი ნიუ-იორკში და ჟენევაში მიზანშეწონილია ჩატარდეს მსოფლიო კონგრესი, აფხაზეთა წარმომავლობის შესახებ.

კონგრესების ჩატარების შუალედებში, ინტერნეტის მეშვეობით ეს მასალა უნდა მივაწოდოთ რუსულად და აფხაზურად თარგმნილი რუსეთის მიერ დამოუკიდებულ სახელმწიფოდ აღიარებულ აფხაზეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს.

*

აქვე უნდა აღინიშნოს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბატონი გიორგი ვოლსკის, როგორც შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსის შესახებ. მან 2015 წლის შემდეგ, ერთადერთმა ქართველ პოლიტიკოსებს შორის განსაზღვრა, რომ დადგება დრო და ჩვენი მიგნება აფხაზეთა წარმომავლობის შესახებ, გარკვეულ წილად შეუწყობს ხელს ქართული იურისპრუდენციის აღდგენას აფხაზეთში.

*

ქალბატონებო და ბატონებო, იმედია ჟურნალ „ენა, მამული, ისტორიაში“ გამოქვეყნებულ ექვსი ინტერნეტ გზავნილის ტექსტს ეყოლება კრიტიკული მკითხველი. ამ შემთხვევაში მათი სტატიები, ავტორებთან შეთანხმებით გამოქვეყნდება ჟურნალის მეორე ნომერში.

ყველა ინტერნეტ გზავნილში განხილული საკითხების დაზუსტება შესაძლებელია ჟურნალის პასუხისმგებელ რედაქტორთან მარიამ ხომასურიძესთან.

**პატივისცემით,
დავით ფირცხალავა**



მკითხველის შენიშვნებისათვის:

ამავე დროს სათავდასაძირ და მარცხი დასავლეთი დასავლეთი



საქართველო - შინაგული გეოგრაფიის სამბალო



